ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **ახალი და უახლესი ისტორია**

გიგიბერია მანანა

იტალიის საგარეო პოლიტიკა ბალკანეთსა და კოსოვოში 1991-2000 წლებში

ნაშრომი შესრულებულია ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასისტენტ -პროფესორი ზაალ გოგენია

თბილისი 2019

გიგიბერია მანანა

იტალიის საგარეო პოლიტიკა ბალკანეთსა დ კოსოვოში

1991-2000 წლებში

ანოტაცია

ჩემი საკვლევი თემა შეეხება, იტალიის საგარეო პოლიტიკას ბალკანეთსა და კოსოვოში 1991-2000 წლებში. თემა ითვალისწინებს, მოცემული საკითხის გარშემო არსებული მასალების კვლევას, ისტორიულ-შედარებით ანალიზს და იტალიის როლის განსაზღვრას საერთაშორისო ურთიერთობებში. კერძოდ, ბალკანეთის და კოსოვოს კრიზისში რა ხვედრითი წილი ერგო იტალიას და რა გამოწვევების წინაშე იდგა სახელმწიფო აღნიშნულ პერიოდში როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით.

კვლევის ფარგლებში ჩვენი მიზანია; დავამუშაოთ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა, გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი სხვადასხვა წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის, პრესაში არსებული ინფორმაციის და ამის საფუძველზე კიდევ ერთხელ, განვსაზღვროთ იტალიის როლი ბალკანეთსა და კოსოვოს კრიზისში 1991-2000 - იან წლებში.

მოცემული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და შესაბამისად ვფიქრობ, საინტერესო იქნება ამ საკითხის გაცნობა საზოგადოებისათვის.

მოცემული კვლევის საფუძველზე დადგინდება, თუ რა გავლენას ახდენს კოსოვოს კრიზისის მზგავსი კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობებზე და რა ხასიათს ატარებდა იტალიის მთავრობის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა აღნიშნული კონფლიქტის მიმართ 1991-2000-იან წლებში.

Gigiberia Manana

Italian foreign policy in the Balkans and Kosovo

In 1991-2000

Annotation

My research is about foreign policy of Italy in Balkan and Kosovo in 1991-2000. The paper provides for studying every available materials according to historical-comparative analysis and defining the role of Italy in International affairs. In particular, what was the percent of activity of Italy, what kind of challenges the country had in that period in foreign and also in internal aspects of policy.

The purpose of the research is: acquainting literature about this theme, making a comparative analysis from the various sources, from scientific literature, from information that is given in the media and based on these documents we determine one more the role of Italy in Crisis of Balkan and Kosovo in 1991-2000.

In my opinion it would be interesting to introduce this study to society, because given issue is less researched by Georgian historiography.

In conclusion, the paper makes clear what kind of influence conflicts have such a Kosovo Crisis in International relations and what kind of character Italian government had in foreign politics towards this conflict in 1991-2000.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. იტალია და ბალკანეთის კრიზისი 12

§1.1. იუგოსლავიის დაშლა და ბალკანეთის კრიზისი. იტალიის უსაფრთხოების ახალი გამოწვევები(1991-1995 წწ). წინარეისტორია 12

§1.2. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და იტალიის საზღვართან შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება. 19

§1.3. 1992-1993 წლების კრიზისის განვითარება. 28

§1.4. ბალკანეთის საკითხი ლამბერტო დინის მთავრობაში. 44

თავი II. კოსოვოს კრიზისი და იტალიის საგარეო პოლიტიკა 51

(1999-2000 წლები) 51

§1.1. იტალიის პოზიცია კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში. 51

§1.2. ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმაცია და „ერების კონსტიტუციური უფლება“. 66

§1.3. „პროტაგონისტების მსოფლიო“ და იტალიის ადგილი მასში 69

თავიIII. იტალია და ევროკავშირი კოსოვოს კრიზის შემდეგ. 74

§1.1. იტალიის პოლიტიკა კოსოვოს კრიზისის შემდეგ ევროპის უსაფრთხოების ძირითად ასპექტებზე 74

§1.2. იტალია ევროკავშირში 86

დასკვნა 94

გამოყენებული ლიტერატურის სია 96

შესავალი

სახელმწიფოს ადაპტაცია მსოფლიო პოლიტიკური გამოწვევების მიმართ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გვევლინება საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლაში და სახელმწიფო, როგორც ძირითადი „მოთამაშე“ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, მდებარეობს მის ცენტრში.

ჩვენი საკვლევი თემის პერიოდში მსოფლიო იდგა მთელი რიგი პრობლემების წინაშე, რამაც განაპირობა ცვლილებათა მთელი კასკადი, საერთაშორისო ურთიერთობებში. მსოფლიო განვითარების გზების ჯერ კიდევ გაურკვევლობამ, ბიპოლარული სისტემების დაშლამ, ლოკალური და რეგიონალური კონფლიქტების აღმოცენებამ, ტრანსნაციონალური, ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებამ და მცდელობა, რომ უფრო მოქნილი ყოფილიყო საერთაშორისო სამართალი - მთელი რიგი პრობლემები წამოწია წინ. ყველა ამ პრობლემის წინაშე დადგა მსოფლიო საზოგადოება 1990-იან წლებში და დაიწყო უშუალო ზეგავლენა ამ გამოწვევებმა, მთელი რიგი სახელმწიფოების როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკაზე. საერთაშორისო პოლიტიკის გამოწვევები მდგომარეობდა შემდეგში: პირველი, ეს დაკავშირებული იყო ევროპული ინტეგრაციის ჩარჩოების უფრო სიღრმისეულ დონესთან, რომელიც განასხვავებდა ევროპას მსოფლიოს სხვა რეგიონებისგან.

მეორე, - უშუალოდ ევროპა, რომელზეც გადიოდა ძირითადი ფრონტის ხაზი „ცივ ომში“, ექვემდებარებოდა სერიოზულ შიდა გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ,,ცივი ომის'' დასრულების შემდეგ. ევროპაში ხდებოდა ინტერნაციონალური ფედერაციების დაშლა, სისიხლიანი ეთნიკური კონფლიქტები, სახელმწიფოების ინტერესთა სფეროების გდაკვეთა. მათი ღია თუ ფარული დაპირისპირება სხვადასხვა რეგიონში, რაც ხშირად ახლდა ამ პროცესებს, მთელ რიგ ცვლილებებს იწვევდ საერთაშორისო ასპარეზზე. საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალიზაციამ, რომელიც დამახასიათებელი იყო

1990-იანი წლებისათვის, გარკვეული გავლენა იქონია ევროპული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიის ფორმირებაში და მათი როლის განსაზღვრაში საერთაშორისო ურთიერთობებში.

უშუალოდ ამ ევროპული ქვეყნების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ იტალიაც. 1990 - იანი წლების პირველ ნახევარში იტალიის რესპუბლიკამ განიცადა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ტრანსფორმაცია, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „პოლიტიკური მიწისძვრა“, რამაც ქვეყნის სახე შეცვალა. პრაქტიკულად, ერთდოულად წავიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან ყველა ტრადიციული პოლიტიკური პარტია, რომლებიც რესპუბლიკის დაარსებიდან არსებობდა. ქრისტიან- დემოკრატების, სოციალისტების და კომუნისტების პარტიები აღმოჩნდნენ გახვეულნი და გამოაშკარავებულნი დიდ სკანდალში, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სუფთა ხელები“ (“Tangentopoli”), რამაც მათი ავტორიტეტის შელახვა და პოლიტიკური არენაზე მათი როლის შესუსტება გამოიწვია. მათ ადგილზე კი - ახალი პოლიტიკური მოძრაობები და ლიდერები მოვიდნენ. პოლიტიკური სისტემის კონფიგურაციის ცვლილებამ იტალიაში გამოიწვია დისკუსიები მეორე რესპუბლიკის ფორმირების შესახებ, რამდენადაც ომის შემდგომი პარტიული სისტემა ძირფესვიანად იყო მოდიფიცირებული.

ამავე პერიოდში, ევროპის სოციალისტური ქვეყნების გარდაქმნამ, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაუქმებამ, დაასრულა ბიპოლარულობის ეპოქა.

რაც, შეეხება იტალიის პირველ რესპუბლიკას (1948-1994 წწ.), მისი პოლიტიკური სისტემის განმანსხვავებელი თავისებურება იყო ქრისტიან -დემოკრატიული პარტიის (რომელიც შეუცვლელად იყო ხელისუფლებაში) მიერ ერთ-ერთ მთავარი მიზნად დასახვა, წინააღმდეგობა გაეწია „კომუნისტური საფრთხისათვის“ და არ დაეშვა ხელისუფლებაში მოსულიყო კომუნისტური პარტია. (ამ პერიოდში კომუნისტური პარტია პოპულარობით მეორე ადგილზე იყო.) მსგავს მდგომარეობაში ყოფნისას მმართველი ელიტა ხშირად იძულებული იყო შეექმნა იდეოლოგიური თვალსაზრისით

„ხელოვნური“ კოალიცია. სწორედ, ასეთი ამოცანა გავლენას ახდენდა ქვეყნის საგარეო პოლოტიკურ არჩევანზეც. იტალია იყო ნატოს ერთერთი წევრი ქვეყანა, რომელმაც მთლიანად ალიანსს გადააბარა თავისი უსაფრთხოება და ზუსტად მისდევდა პროამერიკულ კურსს.

რომანო პროდის მთავრობის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პიერო ფასსინო, იხსენებდა, რომ იტალიის პირველ რესპუბლიკას არ გააჩნდა საგარეო პოლიტიკა, მას ჰქონდა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა. ქვეყანა აღიქმებოდა როგორც დასავლეთის ფორპოსტი, როგორც სამხედრო ბაზების ფართო ქსელის ლოჯისტიკური მოედანი. ამავდროულად, მაშინდელი იტალიის მთავრობას ძალიან სწრაფად და სერიოზულად უნდა შეცვალა ქვეყნის მთელი ეკონომიკური პოლიტიკა (და ეს უნდა გაეკეთებინა არა შიდა პოლიტიკური მიზეზების გამო, არამედ ეს უნდა ყოფილიყო პასუხი გარეგამოწვევისა) ან უნდა დარჩენილიყო ევროპული ინტეგრაციის მიღმა.

,,ცივი ომის'' დამთავრებამ, იტალიური პოლიტიკის სისტემური ამოცანა, რომელიც კომუნისტების შეკავებას ისახავდა მიზნად, გახადა არააქტუალური. იტალიის მთავრობის წინაშე დადგა საკითხი გადაეხედათ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და ეროვნული ინტერესების იდეოლოგიური საფუძვლისათვის. იტალიელი ინტელექტუალების თეორეტიკული დისკუსიების შედეგად შეიქმნა კონცეფცია; „იტალია, როგორც მსოფლიო პროტაგონისტი“. კონცეფციის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ იტალიისათვის აუცილებელი იყო გაეტარებინა უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსხვავდებოდა „საშუალო სახლმწიფოს“ კონცეფციისაგან და ის უნდა გადაქცეულიყო „პროტაგონისტად“ - ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოთამაშედ - „აქტორად“.

შესაბამისად, უკანასკნელ ათწლეულებში იტალიის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ქვეყნის აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდით საერთაშორისო არენაზე. ახალი კონცეფციის ფარგლებში იტალია ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი მნიშვნელობისთვის

და იმ წვლილისათვის რომლის შეტანაც მას შეუძლია მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებაში.

პოლიტიკურმა შოკმა, რომელმაც იტალია მიიყვანა მეორე რესპუბლიკამდე და ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენამდე, გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკაში იტალიის როლის და შესაბამისად იტალიის საგერეო პოლიტიკური იდეოლოგიის სერიოზული გადახედვა. ამ ეტაპზე იტალია ცდილობდა გადაეხედა თავისი საგარეო პოლიტიკისათვის და ცდილობდა გაეტარებინა ამბიციური გლობალური პოლიტიკა. ეს დაკავშირებული იყო მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით მომხდარ ტრანსფორმაციებთან. ამას ყველაფერს სერიოზული იდეოლოგიური გამართლება სჭირდებოდა. საგარეო პოლიტიკური იდეების განახლების იდეოლოგიური ბაზისი გახდა „ მსოფლიოს პროტაგონისტების“ კონცეფცია, რომელიც გაჟღერდა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის მიერ 2000 წლის ივნისის გამოსვლაში.[1] „მსოფლიოს პროტაგონისტების“ იდეა თავდაპირველად გააჟღერა ჯანი დე მიკელისმა, რომელიც ამბობდა რომ იტალიამ უნდა გაატაროს მეტი საგარეო პოლიტიკა და გამოვიდეს „საშუალო სახელმწიფოების“ რიგებიდან, გადაიქცეს რა „პროტაგონისტად“ მსოფლიო და ევროპულ პოლიტიკაში. მსოფლიოს „პროტაგონისტების“ ფარგლებში იტალიამ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ოპერაციებში მთელ მსოფლიოში. ასევე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში: ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში. ზოგიერთი საერთაშორისო კონფლიქტის (მაგ. არაბეთისა და ისრაელის) მოგვარებისას იტალია ისწრაფოდა ეთამაშა შუამავლის როლი. გარდა ამისა, ხშირად იტალიის მთავრობა ამყარებდა კონტაქტს „არამშვიდ“ ქვეყნებთან (მაგ. ირანთან, ერაყთან, ლიბიასთან). საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა რუსეთთან ურთიერთობაც. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ყოველთვის ითვლებოდა ევროპა. იტალიის ხელისუფლება განსაკუთრებულ აქტიურობას ავლენდა ბალკანეთსა

[1] Ministro degli affair esteri – Lamberto Dini.https://www.esteri.it/mae/it

და კოსოვოში. ასე რომ, ბევრი მკვლევარი იტალიას უწოდებდა „საშუალო სახელმწიფოს გლობალური ინტერესებით“.

ამრიგად, ნაშრომი მოიცავს პერიოდს 1990-2000 წლების იტალიის საგარეო პოლიტიკას ბალკანეთსა და კოსოვოს კრიზისში. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს იტალიის საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური სისტემის პირობებში. თუ როგორ მკვეთრად ააქტიურებდა იტალია თავის საგარეო პოლიტიკას, რომელიც გამოწვეული იყო უსაფრთხოებით, რადგან იტალიასთან ახლოს მძვინვარებდა ბალკანური კრიზისი, რომელიც გაჩაღდა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში და ქვეყანას ნებით თუ უნებლიედ აიძულებდა მიიღო ზომები მისი ლოკალიზაციისა და დარეგულირებისთვის. აგრეთვე, რა გავლენა ჰქონდა იტალიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიაზე შიდაპოლიტიკურ წინააღმდეგობებს და საგარეო ფაქტორებს, როგორიცაა ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

რაც შეეხება საკვლევი თემის ისტორიოგრაფიას; იტალიის საგარეო პოლიტიკა ბალკანეთსა და კოსოვოში 1991-2000 -იან წლებში, ქართულ ისტორიოგრაფიაში არც თუ ისე კარგადაა შესწავლილი. ფაქტობრივად, თითქმის არ არსებობს ქართულ ენაზე მონოგრაფია თუ სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულიად შეისწავლიდეს აღნიშნულ თემას მოცემულ პერიოდში. შესაბამისად, ჩემი ნაშრომის კველევისას გამოყენებული სამეცნიერო, თუ სხვა სახის ლიტერატურა არის უცხო ენაზე.

წინამდებარე ნაშრომს ეხმაურებიან რუსი მკვლევრები როგორიცაა ო. ბარაბანოვი. ის თავის ნაშრომში ,,იტალია ცივი ომის შემდეგ, საშუალო სახელმწიფოდან პროტაგონისტობამდე“[1] დეტალურად აღწერს იტალიის საგარეო პოლიტიკას ბალკანეთსა და კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში და ხაზს უსვამს ყველა იმ გამოწვევავას, რომლის წინაშეც დადგა იტალია აღნიშნულ პერიოდში. ასევე

[1] Барабанов О.Н., Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов“. М., 2002.

საინტერესოა 2012 წელს ა. ტინოვსკის სადისერტაციო ნაშრომი[1]. ამ ავტორთა ნაშრომებში არის საკითხები, რომელიც ძალზედ საინტერესო იყო იტალიის საშინაო პოლიტიკის შესასწავლად. რამდენიმე საკითხი სადაოა და ამაზე ნაშრომში დაწვრილებით გვექნება საუბარი

ზოგადად, ბალკანეთი და კოსოვოს კრიზისი ფართო თემაა და მასზე მრავალი მიმართულებით შეიძლება მუშაობა, თუმცა ჩვენ ვეცადეთ ამ კრიზისის კონკრეტულ პერიოდზე და იტალიის საგარეო პოლიტიკაზე გვესაუბრა. კოსოვოს კრიზისს ეხმაურებიან ავტორები, რომელთანაც ნათლადაა წარმოჩენილი კრიზისის გენესიზი, განვითარება და მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის როგორც გლობალური ისე რეგიონალური მასშტაბით, ეს ავტორებია ე. გუსკოვა[2], დ. დენისოვი და ა. მანაჩინსკი[3], ე. მასლოვა[4] და სხვები

ნატო-იტალიის ურთიერთობებს ბალკანეთის საკითხებში ეხმაურება ბევრი დასავლეთელი ავტორი, მათი ნაშრომები[5] მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი თემისთვის. საინტერესოა, ასევე პაულ ლატოვსკის და მარტინ სმიტის ნაშრომი[6].

წინამდებარე ნაშრომის კვლევისას გამოვიყენეთ იტალიური პერიოდული პრესა: იტალიური გაზეთის "La repubblica" -ს და ,,La Stampa" -ს სტატიები, სადაც საუბარია ჩვენი საკვლევი პერიოდის დროინდელ იტალიის მთავრობის ქმედით ნაბიჯებზე, თუ რა

---

[1] Тыновский А. С., Трансформация партии "Национальный альянс" в Италии в 1994-2009 годах

[2] Гуськова Е., История югославского кризиса (1990-2000)". М., 2001

[3] Манчинский А. Деенисов Д. „Косово и Метохия: между автономией и сепаратизмом История и современность". Пушкино, 2014.

[4] Маслова Е. Идеологические основы внешней политики Италии периода Второй республики. Диссертация М., 2012

[5] R. Menotti, Fe. Eichberg, A. Grazioso, G. Scotto „L'intervento della NATO in Kosovo: riflessioni su una escalation coercitiva" http://www.cespi.it/sites/default/files/documenti/lab_32000.pdf
Italy in the Balkans To mark the visit of Italian President Carlo Azeglio Ciampi to NATO, Ambassador Amedeo de Franchis examines Italys policy towards the Balkans.

[6] Pau Latowski and Martin Smith. The Kosovo crisis and the evolution of post-Cold War European security.. Manchester University Press. 2003.

გადაწყვეტილებებს იღებდა იტალიის მთავრობა აღნიშნულ კრიზისში და როგორი იყო მისი საგარეო პოლიტიკის კურსი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო ნაშრომისა თუ საგაზეთო სტატიებისა გავეცანი შესაბამის დოკუმენტებს რომელმაც მოგვცა საშუალება თემის ფართოდ წარმოჩენისთვის.

თავი I. იტალია და ბალკანეთის კრიზისი

§1.1. **იუგოსლავიის დაშლა და ბალკანეთის კრიზისი იტალიის უსაფრთხოების ახალი გამოწვევები (1991-1995 წწ). წინარეისტორია**

„ცივი ომის'' წლებში იტალიელი ანალიტიკოსები ხშირად იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის სტრატეგიულ თვითიდენტიფიკაციას „საშუალო სახელმწიფოს" რანგში. "საშუალო სახელმწიფოს" ასეთი გაგება განსაზღვრავდა იტალიის მაშინდელი საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის პრიორიტეტებს. ამიტომაც, სოციალისტურ იუგოსლავიას იტალიის საგარეო პოლიტიკაში და სამხედრო სტრატეგიაში არც თუ ისე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რადგანაც ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაპირისპირებაზე, რომელშიც იტალია განიხილებოდა როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხრეთის ფლანგი,

იუგოსლავიას - კი (ნეიტრალურს და შეუერთებელს) მიკუთვნებული ჰქონდა ბუფერის როლი, რომელიც დაიცავდა იტალიას ვარშავის პაქტის ჯარების თავდასხმისგან.

იუგოსლავია იტალიისათვის დამოუკიდებელი მოწინააღმდეგის რანგში არ განიხილებოდა და იტალიის სამხედრო დოქტრინაში არაფერია ნათქვამი ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვრებში იუგოსლავიის მხრიდან საშიშროების საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ. პირიქით, გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკითხს იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, ვარშავის პაქტის ჯარების შეჭრის შემთხვევაში იტალიის საზღვრებთან იუგოსლავიის მისადგომების ბლოკირების საკითხს. ამ ვარიანტით განიხილებოდა იტალიის საზღვრების მოხერხებული მისადგომების დაცვის მიზნით იტალიური ძალების გადაყვანა სლოვენიაში მდინარე საბის ხეობაში, მისი მთავარი ცენტრით, ლუბლიანითურთ. მთლიანობაში სსრკ-სთან და ვარშავის პაქტის ქვეყნებთან ნეიტრალური იუგოსლავიის და ასევე ავსტრიის არსებობა ბუფერის რანგში აძლევდა იტალიას შესაძლებლობას არ ეფიქრა სერიოზულად „აღმოსავლეთის საშიშროებაზე“ და ამ საკითხში თავისი განსაკუთრებული პრიორიტეტების გარეშე მიყოლოდა ნატოს საერთო პოზიციას.[1] გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგიისათვის 1980-იან წლებში ითვლებოდა სხვა - ხმელთაშუაზღვის მიმართულება.

იტალიის საზღვაო საზღვრის მნიშვნელოვანი სიგრძე, მისი „გახსნილობა“ მაღრიბისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით წარმოადგენდა ქვეყნისათვის ყველაზე სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ პრობლემას. ამიტომაც სწორედ ხმელთაშუაზღვის (და ისლამური) საკითხები იყო იტალიის თავდაცვისა და დიპლომატიის ყურადღების ცენტრში. სწორედ, ამ მიმართულებით წარმოჩინდა იტალიის პირდაპირი დაინტერესება აშშ-ს (რომლის ფლოტიც პატრულირებდა ხმელთაშუა ზღვს რეგიონში და წარმოადგენდა ნატოს სამხრეთი ფლანგის უშუალო დაცვას) მხრიდან მხარდაჭერისა. ამის შედეგი გახდა იტალიის მიერ მთელი ცივი ომის

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов, გვ. 8

პერიოდში რეგიონში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ხაზისადმი გაცნობიერებული და ხანგრძლივი დამოკიდებულება. მთლიანობაში, ეს მდგომარეობა შენარჩუნდა 1980-იანი წლების მეორე ნახევარშიც მიუხედავად იტალიურ-ამერიკული ინციდენტებისა (მაგალითად 1986 წელს სიგონელას ბაზაზე)[1] და ბენიტო კრასის მმართველობის პერიოდში (1983-1987 წ.წ.) გაძლიერებული იტალიის ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკის დამოუკიდებლობისა, რომელშიც აქცენტი კეთდებოდა მშვიდობიან პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, რეგიონის არაბულ ქვეყნებთან დაძაბულობის შესამცირებლად და ისლამური ტერორიზმის ტალღის შესაკავებლად.

ასე, რომ იტალია ლიბიაში 1986 წლის 15 აპრილს ამერიკის მიერ განხორციელებული დაბომბვის წინააღმდეგი იყო და ატარებდა აქტიურ პირდაპირ მოლაპარაკებებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან და მის ლიდერთან არაფატთან. შემუშავებულ იქნა აგრეთვე ცნება „ხმელთაშუა ზღვის საშუალო სახელმწიფო“

1980 წლის მეორე ნახევარში მეტი მნიშვნელობა მიენიჭა კიდევ ერთ ფაქტორს იტალიის საგარეო პოლიტიკაში- კერძოდ, ევროპულს. აქ მთავარი გახდა მზარდი შიში და უკმაყოფილება გაერთიანების პირას მყოფი გერმანიის მიმართ. ევროპაში გერმანიის როლის მკვეთრი ზრდის გაცნობიერება და ამისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი გახდა იტალიის ევროპული პოლიტიკის ლაიტმოტივი.

---

[1]საზღვაო საჰაერო სადგური-**Sigonella** -არის იტალიური საჰაერო ძალების ბაზა და აშშ-ს საზღვაო სამონტაჟო ნატოს ბაზაზე. 1959 წლის 15 ივნისს დაფუძნდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო საჰაერო ინფრასტრუქტურა **(NAF), Sigonella;** მისი პირველი მეთაური იყო კაპიტანი ვალტერ ჯ. ფრეზირი. სიგონელას კრიზისი. 1985 წლის ოქტომბერში **რონალდ რეიგანის** პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში და იტალიაში **Bettino Craxi**- ს მთავრობაში სერიოზული პოლიტიკური სამხედრო კრიზისი მოხდა, სადაც ეგვიპტურმა თვითმფრინავმა პალესტინელი ტერორისტის აბუ აბასთან და ოთხი სხვა ტერორისტულმა ჯგუფმა, გაიტაცეს იტალიის გემი „Achille Lauro“ . გემის ყველა მგზავრი გათავისუფლდა გარდა, ლეონ კლინბოფერისა, რომელიც, აშშ-ს პასპორტით იყო და მოკლეს. მათ მიიღეს თვითმფრინავი და ეგვიპტის მთავრობის უსაფრთხოება, რაც უზრუნველყოფდა მათ გადაყვანას ტუნისში, სადაც განთავსდა PLO. თუმცა, საჰაერო ხომალდი გაიტაცა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ავიაციის გამანადგურებელმა. ამის შედეგი იყო ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიზისი ომის შემდეგ იტალიაში აშშ-ს ურთიერთობებში.

საინტერესოა, რომ ამ ორმა აქცენტმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში; - ხმელთაშუა ზღვისა და ევროპულ-ატლანტიკურმა- ბ. კრაკსის მმართველობის პერიოდში მიიღო ორი ინსტიტუციონალური სახე.

უპირველეს ყოვლისა, ხმელთაშუა ზღვის თემას, მათ შორის რეგიონში მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას ანვითარებდა საგარეო საქმეთა სამინისტრო (მინისტრი ჯულიო ანდრეოტი), ხოლო აშშ-სთან კავშირი და ევროპული მიმართულება იყო თავდაცვის სამინისტროს ყურადღების მთავარი აქცენტი. (მინისტრი ჯოვანი სპადოლინი). მთლიანობაში პრიორიტეტების ასეთი დაყოფა შენარჩუნდა მომდევნო კაბინეტებშიც.

საკმაოდ მშვიდი იყო 1980-იან წლებში ლოკალური იტალია-იუგოსლავიის ისტრიული საკითხი, რომელიც მოიცავდა საზღვრის პრობლემას და ასევე ორივე ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების მდგომარეობას. ამ პრობლემის ისტორია მდგომარეობდა შემდეგში:

ისტრიის ნახევარკუნძულის ოლქები, იულიკის მხარის (ვენეცია ჯულია) და ადრიატიკის დალმაციული სანაპირო, ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ვენეციის საზღვაო რესპუბლიკის ეპოქაში განიხილებოდა როგორც იტალიის უშუალო ინტერესებში შემავალი ზონა. უძველესი ფესვები აქვს ამ რაიონების იტალიურ თემსაც, (უმეტესწილად ქალაქებში). მათი შეერთება იტალიის სამეფოსათვის იყო ერთ-ერთი მთავარი პირობა 1915 წლის ლონდონის შეთანხმებისა[1], რომლის მიხედვითაც იტალია შევიდა პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეს, თუმცა ომის დამთავრების შემდეგ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იტალიის მოთხოვნების უმრავლესობა არ შესრულდა. განსაკუთრებით მტკივნეული იყო იტალიისთვის უარი კვარნერის ყურის

[1]ლონდონის ხელშეკრულება (26 აპრილი, 1915) ნეიტრალური იტალიისა და საფრანგეთის, ბრიტანეთისა და რუსეთის მოკავშირე ძალებს შორის საიდუმლო ხელშეკრულება იტალიის პირველ მსოფლიო ომში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მოკავშირეები მოითხოვდნენ იტალიის მონაწილეობას ავსტრიასთან საზღვრის გამო. იტალიაში ტრიესტის, სამხრეთ ტიროლის, ჩრდილოეთ დალმაციის და სხვა ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ, იტალია დაპირდა ერთი თვის ვადაში ომში ჩართვას. მიუხედავად, იტალიელების უმრავლესობის ოპოზიციისა, რომლებიც მოითხოვდნენ ნეიტრალიტეტს, იტალია მაისში ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ომს შეუერთდა.

საპორტო ქალაქ ფიუმეს გადაცემაზე, რომელიც თავისუფალი ქალაქის რანგში დაექვემდებარა საერთაშორისო კონტროლს. ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული უკმაყოფილების აფეთქებამ გამოიწვია ის, რომ 1919 წელს, თვითნებურად იტალიის მთავრობისგან მალულად, ცნობილი პოეტის, გაბრიელ დ' ანნუნციოს რაზმის მიერ დაპყრობილ იქნა ქალაქი ფიუმე. მოგვიანებით, 1920 წლის იანვარში იტალიის და სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფოებს შორის რაპალოს შეთანხმების შესაბამისად ფიუმე გამოცხადდა თვითმმართველ ტერიტორიად და იტალიას მხოლოდ 1924 წლის იანვრის ახალი მოლაპარაკების შედეგად შეუერთდა. ასეა თუ ისე დ'ანნუნციოს „რომანტიკული" ლაშქრობა, როგორც პატრიოტიზმის და ირიდენტიზმის სიმბოლო შემორჩა იტალიელების, განსაკუთრებით იმ მხარეში მცხოვრები ადამიანების მახსოვრობაში.[1] ისტრიისა და იულინსკის მხარის პრობლემა ახალი ძალით წამოიჭრა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, როდესაც იოსიპ ბროს ტიტოს იუგოსლავიის სახალხო განმანთავისუფლებელი არმიამ გადაკვეთა იტალია - იუგოსლავიის საზღვარი, დაიკავა ამ ოლქების შერეული იტალიელებით-სლოვენებით-ხორვატებით დასახლებული ტერიტორიების ნაწილი და მოუვიდა შეტაკება ბრიტანულ-ამერიკულ ჯართან იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ამ კონფლიქტმა, რომელმაც მიიღო ტრიესტის კრიზისის[2] სახელწოდება, 1945 წლის ზაფხულში იუგოსლავია, (რომელსაც მხარს უჭერდა სსრკ) დიდი ბრიტანეთი და აშშ დააყენა ომის ზღვარზე.

ტრუმენის ადმინისტრაციის პირველი სამი თვე დაემთხვა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის დროინდელი ალიანსის დაშლის მნიშვნელოვან პერიოდს. როდესაც პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა, მოკავშირეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნაცისტური გერმანიისთვის გარდაუვალი იყო დამარცხება, მაგრამ ევროპის ბევრ ნაწილში არ დაემორჩილებოდა ომის შემდგომ შეთანხმებებს. საგარეო პოლიტიკის არარსებობის

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов, გვ.10.
[2]Roberto Rabel-Prologue to Containment: "The Truman Administration's Response to the Trieste Crisis of May 1945. https://academic.oup.com/dh/article-abstract/10/2/141/376481?redirectedFrom=PDF

გამოცდილება, ჰარი ტრუმენს უბიძგებდა უნდა ეძებნა ამ პრობლემების მოგვარების გზები. იმ დროს, როდესაც სამხედრო აუცილებლობის პრინციპი ვეღარ გაამართლებდა ურთიერთდაკავშირებული კონფლიქტების გადადებას.

ერთ-ერთი პირველი პრობლემა, რომელიც ახალ ადმინისტრაციის წინაშე დადგა, იყო იუგოსლავიის მიერ იტალიის ქალაქ ტრიესტში ოკუპაციის მცდელობა. 1945 წლის მაისში ამ ქმედებას ამერიკული და ბრიტანული ოპოზიციის მხრიდან, იუგოსლავიელებთან თითქმის შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა.

შემდეგ, მრავალმხრივი შემათანხმებელი კომისიის (საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობითაც) ხანგრძლივი მუშაობის მიმდინარეობისას, დადგენილ იქნა საზღვრის ახალი ხაზი და 1947 წლის 10 თებერვალს ხელი მოეწერა იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ფიურმე, ისტრია და იულინსკის ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა იუგოსლავიას, ხოლო ტრიესტის მიმდებარე ტერიტორია გამოცხადდა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიების საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულად.

ამ ოლქების იუგოსლავიის არმიის მიერ დაკავებამ და მისმა შემდგომმა გამოყოფამ იტალიიდან გამოიწვია იქ მაცხოვრებელი იტალიელების მასიური გასვლა. ბუნებრივია ამან გამოიწვია ირიდენტიზმის ახალი ტალღა.

პადუაში 1945-1948 წლებში ისტრიელი დევნილი ნ. დუბრინი კოლეგებთან ერთად გამოსცემდა გაზეთს სახელწოდებით “Fiume libera”. ჯერ კიდევ წინააღმდეგობის წლებში წარმოქმნილი ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტები შემათანხმებელი კომისიის წინაშე აქტიურად ამტკიცებდნენ იტალიის უფლებას ისტრიაზე და იულიისკის მხარეზე.

საკმაოდ დაძაბული იყო ასევე სიტუაცია ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე იქ, 1948 წლის მარტში, 1952 წლის აპრილში და ოქტომბერში ადგილი ჰქონდა სერიოზულ კონფლიქტებს. 1954 წლის 5 ოქტომბრის ლონდონის შეთანხმების მემორანდუმით ტრიესტის საკითხი ასე თუ ისე დარეგულირდა. მისი ჩრდილოეთი

ნაწილი ტრიესტის პორტით გადაეცა იტალიას. ხოლო სამხრეთი ნაწილი კაპოდისტრიის პორტით გადაეცა იუგოსლავიას. ამ გაყოფის შედეგად იტალიელი მოსახლეობის ნაწილი აღმოჩნდა იუგოსლავიაში (სლოვენიაში და ხორვატიაში), ხოლო სლოვენების (და ნაკლებად ხორვატების) ნაწილი კი - იტალიაში. 1845 წლის იუგოსლავიის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ისტრიის და იულინსკის მხარის მოსახლეობის 27 % იყვნენ იტალიელები. სიტუაცია მეტნაკლებად დასტაბილურდა 1850 - წლების მეორე ნახევარში. 1960-იან წლებში იტალიისათვის გაცილებით სერიოზული იყო ალტო ადიჯეს (სამხრეთ ტიროლის) პრობლემა, სადაც გერმანულენოვანი უმცირესობა (რაღაც დოზით ინსპირირებული ავსტრიიდან) გამოდიოდა მკვეთრი ანტიიტალიური მოქმედებებით, ტერაქტებითაც კი.

1970-იანი წლები გამორჩეული იყო თავიდან დაძაბულობისა და მკვეთრი ანტიიტალიური კამპანიით იუგოსლავიაში. შემდეგ, სიტუაცია განიმუხტა და 1975 წლის 10 ოქტომბერს ქალაქ ოზიმოში (ანკონის ახლოს) ხელი მოეწერა იტალია-იუგოსლავიის ორმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც განამტკიცებდა არსებული საზღვრების ურღვევობას, არეგულირებდა უმცირესობების კულტურულ ავტონომიას და განსაზღვრავდა ეკონომიური თანამშრომლობის მიმართულებას. 1947 და 1954 წლების შეზღუდვების შედეგად ტრიესტი პრაქტიკულად მოწყვეტილი აღმოჩნდა ეკონომიკურ ზონებს მიღმა. ამიტომაც ოზიმის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო ასევე ტრიესტსა და იუგოსლავიის ტერიტორიებს შორის გზების მშენებლობა, ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის საზღვრის გადაკვეთის გაადვილება. ამის შემდეგ იტალიისა და იუგოსლავიის სფრ-ს ურთიერთობამ მიიღო კეთილმეზობლური ხასიათი, რასაც ორივე მხარე უსვამდა ხაზს, საუბარი იყო „ოზიმის სულისკვეთებაზე“[1] და უმცირესობებისა და საზღვრის პრობლემამ დაკარგა სიმწვავე. ერთადერთი სექტორი სადაც ხდებოდა ინციდენტები იყო თევზჭერის ზონა ადრიატიკის ზღვაში, სადაც იუგოსლაველი პატრულები იჭერდნენ იტალიელ მეთევზეთა შხუნებს, იუგოსლავიური ტერიტორიული

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов, გვ. 12.

წყლების დარღვევის საბაბით. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კონფლიქტი გახდა 1986 წლის 19 ნოემბრის კაზუსი, როდესაც ტრიესტის ყურეში იუგოსლავიელმა მესაზღვრეებმა ცეცხლი გაუხსნეს იტალიელ მეთევზეებს, რომლის შედეგადაც ერთი ადამიანი გარდაიცვალა. მთლიანობაში სიტუაცია საზღვარზე და უმცირესობებთან იყო საკმაოდ მშვიდი და მიუხედავად ბოლო წლებში თავისი წარმოშობით პროფაშისტური იტალიური სოციალისტური მოძრაობის გაძლიერებისა, რომლებიც მოითხოვდნენ იუგოსლავიის სფრ-ს საზღვრის გადახედვას, იტალიელები თანდათანობით ივიწყებდნენ ამ პრობლემის დეტალებსაც კი. ასე რომ ჟურნალ "Фамилья кристиана"-ს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მხოლოდ რესპოდენტთა 29%-მა იცოდა, რომ იტალიელები ყოველთვის ცხოვრობდნენ ისტრიაში, იულინსკის მხარეში და დალმაციაში, ხოლო - 56% ვარაუდობდა, რომ ისინი იქ ემიგრირებული იყვნენ. 1981 წლის აღწერის მიხედვით იუგოსლავიის სფრ-ში იტალიელად თავი 15 ათასმა მაცხოვრებელმა გამოაცხადა, 1991 წლის აღწერისას კი, როდესაც ნაციონალური თვითშეგნება უკვე მეტად იყო ხაზგასმული, დაფიქსირდა 28 ათასი იტალიელი. (აქედან 25 ათასი ხორვატიაში, დანარჩენები კი-სლოვენიაში). იტალიაში ტრიესტის რაიონში 1971 წლის აღწერით იყო 25 ათასი სლოვენი.

§1.2. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და იტალიის საზღვართან შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება

1980-იანი წლების ბოლოს, ბიპოლარიზმის მოსალოდნელი კრახის პირობებში, იტალიამ დაიწყო ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებთან ურთიერთობისათვის მეტი ყურადღების მიქცევა. 1989 წელს ის იუგოსლავიასთან, ავსტრიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და უნგრეთთან ერთად გახდა ე.წ. ,,პენტაგონალის" ჯგუფის ფუძემდებელი, 1991 წელს მისცა იმპულსი ცენტრალური-ევროპული ინიციატივის ჯგუფის შეხვედრებს. ამ დროს იუგოსლავიის ჩრდილოეთ რესპუბლიკებში; სლოვენიასა და ხორვატიაში უკვე დაიწყო გამოყოფის პროცესები. 1989 წლის

სექტემბერში სლოვენიამ რესპუბლიკურ კონსტიტუციაში მიიღო შესწორებები, რომელიც ფედერალურ კონსტიტუციას ბევრ რამეში არ ემთხვეოდა. მათ შორის შესწორება აღიარებდა იტალიურ და უნგრულ მოსახლეობას სლოვენიაში, როგორც „ავტოქტონურ უმცირესობას“, მათ ქონდათ უფლება მშობლიური ენის გამოყენების და სხვა კულტურული ავტონომიის უფლება. უნდა ავღნიშნოთ, რომ სხვა იუგოსლავიური ხალხების წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობდნენ სლოვენიაში არ აღიარებდნენ „ავტოქტონურ უმცირესობად“ და არც შესაბამისი უფლებები ჰქონდათ, მაგრამ იტალიური სათვისტომოს მიმართ ასეთი ნაბიჯები გადაიდგა და ამის შედეგად 1989-1991 წლებში იტალიურ-სლოვენური კონტაქტები მთლიანობაში ვითარდებოდა კეთილმეზობლობის საფუძველზე. 1991 წლის 9 იანვარს იტალიაში ძალაში შევიდა კანონი;[1] - რომელიც ითვალისწინებდა ფრიულის რეგიონის, ვენეციის და ჯულიას, ასევე, პროვინცია ბელუნის და მის მიმდებარე ოლქების ეკონომიკურ განვითარებას. მისი ამოცანა იყო ცენტრალურ ევროპაში პენტაგონალის ჯგუფის ფარგლებში პროექტების ფინანსირების სისტემის ორგანიზაცია. იუგოსლავიასთან მიმართებაში, ფაქტობრივად, სლოვენიის საზღვრისპირა ოლქებში გათვალისწინებული იყო საავტომობილო გზების მშენებლობა, იუგოსლავიაში იტალიელი უმცირესობების და იტალიაში სლოვენური უმცირესობების მხარდაჭერის ფონდების გაფართოება, სტიპენდიების გაცემა და ა.შ. იმ წლებში სლოვენიისადმი იტალიის მეგობრულ დამოკიდებულებას ხაზს უსვამდა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში სლოვენიის პრეზიდენტი მილან კუჩანი. მიუხედავად ამისა 1991 წელს იტალიის მთავრობა თავიდან ისევე როგორც ევროპული ქვეყნები და აშშ, მხარს უჭერდა იუგოსლავიის ერთიანობას. ამის შესახებ ღიად განაცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანი დე მიკელისმა 1991 წლის 4 მაისს რეიკიავიკში.

1991 წლის 26 მაისს, სლოვენიისა და ხორვატიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მომდევნო დღეს ჯ. დე მიკელისმა და გფრ-ს საგარეო საქმეთა

[1] Legge 9 gennaio 1991 n.10 “Norme per l'attuazione del Piano energetico nazionale in materia di uso razionale dell'energia, di risparmio energetico e di sviluppo delle fonti rinnovabili di energia. http://www.fire-italia.org/prova/wp-content/uploads/2015/04/termotecnica1.pdf

მინისტრმა გენშერმა მიმართეს თავიანთ იუგოსლავიელ კოლეგას ლონკარს ერთობლივი განცხადებით, რომ აღიარებენ მხოლოდ იუგოსლავიის სფრ-ს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, მაგრამ შემდეგში, სლოვენიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან ივნისის ბოლოს და ივლისს დასაწყისში, 1991 წელს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება იუგოსლავიის პრობლემისადმი შეიცვალა.[1] რამდენიმე სახელმწიფო, პირველ რიგში გერმანია, ავსტრიის, დანიის და უნგრეთის მხარდაჭერით გამოდიოდნენ, სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. ამ საკითხში იტალიის პოზიცია სხვადასხვანაირად ფასდებოდა. არაიტალიელი მკვლევარების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთმიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ იტალია იყო ახალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აქტიური მხარდამჭერი. იტალიელი ავტორები გვაძლევენ უფრო დეტალურ და დივერსიფიცირებულ სურათს. ერთის მხრივ იტალიურ საზოგადოებაში იკვეთებოდა ტენდენცია, რომელიც მიმართული იყო იუგოსლავიის ერთიანობისკენ და აქედან გამომდინარე ხდებოდა სერბიის მოქმედებების წახალისება. სწორედ ამას გამოხატავდა, თუმცა ყოველთვის თანმიმდევრულად არა, საგარეო საქმეთა მინისტრი მიკელისი. სხვა პროხორვატულ-სლოვენური თვალსაზრისი გავრცელდა პირველ რიგში ვატიკანის გავლენით და მოიცვა ქვეყნის კათოლიკური წრეები. ასე, რომ მიკელისი შევიდა 1991 წლის 28 ივნისს იუგოსლავიაში გაგზავნილი ევროპული თანამეგობრობის სამშვიდობო სამეულის შემადგენლობაში და გახდა 1991 წლის 7 ივლისის იუგოსლავიის სფრ-ს ხორვატიის და სლოვენიის ბიონის დეკლარაციის ერთერთი „პროტაგონისტი“.[2] დეკლარაციისა რომელიც აწესებდა სამთვიან მშვიდობიან მორატორიუმს ორი რესპუბლიკის გამოსაყოფად და ხაზს უსვამდა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის აუცილებლობას. შემდეგ, 1991 წლის სექტემბერში, მიკელისის პოზიციამ მიიღო არა მხოლოდ პროიუგოსლავიური არამედ

[1] საკითხის გარშემო იხ. Югославия в XX веке: Очерки политической истории / Ответственный редактор К. В. Никифоров. — М.: «Индрик», 2011.

[2] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов, გვ. 14.

ანტიხორვატული ხასიათი. სერბების მიერ დალმაციაზე შეტევის მომენტებში მან განაცხადა, რომ რეგიონში მტრული განწყობის გაძლიერებაში დამნაშავენი არიან ხორვატები და ისინი ძალიან ცდებიან თუ ფიქრობენ რომ იუგოსლავიის შესახებ ჰააგის კონფერენციის რჩევების გაუთვალისწინებლობით მიაღწევენ საერთაშორისო აღიარებას. მიკელისმა გააკრიტიკა აგრეთვე პაპის, იოანე პავლე მეორის პოზიცია და ბრალი დასდო მას რელიგიური ომის გაღვივების მცდელობაში, ნაცვლად იმისა რომ ეზრუნა ეკუმენიზმზე და დაედასტურებინა ვატიკანში ხორვატული ლობის არსებობა. შემდეგში მიკელისი ხელს უწყობდა იტალიაში ანტიხორვატული განწყობის ფორმირებას, ხაზს უსვამდა ხორვატიაში იტალიური უმცირესობების უფლებების შელახვას. ასეთი განცხადეების კეთების საფუძველს, გარდა რამოდენიმე კონკრეტული ფაქტისა, იძლეოდა აგრეთვე 1990 წლის 22 დეკემბერს მიღებული ხორვატიის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით ქვეყანა აღიარებული იყო „ხორვატული ერის ნაციონალურ სახელმწიფოდ“[1]. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის შედეგია მისი განცხადება, რომ „იტალია უპირეტესობას ანიჭებს კონფედერაციის ფორმით გაერთიანებულ იუგოსლავიას“.

იტალიის მიერ ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარების პირობად კი მან დააყენა მისი აღიარება მთელი მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ, რადგანაც თუ ხორვატიას მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანა აღიარებდა ეს იქნებოდა ცეცხლში ნავთის დასხმის ტოლფასი ქმედება.

1991 წლის სექტემბერში საპირისპირო მოსაზრებას ვატიკანის გარდა გამოხატავდნენ აგრეთვე ტურინული გაზეთის ,,La Stampa‘‘ მიმომხილველებიც. მათ შორის იყო აგრეთვე იტალიის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში სერჯო რომანო. ის ხაზს უსვამდა იუგოსლავიური ფედერალიზმის სიმყიფეს და პირიქით, უთითებდა სერბების ჰეგემონიზმს, ამბობდა, რომ ერთიანი და გასამხედროებული იუგოსლავია შეიძლება გახდეს მეზობელი ქვეყნებისათვის, პირველ რიგში იტალიისა და

[1]საკითხის გარშემო იხ. Гуськова Е.Ю.- История югославского кризиса (1990 -2000)

ავსტრიისათვის, სერიოზული საფრთხე. და ბოლოს 1991 წლის 15 სექტემბერს მან ხაზი გაუსვა, რომ სამმა ქვეყანამ იტალიამ, გერმანიამ და ავსტრიამ უნდა მოახდინონ ამ პრობლემის ირგვლივ თავიანთი პოზიციების კონსოლიდირება. ,,La Stampa"-ს მისცა ინტერვიუ 1991 წლის სექტემბერში ხორვატიის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ფრანიო გრეგურიჩმა, რომელმაც მიკელისს უწოდა „ქამელეონი" და განაცხადა, რომ ნაცვლად იმისა- ყოფილიყო ხორვატიის მოკავშირე, რომმა ის მიატოვა ბედის ანაბარა (განსხვავებით ვენისა და ბუდაპეშტისა)." ასეთები არ გავიწყდება" - ხაზი გაუსვა გრეგურიჩმა.[1] იტალიელების სწრაფვას ერთიანი იუგოსლავიის შენარჩუნებაზე აკრიტიკებდნენ ავსტრიისა და გერმანიის პრესაშიც. 1991 წლის 2 სექტემბერს იტალიის სენატში იუგოსლავიის საკითხებისადმი ამ ორმა მიდგომამ დებატების დროს მიიღო თავისი ახსნა. ჯერ ერთი ხორვატიისა და სლოვენიის არაღიარების სურვილის ახსნა შეიძლებოდა პარალელების გავლებით იუგოსლავიის სფრ-ს დაშლასა და იტალიის საზღვრისპირა რეგიონებში ალტო ადიჯეში და ვალლე დ'აოსტაში (შესაბამისად ავსტრიისა და ფრანგულ უმცირესობებში) სეპარატიზის სავარაუდო გაძლიერებაში, რომლის უკანაც უკვე იდგა ზემოთ მითითებული შიში რეგიონში გერმანიის როლის გაძლიერების შესახებ. „ჩანდა, რომ ხმელთაშუა ზღვაში იტალიის უსაფრთხოება დამოკიდებული იყო აშშ -ზე, რომელიც ამ პერიოდში წარმოადგენდა სტატუს-ქვოს იუგოსლავიაში"[2], მეორე მხრიდან, ბევრისათვის იტალიაში მიმზიდველი აღმოჩნდა სურვილი გადაეხედათ 1975 წლის შეთანხმება იტალია-იუგოსლავიის საზღვრის რეგულირების შესახებ. გაისმოდა ხმები იმის შესახებ, რომ რადგანაც იუგოსლავიის სფრ ძველი სახით არ არსებობდა ე.ი. შეთანხმებაც არ იყო სავალდებულო იტალიისათვის. ამგვარი მიდგომების მიმართ თავისი მკვეთრი უთანხმოება გამოხატა მიკელისმა დებატების დროს განაცხადა რა, რომ იტალია არ აპირებს გაასაჩივროს

[1] „La Stampa Tornino 1991.Maggio 26 giugno, 30 giugno,1 luglio,15 settember: Die presse" https://www.lastampa.it/torino
[2] „La Stampa Tornino 1991.Maggio 26 giugno, 30 giugno,1 luglio,15 settember: Die presse" https://www.lastampa.it/torino

დადგენილი საზღვრები და, რომ საჭიროა ოზიმის შეთანხმების სულისკვეთების შენარჩუნება.

იუგოსლავიის კრიზისისზე იტალიის პოზიციის კარდინალური ცვლილება მოხდა 1991 წლის ოქტომბრის დასაწყისის ე.წ. ტრიესტის სკანდალის შემდეგ. მისი არსი მდგომარეობდა იმაში,რომ წარმოიშვა იდეა იტალიური პორტის ტრიესტას გავლით დაებრუნებინათ სახლში იუგოსლავიის არმიის ნაწილები, რომლებიც ბლოკირებული იყვნენ სლოვენიაში იქ საბრძოლო შეტაკებების შეწყვეტის შემდეგ, სულ იყო 25 ათასი ადამიანი და 80 ტანკი. როგორც ჩანს, მიკელისმა თავის ევროპელ კოლეგებთან განაცხადა იმის შესახებ, რომ იტალია მზადაა გაატაროს იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილები თავისი ტერიტორიაზე. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ სერბ სამხედროებს ჰქონდათ გარკვეული კონტაქტები ამის თაობაზე იტალიის თავდაცვის სამინისტროში, თუმცა 4 ოქტომბერს ტრიესტში ყოფნისას იტალიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ პირველად ახსენა რა ღიად ეს პროექტი, გამოვიდა მისი მწვავე კრიტიკით. იტალიის პარლამენტმა განაცხადა პროტესტი, რომ ის არ ჩააყენეს ისეთი მნიშვნელოვანი საქმის კურსში, რომელსაც შეეძლო იტალია ჩაეთრია იუგოსლავიის ომში. ტრიესტის მცხოვრებლებმა მოაწყვეს მანიფესტაცია, ხორვატული პრესა გამოეხმაურა ამ ამბავს ძალიან მწვავე გამონათქვამებით, სლოვენიის ხელისუფლებამ განაცხადა იტალიელების მხრიდან სერბი ჯარის მიმართ უფასო მომსახურებაზე და პრობლემა დაიხურა.[1] იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიტალონემ გამოიწვია ევროპული თანამეგობრობიდან განცხადება იტალიის მზადყოფნაზე იუგოსლავიის ეროვნული არმიის (ЮНА) გატარების შესახებ. ამის შემდეგ უცებ ორ გაზეთში ,,Le Monde“ და ,,Frankfurter Allgemeine Zeitung“-ში გამოჩნდა სტატიები, სადაც საუბარი იყო შთაბეჭდილებებზე, რომ იტალიის მთავრობა ცდილობდა შეთანხმებას სერბებთან, რომ მიეღო გარკვეული სარგებელი ხორვატიაში და სლოვენიაში. ეს განცხადებები ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან. სკანდალის შემდეგ იტალიის პოლიტიკა

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.16

მიმართულებას იცვლის. 1991 წლის 31 ოქტომბერს მიკელისმა ხორვატ კოლეგა სერაპოვიჩთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იტალია მზად არის მიიღოს 80 ათასამდე ხორვატი დევნილი ტრევიზოს და უდინეს სპეციალურ ცენტრებში. ნოემბრის დასაწყისში ქვეყნის პრეზიდენტმა ფ. კოსიგამ გადაკვეთა სლოვენიის საზღვარი და შეხვდა სლოვენიის პრეზიდენტს კუჩანს, ამით მან შეასრულა აღიარების სიმბოლური ჟესტი. ნოემბრის განმავლობაში იტალიის პრემიერი ანდრეოტი გერმანიის კანცლერ კოლთან და ავსტრიის კანცლერთან ვრანიცკისთან ატარებს რამოდენიმე შხვედრას, სადაც საუბარია ორივე რესპუბლიკის აღიარებაზე, არ ელოდებოდნენ რა ევროპული თანამეგობრობის ერთობლივ აღიარებას. დეკემბერში, ევროპული თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიკელისმა, მიუხედავად საფრანგეთის მხრიდან სიფრთხილისა, დაჟინებით შესთავაზა კოლეგებს სლოვენიისა და ხორვატიის აღიარება წლის ბოლომდე. გაზეთ ,,Le Monde“ განაცხადა, რომ არ შეიძლება უსასრულოდ ლოდინი და არ აღიარო ხორვატიის დამოუკიდებლობა „როდესაც მიმდინარეობს უკრაინის აღიარების პროცესი“. როგორც ცნობილია ევროკავშირის მიერ ახალი რესპუბლიკები აღიარებულიქნა 1992 წლის 15 იანვარს.

ამ დროს იცვლება იტალიის ოფიციალური პოზიცია სერბიასთან მიმართებაშიც. დასავლეთ-ევროპული კავშირის გადაწყვეტილებით 1991 წლის 19 ნოემბერს იტალიამ საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად დაიწყო პატრულირება ადრიატიკაში. ევროპის თანამეგობრობის უკვე ნახსენებ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე 1991 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეკონომიური სანქციები გამოყენებული იქნება მხოლოდ სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ. ქვეყნის პრეზიდენტმა კოსიგამ დეკემბერში ღიად განაცხადა, რომ სერბია და იუგოსლავიის ნაციონალური არმია ატარებენ გენოციდს. მიუხედავად იტალიის მისწარაფებისა 1991 წლის ოქტომბერში ეღიარებინა სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა, ქვეყანაში ძლიერდება და დიდ

გამოძახილს პოვებს ამ ორ რესპუბლიკაში იტალიური თემის დაცვის პრობლემები. 1991 წლის 22 და 23 ოქტომბერს იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატა ამ საკითხს უძღვნის სპეციალურ სხდომებს. პრობლემის მთავარი პუნქტი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ადრე ერთიანი იტალიური თემი და მისი ინტერესების გამომხატველი იტალიელთა კავშირი ცხოვრობდა პლურალურეთნიკურ ფედერაციულ სახელმწიფოში, ახლა ეს თემი იყოფოდა ორად სლოვენურ და ხორვატულ თემებად და ორივე მათგანი აღმოჩნდა მონოეთნიკურ, საკმაოდ ძლიერი, ნაციონალისტური განწყობის მქონე რესპუბლიკებში. ამიტომაც იტალიის მთავარი მოთხოვნა მდგომარეობდა იტალიელი უმცირესობებისათვის ეკონომიური განვითარების, ენის, კულტურის, გარემოს დაცვის და ა.შ. სფეროებში ორივე ქვეყანაში ერთნაირი სტატუსის მინიჭების, ასევე იქ მაცხოვრებელი იტალიელებისათვის სლოვენო-ხორვატული საზღვრების გამჭირვალობის აუცილებლობაში. საპარლამენტო დებატებში ხშირად წამოიწევდა საკითხი 1947 წლის დემარკაციის შემდეგ ხორვატიიდან და სლოვენიიდან იტალიაში წასული იტალიელების მიერ იქ დატოვებული ქონების შესახებ. ამ თემამ შემდეგ მიიღო განვითარება. დეპუტატთა პალატამ დაავალა იტალიის მთავრობას ამ მიმართულებით მიეღო შესაბამისი ზომები. მინისტრთა კაბინეტი მართლაც იწყებს ასეთ მუშაობას და ინტენსიური დიპლომატიური მომზადების შემდეგ სწორედ 1992 წლის 15 იანვარს, ორი რესპუბლიკის აღიარების დღეს იტალიამ და ხორვატიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, სლოვენიაში და ხორვატიაში იტალიელი უმცირესობების დაცვის შესახებ, სადაც საზოგადოების ერთიანი სტატუსის აღიარებამ, მისმა ავტოქტონურობამ და უფლებების დაცვამ ჰპოვა თავისი გამოხატვა. ნიშანდობლივია, რომ სლოვენიამ, რომელიც მონაწილეობდა მემორანდუმის მომზადებაში ხელი არ მოაწერა დოკუმენტს, თუმცა განაცხადა, რომ აპირებს მისდიოს მის პრინციპებს, გარდა ამისა 1991 წლის 23 დეკემბერს იტალიაში მიიღეს კანონი რომელიც იუგოსლავიაში მცხოვრებ იტალიელებს, რომლებიც ომის გამო იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლები, უადვილებდა იტალიაში შემოსვლას და იქ ცხოვრებას. მათ აქვთ სამსახურის

პოვნის, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის, განათლების მიღების შეღავათების და ა.შ. გარანტიები.[1]

თუ შევაჯამებთ 1991 წლის იტალიის პოლიტიკას, უნდა აღინიშნოს მისი არასტაბილურობა, როდესაც ქვეყნის პოზიცია ხშირად იცვლებოდა, ეს იწვევდა ევროპისა და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი იუგოსლავიური მხარეების უკმაყოფილებას. იტალიის პოლიტიკას ორი ფაქტორი განსაზღვრავდა. პირველი, ისტრიისა და იულინსკის მხარის პრობლემა, სადაც იტალიელი უმცირესობების აქტიურ დაცვას დაემატა ბევრის ლატენტური სურვილი, გადაეხედათ ომის შემდგომი დემარკაციის შედეგები და ოზიმის 1975 წლის ხელშეკრულება, შესაბამისად დაებრუნებინათ იტალიის მიერ დათმობილი მიწები. სწორედ ეს გახდა 1991 წლის ივნის-დეკემბრის იტალიის პროიუგოსლავიური და პროსერბული ნაბიჯების მოტივი. იტალიელი უმცირესობების ერთიანი სტატუსისა და ავტოქტონურობის მოთხოვნა დაედო საფუძვლად იტალიის პროხორვატულ და პროსლოვენურ პოზიციას 1991 წლის ოქტომბერიდან 1992 წლის იანვარის ჩათვლით.

მეორე ფაქტორი, იტალიელთა ტრადიციული უარყოფითი დამოკიდებულება ახალ რესპუბლიკებში გერმანიის (და მასთან ერთად ავსტრიისა და უნგრეთის) გავლენის გაძლიერებაზე. თუმცა იტალია უფრთხოდა გერმანიასთან ღია დაპირისპირებას და იმედოვნებდა გერმანიიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და ავსტრიასთან შეთანხმებით გაიძლიერებდა პოზიციებს სლოვენიაში და ხორვატიაში.

ამას თან ერთვოდა შიში არ გამოეწვია ალტო ადიჯეში ავსტრიული სეპარატიზმი- ე.ი. მიზეზები რომლებმაც გამოიწვია ახალი ღერძი „ბონი-რომი“ და სერბიის მხრიდან იტალიის მწვავე კრიტიკა. ამას უნდა დაემატოს როგორც ალბანელი ასევე ხორვატი,

[1]Balkan International Migration in the 1990s- Corrado Bonifazi*, Cinzia Conti** and Marija Mamolo* Année 2006,. გვ.. 1-22.

ხოლო შემდეგ ბოსნიელი ლტოლვილების პრობლემა, რომელიც 1991 -1992 წლებში იტალიისათვის სერიოზული პრობლემა იყო.[1]

§1.3. 1992-1993 **წლების კრიზისის განვითარება**

1992 -1993 წლებში იტალიის იუგოსლავიური პოლიტიკა იყო ძალიან პასიური, ქვეყანა ფაქტობრივად არ ღებულობდა მონაწილეობას კრიზისის დარეგულირების მცდელობებში საერთაშორისო დონეზე. ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე დიდმა სკანდალმა, რომელიც დაკავშირებული იყო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში და პოლიტიკურ პარტიებში კორუფციასთან - გამოძიებამ „სუფთა ხელები“ მნიშვნელოვან წილად მოადუნა იტალიის ყურადღება საგარეო პოლიტიკის მიმართ. ქვეყანამ მხოლოდ საკუთარი ბაზები შესთავაზა ნატოს თვითმფრინავებს (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები), რომლებიც 1993 წლიდან პატრულირებდნენ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საჰაერო სივრცეში, იტალია ასევე მონაწილეობდა საერთაშორისო კოლონაში ბოსნიაში. დრო და დრო მისი მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ კოლონებში ხდებოდნენ საომარი მოქმედებების მსხვერპლი. დიდი რეზონანსი გამოიწვია 1992 წლის 4 სექტემბერს ხორვატების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სატრანსპორტო თვითმფრინავის დაღუპვამ, რომელიც ასრულებდა ფრენას სპლიტადან სარაევომდე. დაიღუპა ეკიპაჟს 4 წევრი. 1993 წლის 31 მაისს სამი იტალიელი, რომელიც ასრულებდნენ ჰუმანიტარულ აქციას ცენტრალურ ბოსნიაში მოკლეს უცნობმა, ბოსნიის არმიის უნიფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა.

[1]Balkan International Migration in the 1990s- Corrado Bonifazi, Cinzia Conti and Marija Mamolo Année 2006.გვ.1-22.

იტალიის მოსახლეობისათვის სერიოზული, ფსიქოლოგიური პრობლემა ამ წლებში იყო ქვეყნის ტერიტორიაზე სერბული ტერაქტების შიში. ამ შიშს აძლიერებდა როგორც ზოგიერთი სერბი პოლიტიკოსის მუქარა ნატოს ავიაციისათვის ტერიტორიის დათმობის გამო იტალიის დასჯის შესახებ, ასევე ქვეყანაში დროდადრო მომხდარი ტერაქტები (მაგ. აფეთქებები რომში, მილანში 1993 წლის 27 ივლისს, აფეთქება ფლორენციაში უფიციის გალერეაში), რომელსაც სერბებთან შეხება არ ქონია.

სხვა პრობლემა ლტოლვილებისა ასე თუ ისე დასტაბილურდა. 1992 წლის 7 იანვარს ალბანეთთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ქვეყანაში ლტოლვილთა შემოდინების აღსაკვეთად ჰუმანიტარული დახმარების შემოტანასთან და დახმარების განაწილების კონტროლისათვის მცირე იტალიური სამხედრო კონტიგენტის შეყვანასთან დაკავშირებით.[1] იტალია ალბანეთისათვის ისევ იყო ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკური პარტნიორი, აქტიური იყო ასევე მისი კულტურული ინიციატივები. ასე რომ 1993 წელს იტალიამ ევროპის საბჭოს მეშვეობით ალბანეთს მნიშვნელოვანი თანხები გადაურიცხა დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებისათვის.

ყველაზე მეტად რაც ახასიათებდა ამ ორი წლის მანძილზე იტალიის პოლიტიკას ეს იყო სლოვენიასთან და ხორვატიასთან ურთიერთობების სერიოზული გაუარესება. ამას რამოდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი ეს იყო იტალიელი უმცირესობების უფლებების დარღვევა და პირდაპი დასმული საკითხი იტალიელების მიერ დატოვებული ქონების დაბრუნებისა ან გაყიდვის (მათ შორის უძრავი ქონების) შესახებ. აქ გარდა ზაგრების და ლუბლიანის პოლიტიკური წინააღმდეგობისა ამ პრობლემის გადაჭრას ხელს იურიდიული წინააღმდეგობები უშლიდა. მაგალითად სლოვენიის კონსტიტუცია კრძალავდა უძრავი ქონების უცხოელებზე გაყიდვას.

[1] Mai,N. The cultural construction of Italy in Albania and vice versa: migration dynamics, strategies of resistance and politics of mutual self-definition across colonialism and post-colonialism; in Modern Italy, May 2003. გვ. 77-93.

მეორე პრობლემა, რომელის იტალიის პოლიტიკურ წრეებში უფრო და უფრო დაჟინებით იდგა -ეს იყო საზღვრის საკითხის გადახედვა. სლოვენიამ 1992 წლის 31 ივლისში გამოაცხადა, რომ საკუთარ თავზე იღებს იუგოსლავიის სფრ ვალდებულებებს იტალიასთან და ოზიმსკთან მიმართებაში. 1992 წლის 8 ოქტომბერს იტალიამ გაითვალისწინა ეს განცხადება. იტალიის საგარეო სამინისტრომ მიუთითა სლოვენიას საზღვრისპირა რეგიონებში ეკონომიური ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობის, უმცირესობების მხარდაჭერის შესახებ და ა.შ. იმავდროულად ხაზი გაესვა იმას, რომ იტალია საზღვრების გადახედვის საკითხს არ სვამს, ხოლო მისი მთავრობა იცავს 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტს , რომლის მიხედვითაც საზღვართან დაკავშირებული საკითხები ევროპაში შეიძლება დარეგულირდეს მხოლოდ მხარეების ურთიერთ თანხმობით. ამ პოზიციამ გამოიწვია სერიოზული უკმაყოფილება იტალიაში, 1992 წლის 12 ნოემბერს დეპუტატთა პალატაში და სენატში შედგა დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობა გააკრიტიკეს თავისი გადაწყვეტილების გამო და მოითხოვეს ოზიმის ხელშეკრულების გადახედვა. ქვეყნის პოლიტიკურ ჟურნალებში გამოჩნდა იმის იურიდიული საფუძველი თუ რატომ აქვს იტალიას უფლება უარი თქვას ოზიმოს ხელშეკრულებაზე და სლოვენიასთან სასაზღვრო კონფლიქტი სხვა სიბრტყეში და გაიტანოს.

და ბოლოს მესამე ფაქტორი ურთიერთობების გაუარესებისა იყო იმ დროისათვის, ამ ქვეყნებში იატალიური გავლენის შემცირების პარალელურად, ხორვატიის აშკარა ორიენტაცია გერმანიისკენ, ხოლო სლოვენიისა ავსტრიისაკენ.

პოლიტიკის თვალსაზრისით სასარგებლოა აღვნიშნოთ, რომ იმ დროისათვის სლოვენიასა და ხორვატიას შორის ურთიერთობა გაუარესდა, აქ ძირითადი პრობლემები იყო: საზღვრის დემარკაცია პირანის ყურეში, რომლის შედეგად ხორვატიული და იტალიური ტერიტორიული წყლები ერთმანეთს ერწყმოდა და სლოვენიურ პორტ კოპერს არ ქონდა გასასვლელი ღია ზღვაში; სლოვენიის მიერ ლუბლიანას ბანკში ხორვატი მოქალაქეების ანაბრების გაყინვა; სლოვენიის ქალაქ

კრშკოშია ეს დაფინანსების პრობლემები, რომელიც ენერგიას აწვდიდა ხორვატიასაც; და ბოლოს ხორვატიის ტერიტორიაზე სლოვენიის საკუთრების საკითხი. ორი ახალი რესპუბლიკა იტალიის წინააღმდეგ არ წარმოადგენდა ერთ ფრონტს და თითოეული მოქმედებდა მარტო.

იტალიის საგარეო პოლიტიკამ დიდი ცვლილება განიცადა 1994 წლის მარტის არჩევნების შემდეგ.[1] არჩევნები ჩატარდა ახალი საარჩევნო სისტემით და ბევრი ძველი პარტიის მონაწილეობის გარეშე. კორუფციის საქმის გამოძიებამ „სუფთა ხელები" მოახდინა პრაქტიკულად მმართველი ხუთპარტიული კოალიციის ყველა პარტიის დისკრედიტაცია, ზოგი მათგანი ან დაიშალა და მის ნამსხვრევებზე ახალი მოძრაობები აღმოცენდა (ქრისტიან დემოკრატები, იტალიის ლიბერალური პარტია),[2] ან საზოგადოებაში ყველანაირი გავლენა დაკარგეს (იტალიის სოციალისტური, რესპუბლიკური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები) მათი ადგილი დაიკავა ახალმა პოლიტიკურმა ძალებმა და 1994 წლის მარტის არჩევნების შემდეგ მმართველი კოალიციის საფუძველს წარმოადგენდა სამი მოძრაობა: ეს არის ფორცა იტალია, ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დააფუძნა ფინანსისტმა და მაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელმაც შექმნა ორი წინასაარჩევნო ბლოკი: ერთი სახელწოდებით „პლიუს თავისუფლებები"- პოპულისტურ ავტონომიურ-ფედერალურ მოძრაობის ჩრდილოეთის ლიგასთან (ლიდერი-უმბერტო ბოსსი) და მეორე: „პლიუს კარგი მთავრობა" ნაციონალურ ალიანსთან, რომელიც წარმოიქმნა თავისი წარმოშობით პოსტფაშისტური იტალიის სოციალისტური მოძრაობიდან (ლიდერი-ჯანფრანკო ფინი), მთავრობის ასეთმა შემადგენლობამ გამოიწვია ამერიკისა და ევროპის კრიტიკა და

---

[1] საკითხის გარშემო - Маслова Е., Идеологические основы внешней политики Италии периода Второй Республики, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата политических наук, Москва, 2012.

[2] საკითხის გარშემო- Тыновский А. Трансформация партии Национальный Альянс в Италии в 1994-2009 ГГ. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 2012

დროდადრო მიდიოდა სკანდალურ სიტუაციამდე, მაგალითად როცა ბელგიის ვიცე პრემიერი ე. დი რუპიმ უარი თქვა ხელი ჩამოერთვა ნაციონალური ალიანსის ხელმძღვანელის ჯუზეპე ტატარელასთვის, ახალი იატალიური მთავრობის ვიცეპრემიერისა და ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრისათვის ან როდესაც ევროკავშირის შეხვედრაზე კუნძულ კორფუზე 1994 წლის 24 ივნისს საბერძნეთის ევროპის საქმეების მინისტრმა პანგალოსმა ხელი არ ჩამოართვა თვითონ ბერლუსკონს, მთავრობის კაბინეტის შემადგენლობაში ხუთი „ფაშისტი მინისტრის“ ყოლისათვის.[1]

ბერლუსკონის პირველი მთავრობა ახდენდა გარკვეული ევროსკეპტიციზმის დემონსტირებას, შორდებოდა ქვეყნის მიერ ევროკავშირთან შეთანხმებულ კურსს. ამავე დროს გამოცხადებული იქნა საგარეო პოლიტიკის გააქტიურება. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მარტინო („წინ იტალია“) ლაპარაკობდა „კუნთისმიერი“ პოლიტიკის გატარების აუცილებლობის შესახებ. ამან ასახვა ჰპოვა საკმაოდ თვითმყოფადი პოლიტიკის გატარებაში ევროპული ინტეგრაციის პროცესთან მიმართებაში, მემარჯვენე ცენტრისტები კატეგორიულად გამოდიოდნენ ორმაგი პოლიტიკის მოდელის წინააღმდეგ, სთავაზობდა, როგორც მინიმუმი გადაეხედათ მაასტრიხტსის კრიტერიუმების შესრულების ვადები. ამ ფონზე იტალიის მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის მიერ ხდებოდა სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში მონაწილეობის აქცენტირება. გარდა იმისა 1994 წელს იტალია თავმჯდომარეობდა „შვიდეულს“ და ნეოპოლის სამიტს პირველად შეუერთდა რუსეთი. ბერლუსკონის ეს მიაჩნდა მსოფლიო თანამეგობრობის მიღწევად და საკუთარი დიპლომატიის შედეგად. მოკლედ, ბერლუსკონის პირველი კაბინეტის ხანმოკლე ყოფნამ ხელისუფლებაში ვერ მოახდინა მყარი ეფექტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. თუმცა ჯერ კიდევ მაშინ

[1]Барабанов О.Н., Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ. 21.

გამოჩნდა მემარჯვენე ცენტრისტების ძირითადი მახასიათებლები - განსაკუთრებული ყურადღება რუსეთსა და ევროპისგან დისტანცირება.[1]

მთავრობის ცუდი რეპუტაცია ევროპაში ძლიერდებოდა სხვა ფაქტორებითაც. იტალიის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონიო მარტინომ („წინ იტალია"- ფორცა იტალია") უარი თქვა რა იტალიის კაბინეტის ტრადიციულ კურსზე, გახდა „ევროსკეპტიციზმის" პოლიტიკის გამტარებელი. მისი არსი მდგომარეობდა მაასტრიხტის ხელშეკრულების კრიტიკაში. ხელშეკრულებისა, რომელმაც დაადგინა ოთხი ფინანსურ-ეკონომიური კრიტერიუმი მონაწილე ქვეყნებისათვის ევროპაში ერთიანი მონეტარული სისტემის მიღწევის მიზნით. მარტინო, ხაზს უსვამდა რა იტალიის ერთგულებას ევროპული თანამეგობრობის მიმართ, მწვავედ გამოდიოდა მაასტრიხტის[2] მიერ შემოთავაზებული მეთოდების წინააღმდეგ.

მეორე საკითხი, რომელმაც იტალიის პროტესტი გამოიწვია იყო საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილი გერმანიის წინადადება ევროკავშირის ორდონიანი განვითარების სისტემის შემოღების შესახებ. ამ პროექტის თანახმად უფრო მეტად განვითარებული ქვეყნები (გერმანია, საფრანგეთი, ბენულუქსი-იტალიის გარეშე) შეადგენდნენ ევროპის „მტკიცე ბირთვს", ხოლო ევროკავშირის დანარჩენი წევრები დაეწეოდნენ მათ, გამოასწორებდნენ რა საკუთარ ეკონომიურ მაჩვენებელს. იტალია ბუნებრივია ამის წინააღმდეგი იყო.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზის შედეგად იტალია ბერლუსკონის ხელისუფლების დროს გარკვეულწილად ჩამოშორდა ევროკავშირის ქვეყნებთან შეთანხმებულ კურსს და დაიწყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება. ეს შეეხო იუგოსლავიასაც.

ახალი ხელისუფლების ამბიციები, ადამიანების, რომლების სულ ახალახან მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამ სფეროშიც გამოვლინდა. იტალია ბოლო ორი წელი

---

[1] Маслова Е., Идеологические основы внешней политики Италии пертода Второй Республики, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата политических наук, Москва, 2012.

[2]**Maastricht Treaty-** Treaty on European Union. Cataloguing data can be found at the end of this publication. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, Brussels Luxembourg, 1992

აქტიურად არ მონაწილეობდა იუგოსლავიის კრიზისის დარეგულირებაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში, ამიტომაც არ მიიწვიეს 1994 წლის მაისში შემდგარ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საკონტაქტო ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ შეხვედრაზე. ახალ მთავრობას ეს ძალიან ეწყინა. ამის გამო მარტინო თითქმის თავის ყველა გამოსვლაში საყვედურობდა მოკავშირეებს რომ მიუხედავად იმისა, რომ იტალია ნატოს თვითმფრინავებს უთმობს თავის ბაზებს და ამით რისკავს სერბების მხრიდან მიიღოს საპასუხო ზომები, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან დაკავშირებული საერთაშორისო კურსის შემუშავების პროცესს ის ჩამოშორებულია. ამასთან ერთად მარტინო ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ იტალია თავისი გეოგრაფიული სიახლოვიდან და ისტორიული ინტერესებიდან გამომდინარე მზად არის აქტიურად მიიღოს მონაწილეობა კრიზისის მოგვარებაში, გარკვეული პირობებით გააგზავნოს იუგოსლავიაში თავისი მშვიდობისმყოფელები.

იტალიის ევროკავშირთან არშემდგარი ურთიერთობების შედეგად, მარტინოს ტაქტიკა ხაზს უსვამდა იუგოსლავიის კრიზისის მოგვარებაში იმ ორგანიზაციების უპირველეს როლს, რომლებშიც იტალია იღებდა აქტიურ და მნიშვნელოვან მონაწილეობას. პირველ რიგში გამოყოფდნენ „დიდი შვიდეულის (G-7) და ცენტრალურ-ევროპული ინიციატივის ჯგუფის შეხვედრებს. G-7-თან დაკავშირებით მთავარი არგუმენტი იყო ის მომენტი, როდესაც რუსეთი შეერთდა ამ ფორუმის პოლიტიკურ შეხვედრებს, დადგა ძალიან ხელსაყრელი მომენტი გაეძლიერებინათ G-7-ის პოლიტიკური გავლენა და სწორედ ეს ორგანო გამხდარიყო იუგოსლავიის კრიზისის დარეგულირების მთავარი კოორდინატორი. ეს არგუმენტაცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1994 წლის 20-21 ივნისს რუსეთის პრემიერ მინისტრი ვ. ჩერნომირდინის იტალიაში ვიზიტის და მისი ბერლუსკონთან მოლაპარაკების შემდეგ. ამ შეხვედრამ გულითად გარემოში ჩაიარა და მაშინ ჩერნომირდინმა თქვა: „ბერლუსკონი ჩვენი საუკეთესო მეგობარია“. უმაღლეს დონეზე ჩაატარა იტალიის მთავრობამ აგრეთვე 1994 წლის ივლისში ნეაპოლში ჩატარებული G-7-ის სამიტი. მასში რუსეთის ჩართვა, რომელიც იქ იტალიის ეგიდით

შედგა, როგორც წერდნენ იტალიელები, გახდა მისი მთავარი მოვლენა. ბოსნიის ომის პრობლემების შესახებ ამ შეხვედრაზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა, თუმცა ნეაპოლის შემდეგაც მარტინო აქცენტებს ისევ G-7-ის როლზე აკეთებდა.

იტალიის იუგოსლავიურ პილიტიკაში მნიშვნელოვანი იყო ასევე ცენტრალურ-ევროპული ინიციატივის ჯგუფის შეხვედრები რომელიც ივლისში შედგა ტრიესტში, ხოლო ნოემბერში ტურინში. მარტინომ გაზეთ "La repubblica" -სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ხედავს ცენტრალურ-ევროპული ინიციატივის გადამწყვეტ როლს იუგოსლავიის რესპიბლიკებს და მთელი დანარჩენ ევროპას შორის დარღვეული კავშირების აღდგენაში.

გარდა ამ საერთაშორისო კოორდინაციისა იტალიამ ბერლუსკონის მთავრობის დროს დაიწყო იუგოსლავიის პრობლემის დარეგულირებისათვის საკუთარი აქტიური პოლიტიკის წარმოება. ივნისის ბოლოს კონფუში გამგზავრების შემდეგ მარტინიოს ქონდა ვიზიტები სარაევოში, ზაგრებში და ბელგრადში. თუმცა მთავარი შედეგი ამ გამგზავრებისა გახდა მისი განცხადება სერბიისა და მისი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის კონსტრუქციული როლის შესახებ ბოსნია ჰერცოგოვინაში სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის. მარტინომ მოუწოდა რაც შეიძლება მალე მოეხსნათ სანქციები იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირისთვის რომელიც ბევრი ქვეყნის ეკონომიურ ინტერესს აყენებდა დარტყმას. იტალიის ასეთმა მიდგომამ ბელგრადში დადებითი რეაქცია გამოიწვია. იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირისთვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადისლავ იოვანოვიჩმა ხაზი გაუსვა, რომ მას განსაკუთრებით მოსწონს ის ფაქტი, რომ „ახალი იტალიური ხელისუფლება აპირებს გააქტიუროს თავისი მოღვაწეობა მშვიდობიან პროცესში, და რომ წარსულს ბარდება ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა"[1]

ნამდვილად იტალია იყო პირველი დასავლური ქვეყანა (საბერძნეთის შემდეგ) რომელმაც თავის წარმოდგენაში გაყო ბელგრადისა და პალეს როლი ბოსნიის ომში.

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ. 23.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ივლისის ბოლოს რუსეთის ფედერაციას, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრების „ჟენევა-3-ის„ იუგოსლავიის კონფლიქტის დარეგულირების შეხვედრაზე იტალიის ამ მიდგომას დასავლეთის ქვეყნები გაგებით მოეკიდნენ. ივლისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანების ტრიესტის შეხვედრაზე იტალიის ზეგავლენით გაკეთდა განცხადება რომ კრიზისის პრობლემების განხილვა არ შეიძლება იუგოსლავიის რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლების გარეშე. ამ უკანასკნელსა და იტალიას შორის კონტაქტების, პირველ რიგში ეკონომიური კონტაქტების აღდგენის აუცილებლობას ხაზი გაესვა ბელგრადში, დეკემბერში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლივიო კაპუტოს ვიზიტის დროს.

რაც შეეხება ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ომს, აქ იტალიის მიდგომა განისაზღვრებოდა, როგორც ამას ამბობდნენ იტალიელი სამხედრო ანალიტიკოსები, მშვიდობის უსწრაფესად დამყარების სურვილით, და არა მხოლოდ კონფლიქტის ლოკალიზაციით, როგორც ეს აწყობდა ბევრს. გეოპოლიტიკური მოტივები გვაძლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს მართლაც ასეა. ორი მიზეზი: როგორც სერბიული და ასევე ისლამური (ბუნებრივია არამხოლოდ ბოსნიური) ტერორიზმის შიშმა მართლაც მისცა სტიმული იტალიას ეცადა მშვიდობიანად დაერეგულირებინა თავის ტერიტორიასთან ახლოს მიმდინარე კონფლიქტი. ამიტომაც იტალიამ მიუხედავად იმისა, რომ ნაწყენი იყო მისი ჩაურთველობით ბოსნიისა და ჰერცოგოვინის-საკონტაქტო ჯგუფში, მხარი დაუჭირა მის გეგმას მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ. კრიზისის გადაწყვეტის ჭკვიანური და მისაღები გზა უწოდა თავის განცხადებაში მატრინომ ამ გეგმას და მოუწოდა პალეს მიეღო ის. საერთოდ იუგოსლავიის რესპუბლიკების კავშირთან დაახლოებას არ შეუცვლია იტალიის პოზიციები სერბეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში. “Corriere della sera” [1]ინტერვიუს დროს გენერალ მადიჩის მუქარა შური

[1] “Corriere della sera” 1994. 1-25 giungo. http://archivio.corriere.it/Archivio/interface/slider.html#!1994-1giungo/01-06-1994/25-06-

ეძია იტალიის მიერ ნატოსთვის ბაზების დათმობის გამო, იტალიელი მოქალაქეების ინციდენტები, რომელიც დროდადრო ხდებოდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინაში, მაგალითად 1994 წლის ივნისში სერბების მიერ გაეროს ძალების პრეს-მდივნის იტალიელი ანჟელის გატაცება იტალიის საზოგადოებაში ანტისერბულ განწყობას ინარჩუნებდა. გარდა ამისა კიდევ ერთხელ არის საჭირო იტალიისათვის ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკის მიმართულების მნიშვნელობაზე აქცენტის გაკეთება. მუდმივად ითვალისწინებდა რა თავის გეოგრაფიულ ღიაობას არაბული სამყაროს წინაშე, იტალიას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ისლამის კონფედერაციის კონტაქტური ჯგუფის ანტისერბული და ანტიიუგოსლავიური განცხადებები ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შესახებ. თუმცა ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იტალიის პოზიცია ბოსნიისა და ჰერცოგოვინასთან დაკავშირებით ბერლუსკონის დროს არ იყო ერთგვაროვანი და გააჩნდა თავისი ნიუანსები. ბელგრადში მარტინომ და მილოშევიჩმა მოუწოდეს მსოფლიო თანამეგობრობას მოეხდინათ გავლენა არა მხოლოდ სერბულ მხარეზე, არამედ მუსლიმურ მხარეზეც, რომ შეეწყვიტა მუსლიმური პროვოკაციები და მუქარა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, მუსლიმების სწრაფვა მიეღწიონ თავიანთი მიზნებს ომის გზით. აუცილებელია მხოლოდ მშვიდობიანი მიდგომა და კონფლიქტის მხარეების თანასწორუფლებიანობა, განაცხადა მაშინ მარტინომ. მსგავსი მიუღებლობა ბოსნიელი მუსლიმების მებრძოლებისთვის გამოჩნდა როდესაც იტალიელები გამოვიდნენ ბოსნიისა და ჰერცოგოვინისთვის იარაღის მიწოდების ემბარგოს შეწყვეტის წინააღმდეგ. „ამ ნაბიჯმა შეიძლება კონფლიქტის ესკალაციამდე მიგვიყვანოს“ - განაცხადა მარტინომ 1994 წლის 29 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 49-ე სესიაზე. შემდეგ, როდესაც აშშ-მ განაცხადა თავისი უარი ემბარგოს დაცვის საერთაშორისო კონტროლში მონაწილეობაზე, იტალიამ სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად (პირველ რიგში დიდ ბრიტანეთთან, რომელთანაც ბერლუსკონის მთავრობას ჩამოუყალიბდა მეგობრული ურთიერთობები) განაცხადა ამ კონტროლში თავისი

1994/NobwRAdghgtgpmAXGAJlALlMAaMAzAJwHsYkwAGARgHpyA2aygTiYBYcx0iyAmAVloNmbMAF9s4aPDIBrOAE8A7kQIoO6OAA90ZYawAElAOYBLAK4Qj3UQF0gA

მონაწილეობის შესახებ. მარსინო იყო ბოსნიიდან „ცისფერი ჩაფხუტების“ გამოყვანის წინააღმდეგი. ის თვლიდა, რომ ეს კატასტროფა იქნებოდა.

ასე რომ ბერლუსკონის მთავრობის პოლიტიკა ბოსნიის ომთან დაკავშირებით იყო საკმაოდ დაბალანსებული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სერბეთის რესპუბლიკის არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გენერალი მანუელო მილოვანოვიჩი (რომელსაც გარკვეული ხნის განმავლობაში დასავლეთში განიხილავდნენ როგორც გენერალი მლადიჩის უფრო ზომიერ ალტერნატივას) იყო ნახევრად იტალიელი დედის ხაზით.

რაც შეეხება ბერლუსკონის მთავრობის დამოკიდებულებას ხორვატიისა და სლოვენიისადმი, აქ სიტუაცია დარჩა დაძაბული და ზოგ შემთხვევაში ეს დაძაბულობა უფრო გაღრმავდა. პირველ რიგში სიტუაცია გაამწვავა მთავრობაში ნაციონალური ალიანსიდან, პარტიიდან რომელიც ღიად მოუწოდებდა მთავრობას აღმოსავლეთის საზღვრების გადახედვისკენ, ხუთი მინისტრის შესვლამ. თუმცა მარტინომ თავისი მინისტრობის დასაწყისშივე განაცხადა, რომ ოზიმის ხელშეკრულება უნდა შესრულდეს და იტალია არ აპირებს საზღვრების გადახედვის საკითხის წამოწევას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ხორვატიის პრეზიდენტისათვის 1994 წლის 27 ივნისს ზაგრებში მარტინოსთან შეხვედრის დროს ღიად განეცხადებინა იტალიის ახალი მმართველი კოალიციის “იმპერიალიზმზე და ირიდენტიზმზე“[1]

მიუხედავად გაძლიერებული მოწოდებებისა საზღვრის გადახედვის საკითხი ბერლუსკონის მთავრობას არ შეუტანია პრაქტიკულ დღის წესრიგში. პრობლემა, რომელიც რეალურად ამუხრუჭებდა იტალიის ურთიერთობებს ხორვატიასთან და სლოვენიასთან იყო უმცირესობების მდგომარეობა. ტუჟმანმა, ისტრიაში ანტიფაშისტური ბრძოლის დღეს 1994 წლის ივნისში განაცხადა, რომ იტალიური თემი ომის წლებში ფაშიზმის თანამონაწილე იყო. ხორვატიაში იყო მცდელობები შეეცვალათ ისტრიის რეგიონის დებულება, რომელიც ითვალისწინებდა იტალიელი უმცირესობების

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.25.

უფლებების დაცვას და იტალიის პრეზიდენტისთვის[1] დაქვემდებარებინათ ისტრიის საბჭო. უნდა აღინიშნოს, რომ ისტრიის ხორვატულ მოსახლეობაში პრეზიდენტი ტუჟმანის პოზიცია არ იყო ძალიან ძლიერი, ძლიერი იყო რეგიონალური ოპოზიციური მოძრაობა, რომელიც შედარებით უფრო კეთილგანწყობილი იყო იტალიელების მიმართ.

მსგავსი სიტუაცია იყო სლოვენიაშიც, რომელმაც გადაწყვიტა გადაეტანა იტალიელთა კავშირის ფონდი (იტალიური თემის პოლიტიკური მოძრაობა) სახელმწიფოს სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოში. ლუბლიანა ხსნიდა ამას იმით, რომ იტალიელთა კავშირის იურიდიული ცენტრი მდებარეობდა ფიუმიში, ხორვატიაში, ამიტომაც იტალიელთა კავშირის განყოფილებები სლოვენიაში არ წარმოადგენდნენ სამართლებლივ სუბიექტებს. უკანასკნელი მაგალითი მიუთითებს, რომ ორ სახელმწიფოში იტალიური თემის ერთიანობის პრინციპი და მემორანდუმში დაფიქსირებული დაპირება სლოვენიასა და ხორვატიას შორის საზღვრის გამჭირვალობის შესახებ დაფიქსირებული 1992 წლის 15 იანვრის მემორანდუმში პრაქტიკულად არ სრულდებოდა. სლოვენიის ოპოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრ ლოიზე პეტერლეს ადანაშაულებდა, რომ ის იქცეოდა „ნერვოზულად“ იტალიასთან მიმართებაში და „ემსახურებოდა შინაგან მოთხოვნილებებს ეძებნათ გარეშე მტერი“ ამას თან ერთვოდა ისიც, რომ საზღვრისპირა რეგიონებში სამეურნეო სტრუქტურების განუვითარებლობა იწვევდა ეკონომიური ცხოვრების სტაგნაციას.

ამგვარი სიტუაცია იწვევდა იტალიური პრესის მწვავე კრიტიკას. სტატიები შემდეგი სათაურებით; „იტალია დაგვეხმარე, ლუბლიანა და ზაგრები გვახრჩობს“, „უბედური და მიტოვებული ძმები საზღვარგარეთ“ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა პრესაში. უფრო და უფრო გაჯერებული იყო მსგავსი პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიებით ისეთი ჟურნალი როგორიცაა; “Rivista dalmata" და სხვა. განზე არც მთავრობა დარჩა. ოქტომბრის დასაწყისში დეპუტატთა პალატაში მარტინომ განაცხადა,

[1] ამ პერიოდში იტალიის პრეზიდენტი იყო ოსკარ ლუიჯი სკალფარო

რომ ბოლო დროს 4 ათასზე მეტმა სლოვენიელმა იტალიელმა მიმართა იტალიას თხოვნით მიენიჭებინათ მათთვის იტალიის მოქალაქეობა. ლუბლიანა კი სასტიკი წინააღმდეგი იყო ორმაგო მოქალაქეობისა. გარდა ამისა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ისტრიელი და იულისკის მხარის ლტოლვილების კუთვნილი საკუთრების გამოსყიდვის შესაძლებლობის საკითხი. რაღაც მომენტში ჩანდა რომ შეიძლებოდა სიტუაცია შეიძლებოდა განმუხტულიყო. 1994 წლის 10 ოქტომბერს მარტინო და პეტერლე შეხვდნენ ერთმანეთს აკვილეში და შეთანხმდნენ, რომ სლოვენიის მთავრობა შეიტანდა ცვლილებებს კონსტიტუციაში, რომელიც მისცემდა შესაძლებლობას უცხოელებს ჰქონოდათ უძრავი ქონება საკუთრებაში. თუმცა მალევე 21 ოქტომბერს 1994 წლისა სლოვენიის მთავრობამ მოახდინა შეთანხმების ანულირება და განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს პეტერლე უკვე განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან (18 სექტემბრიდან შინაპოლიტიკური კრიზისის გამო) და არ იყო უფლებამოსილი მიეღო ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. ასეთი შემობრუნების მიღება ბერლუსკონის მთავრობას არ შეეძლო და 1994 წლის 31 დეკემბერს ლუქსემბურგში ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მარტინომ ვეტო დაადო ევროკავშირში სლოვენიის ასოცირებულ წევრად მიღებას. სვლა, რომელიც გერმანიას ძალიან არ მოეწონა, მაგრამ იტალიამ ისევ მიაღწია რომ ევროკავშირს უკან დაებრუნებინა სლოვენიისათვის მისი თხოვნა შეერთების შესახებ.

საინტერესოა ასევე აღინიშნოს პოზიცია, რომელიც ეკავა ხორვატიის ტერიტორიაზე მაშინ არსებულ არაღიარებულ სერბიის რესპუბლიკას. მისმა პრემიერ-მინისტრმა ბორისლავ მიკელიჩმა განაცხადა 1994 წლის ივნისში ტრიესტში ვიზიტის წინ, რომ იტალიაში გაჟღერებული მოთხოვნები აღმოსავლეთის საზღვრის გადახედვის შესახებ სამართლიანია. „ისინი ვინც უარყოფდა და ანგრევდა იუგოსლავიის სფრ-ს ვერ დაეყრდნობიან ოზიმოს ხელშეკრულებას“ - განაცხადა მიკელიჩმა. მისი აზრით იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მოლაპარაკებამ ძალა დაკარგა. გარდა ამისა ამ

მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე სერბეთის მხარის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაებრუნებინა იტალიელებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ის ქონება რომლის კონფისკაციაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. ცნობილია ასევე რომ სერბეთის მხარის არმიაში მონაწილეობდა „ჯუზეპე გარიბალდის“ რაზმი, რომელიც ადგილობრივი იტალიელებისა და იტალიის მოქალაქეებისაგან შედგებოდა. [1]

მეორეს მხრივ მიუხედავად პოლიტიკური კონფლიქტებისა ხორვატია და სლოვენია იტალიისათვის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად რჩებოდა. 1994 წლის ნოემბერში CEI-ის[2] ტურინულ შეხვედრაზე დამტკიცებულ იქნა ტრიესტი-ლუბლიანა-ბუდაპეშტი- -ლვოვი-კისვის რკინისგზისა და ავტომაგისტრალის მშენებლობის გეგმა, ხოლო შემდეგ 1994 წლის 10 დეკემბერს ესენში შევიდა ევროკავშირის ტრანსევროპული სატრანსპორტო დერეფნების მშენებლობის გეგმაში.

და ბოლოს კიდევ ერთი მიღწევა იტალიის საგარეო პოლიტიკაში ეხებოდა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეფორმებს. წარმოადგინა რა თავისი გეგმა უსაფრთხოების საბჭოს რეფორმისა (მისი 20 ნახევრად მუდმივი წევრების შესახებ) ნაცვლად გეგმისა, რომლის მიხედვით უსაფრთხოების საბჭოს მუდმივ წევრებს უნდა მიერთებოდა გერმანია და იაპონია, იტალიამ მიაღწია იმას, რომ, მიუხედავად რეფორმის პროექტის აზრთა სხადასხვაობის გამო შეჩერებისა, იტალია 6 წლიანი შესვენების შემდეგ ისევ გახდა 1995-1996 წლების გაეროს არამუდმივი წევრი.

შეჯამებისას უნდა ავღნიშნოთ რომ ბერლუსკონის მთავრობის დროს იტალიამ მკვეთრად გააქტიურა თავისი საგარეო პოლიტიკა. მის მთავარ მახასიათებლებს შორის უნდა დავასახელოთ შემდეგი:

„ევროსკეპტიციზმი“ და ამის საფუძველზე ბრიტანელ პოლიტიკურ პარტიასთან ტორებთან დაახლოება;

ამასთან დაკავშირებით იტალიის მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა იუგოსლავიის პრობლემებისადმი მიდგომაში.

---

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов.გვ. 27.

[2] ორგანიზაცია- ცენტრალური ევროპის ინიციატივა. https://www.cei.int/kep

იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირის დაახლოება და ბოსნიის კონფლიქტისადმი დაბალანსებული დამოკიდებულება. დაძაბულობის გაზრდა ხორვატიასთან და სლოვენიასთან ურთიერთობაში.

იტალიის ჩართვა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს არამუდმივ წევრად.

გარდა ამისა გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგმა იუგოსლავიურმა სახელმწიფომ დაამყარა კავშირები იტალიურ მაფიასთან. თავიდან იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირმა ივნისში განაცხადა, რომ კავშირები მაფიასთან დაამყარა ხორვატიამ, მოიყვანა რა მაგალითად ხორვატების ორგანიზებული ცნობილი მაფიოზის მანეროს, რომელიც დაქორწინებული იყო ხორვატ ქალზე, გაქცევა პადუეს ციხიდან. შემდეგ აგვისტოში ბონის გაზეთ „Bild am Sonntag“ გამოჩნდა სტატია მილოშევიჩისა და კაპაჯიჩის კავშირზე მაფიასთან. ამ ცნობების საიმედოობაზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდი.

1994 წელს აღსანიშნავი იყო ასევე რომის პაპის იოანე პავლე მეორის ვიზიტი ზაგრებში და მისი მცდელობა შესულიყო სარაევოში. ვატიკანის პოზიციამ იუგოსლავიის კრიზისთან დაკავშირებით ამ პერიოდში განიცადა გარკვეული ევოლუცია. თუ კი კონფლიქტის დასაწყისში პაპი მხარს უჭერდა ხორვატებს, ახლა ის ორივე მხარეს მშვიდობისკენ მოუწოდებდა. პაპი თავიდანვე აპირებდა წვეოდა ბელგრადს, თუმცა პრეზიდენტ მილოშევიჩის თანხმობის მიუხედავად ის წააწყდა წინააღმდეგობას სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. მათ განაცხადეს, რომ პაპის ვიზიტი ხალხის მახსოვრობაში აღადგენს კათოლიკური ეკლესიის მიერ უსტაშის რეჟიმის მხარდაჭერას მეორე მსოფლიო ომის დროს და ასევე ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული პაპის მოწოდებები „აგრესორების განიარაღების“ შესახებ.

1994 წლის 8 სექტემბერს იოანე პავლე მეორე აპირებდა წვეოდა სარაევოს, მაგრამ ორი დღით ადრე გადადო ვიზიტი, ქალაქის სტადიონზე დაგეგმილი მესის დროს ადამიანების უსაფრთხოების გამო. ბოსნიელმა სერბებმა არ მისცეს პაპს უსაფრთხოების გარანტიები და განაცხადეს, რომ არ სურთ მათ კვლავ დააკისრონ პასუხისმგებლობა

მუსლიმური მხრიდან მოსალოდნელი ინციდენტებისა და პროვოკაციების გამო. პრესაში გამოჩნდა ცნობები ბოსნიელი მუსლიმების მიერ ტერაქტების მომზადების შესახებ. საშიში მოგზაურობის შესახებ გააფრთხილა პაპი ასევე ზაგრების, ლუბლიანის და სრულიად იტალიის მართლმადიდებელმა მიტროპოლიტმა იოანემ. 8 სექტემბერს რომის პაპმა თავის საზაფხულო რეზიდენციაში კასტელგანდოფში პომთან ახლოს აღასრულა მესა, სადაც იქადაგა ის რაც მოამზადა სარაევოში მესაზე სათქმელად. მან განაცხადა, რომ მშვიდობა შესაძლებელია თუ ეროვნულ მოთხოვნებზე მაღლა მორალურ ღირებულებებს დავაყენებთ, მოუწოდა ბალკანელ ძმებს პატიებისკენ თუმცა აღნიშნა, რომ პატიება დავიწყებას არ ნიშნავს. იოანე პავლე მეორემ განაცხადა. რომ სანქციები ადამიანების უბედურების მიზეზი არ უნდა გახდეს“ და მშვიდობიანი მისალმება გაუგზავნა სერბების პატრიარქ პავლეს.

ერთი დღის შემდეგ 10-11 სექტემბერს პაპი გაემგზავრა ზაგრებში ადგილობრივი ეპარქიის 900 წლის თავის ზეიმზე. აეროპორტში მას როგორც „ხორვატიის დამცველს“ მიესალმა პრეზიდენტი თუჯმანი.[1] ზაგრების ტაძარში პაპმა ილოცა კარდინალ ალიოზია სტეპინაცის საფლავზე და უწოდა მას ხორვატიის ისტორიაში „ყველაზე გამოჩენილი მოწამე“ სტეპინაცი, მეორე მსოფლიო ომის დროს ზაგრებისა და მთელი ხორვატიის კარდინალი იყო. შემდეგ დაპატიმრებული იყო იუგოსლავიის სფრ ხელისუფლების მიერ და დიდი ხანი გაატარა ტყვეობაში. 1950 -იანი წლების დასაწყისში ის გაანთავისუფლეს და იმყოფებოდა შინაპატიმრობაში. გარდაიცვალა 1959 წელს. ხორვატიაში მას მიიჩნევენ ეროვნულ დიდმოწამედ, მაგრამ ბევრი სერბისათვის კარდინალი სტეპინაცი იყო ფაშისტი დამნაშავე. ამიტომაც რომის პაპის ჟესტი ზაგრებში, რომელმაც გამოიწვია მოსაზრებები რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ სტეპინაცის შესაძლო კანონიზაციის შესახებ. სერბული მხარის მხრიდან აღქმული იყო ძალიან კრიტიკულად. ზაგრებში, თავის ქადაგებაში იოანე პავლე მეორემ მოუწოდა

[1] ინფორმაცია რომის პაპის იოანე პავლე მეორეს ვიზიტზე ზაგრებში. In Croatia, a Frail Pope John Paul II Urges a 'Culture of Peace'. Order Reprints| Today's Paper|Subscribe. https://www.nytimes.com/1994/09/11/world/in-croatia-a-frail-pope-john-paul-ii-urges-a-culture-of-peace.html

ხორვატიის ეკლესიას გამხდარიყო მოლაპარაკებებში შუამავალი და განსაკუთრებული სალამი გაუგზავნა ხორვატიის სერბიულ თემს.

ზაგრებში პაპის ვიზიტის შემდეგ გაჩნდა ჭორები იმის შესახებ რომ მოსკოვისა და მთელი რუსეთის პატრიარქმა ალექსეი მეორემ აიღო თავის თავზე პაპსა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შორის შუამავლობა იოანე პავლე მეორის სარაევოში ვიზიტის ორგანიზების შესახებ. ეს ინფორმაცია გამოჩნდა ჟურნალში „Фамилия кристиана"-ში. თუმცა ოფიციალურმა ვატიკანმა უარყო ის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ 1994 წელს პაპის მშვიდობისმყოფელობა შეეჯახა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობას[1]. ამის მიზეზები იყო დიდი ხნის წინანდელ და არც თუ ისე დიდი ხნის ისტორიული მეხსიერება და ასევე პაპის არაერთგვაროვანი ყურადღება კარდინალ სტეპინაცის ფიგურის მიმართ.

§1.4. ბალკანეთის საკითხი ლამბერტო დინის მთავრობაში

ჩრდილოეთის ლიგის მმართველი კოალიციიდან გამოსვლის და 1994 წლის 22 დეკემბერს ბერლუსკონის მთავრობის გადადგომის და ერთთვიანი სამთავრობო კრიზისის შემდეგ 1995 წლის იანვარში იტალიაში ჩამოყალიბდა ლამბერტო დინის გარდამავალი მთავრობა, რომელიც შედგებოდა ისეთი მინისტრებისაგან, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ არცერთ პოლოტიკურ პარტიას. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა კომპანია „ფიატის" მმართველი მეწარმეთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი სუზანნა ანიელი. ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში იყო „ევროპაში დაბრუნება". იანვრის ბოლოს ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გამოსვლისას ანიელიმ განაცხადა, რომ იტალიის მიდგომა

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ. 29.

ევროპული პოლიტიკისადმი იქნებოდა უფრო მშვიდი, ვიდრე წინანდელი´იტალია, რომელიც ირწმუნებოდა, რომ დაიცავდა მაასტრიხტის შეთანხმების ვალდებულებებს, მათ შორის ფინანსურ-ეკონომიკურ კრიტერიუმებს. ახალი კაბინეტი უფრო მშვიდად შეხვდა გერმანულ იდეას ევროპის „მტკიცე ბირთვის“ შესახებ და პასუხად გფრ-ს მხრიდან დამტბო დამოკიდებულება მიიღო. „გერმანიას არ უნდა „მტკიცე ბირთვი“ იტალიის გარეშე“ - ამტკიცებდა 1995 წლის მარტის დასაწყისში გფრ-ს პრეზიდენტი რომან ჰერცოგი. ევროკავშირის საერთო პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნება დაეტყო იმასაც, რომ იტალიამ უფრო დაიწყო თავისი იუგოსლავიური პოლიტიკის კორელაცია საერთო ევროპული მიდგომებით. იტალიის წინა მთავრობებისათვის დამახასიათებელი მისწრაფება იუგოსლავიაში გაეროს დაცვის ძალების[1] შენარჩუნებისა შეიცვალა სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის ფრანგულ-ბრიტანული ინიციატივის მხარდაჭერით. იტალიამ მოკავშირეებს გადასცა თავისი ბაზები მოკავშირეთა თვითმფრინავებისა და სახმელეთო ჯარებისათვის, იტალიურ ხომალდებს გადაჰყავდათ ფრანგი ჯარისკაცები ადრიატიკაზე. ანიელიმ, ასრულებდა რა ვიზიტს ბელგრადში ივნისის შუა რიცხვებში, განაცხადა, რომ მიდის იმისითვის, რომ წარმოადგინოს ევროკავშირის ქვეყნების საერთო თვალსაზრისი.

ზოგადად 1995 წელს იტალია გამორჩეული იყო საერთაშორისო ძვრებით იუგოსლავიის საკითხში, არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებთან, არამედ სხვა ორგანიზაციებთან. თებერვლის შუა რიცხვებში ანიელი შეხვდა იუგოსლავიის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის თანათავმჯდომარეებს ოუენს და სტოლტენბერგს, გაეროს უსაფრთხოების საბჭოში შესვლის შემდეგ 1995 წლის იანვარში ქვეყანამ მიიღო მიწვევა შეერთებოდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრებს. იტალიის წარმომადგენელი ელჩი ალფრედო მაკოტა კორდილა შევიდა ხორვატულ-სერბული კონფლიქტის დარეგულირების ე.წ. „ზაგრების ოთხეულის“ (Z-4) შემადგენლობაში. სხვათაშორის სწორედ მას მოუწია გადაეტანა არასასიამოვნო

[1] UNPROFOR - United Nations Protection Force.

სიტუაცია, როდესაც იანვრის ბოლოს კლინში წაიღო Z-4-ის სამშვიდობო გეგმა, სერბეთის ხელისუფლებმა უარი თქვეს დოკუმენტის ტექსტის მიღებაზეც და ელჩი გააგდეს, დააყენეს პირობა, რომ მიეღოთ წერილობითი გარანტიები გაეროს უსაფრთხოების საბჭოდან იმის შესახებ, რომ „ცისფერი ჩაფხუტები“ დარჩებოდნენ ხორვატიაში მათი მანდატის ამოწურვის შემდეგაც. მანდატი 1995 წლის მარტში ეწურებოდათ. როგორც „სამეულის“ წევრი ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (უნგრეთთან და შვეიცარიასთან ერთად) იტალია ცდილობდა დაერეგულირებინა დაძაბულობის ტალღა ხორვატიაში, მაისის დასაწყისში იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო ხორვატიის შეტევა სერბებზე.

იტალიის დაბრუნებამ ევროპის პოლიტიკაში განსაკუთრებული ზეგავლენა ვერ იქონია იტალიას და იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირს შორის 1994 წელს ჩამოყალიბებულ შედარებით მშვიდ ურთიერთობებზე. იუგოსლავიის პრეზიდენტი ზოლან ლილიჩი „La Stampa“-სთან ინტერვიუში ლაპარაკობდა რომისადმი მათ ნდობაზე. სწორედ, ანიელი გახდა პარლამენტარი, რომელიც გაგზავნილ იქნა ევროკავშირიდან ბელგრადში ივნისში. 5 ივლისს გაეროს უსაფრთხოების საბჭოში სანქციების შემსუბუქების ვადების გაგრძელების შესახებ დებატების დროს იტალია სთავაზობდა გაეგრძელებინათ ვადები 78 დღის ნაცვლად, როგორც იყო დადგენილი, 100 დღემდე.

თუმცა, თუ შევაფასებთ დინის მთავრობას, უნდა აღინიშნოს რომ ნაწილობრივ ბოსნია ჰერცოგოვინაში ოთხთვიანი ზავის და იქ წლის დასაწყისში დაძაბულობის მოხსნის, ნაწილობრივ ზემოთ გამოყოფილ გეოპოლიტიკური მოტივების გამო, დინის კაბინეტი იუგოსლავიაზე არანაკლებ ყურადღებას აქცევდა იტალიის პოლიტიკას ხმელთაშუაზღვის რეგიონში და სომალიში. თუ მარტინოს მინისტრობის დროს განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იტალიის საგარეო პოლიტიკის იუგოსლავიურ მიმართულებაზე, ახლა იტალიის პოლიტიკაში ხმამაღლა გაუღერდა სხვა პრიორიტეტები.

მიუხედავად ყოფილ იუგოსლავიაში თავისი მოღვაწეობის აქტივიზაციისა და „საკონტაქტო ჯგუფში“ ჩართვისა, იტალიამ ვერ მიაღწია მთავარს - ყოფილიყო დეიტონში 1995 წლის ბოლოს საბოლოო მშვიდობიანი მოლაპარაკების თანამონაწილე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ბოსნიის კრიზისის მოგვარება. ამ მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებულ პარიზის მშვიდობიან შეთანხმებას ხელი მოაწერეს იუგოსლავიის, ხორვატიის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის პრეზიდენტებმა რუსეთის და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ეგიდით, მაგრამ იტალიის გარეშე. იტალიის პრემიერ-მინისტრს ვერ იპოვით ცნობილ ფოტოსურათზე, სადაც გამოსახულია შეთანხმების ხელისმომწერი ბალკანეთის სამი ლიდერი და მათ ზურგს უკან აპლოდისმენტებით “გრანდები“.[1]

რაც შეხება, იტალიის ორმხრივ დამოკიდებულებას უშუალო მეზობლებთან-სლოვენიასთან, ხორვატიასთან, ლუბლიანასთან მიმართებაში მკაცრმა იტალიურმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო. 1995 წლის 8 თებერვალს რომში შედგა ანიელის შეხვედრა სლოვენიის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრთან ზორან ტალერთან. მინისტრები შეთანხმდნენ განეახლებინათ იტალიის ვეტოს გამო შეწყვეტილი მოლაპარაკების პროცესი ორივე ქვეყნის მაღალი თანამდებობების პირთა მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, თებერვლის ბოლოს, ანიელი იმყოფებოდა ვაშინგტონში და ჩიოდა, რომ მოლაპარაკებები შევიდა ჩიხში მიუხედავად თავდაპირველი ოპტიმიზმისა და სთხოვდა აშშ-ს გამხდარიყო შუამავალი ურთიერთობების დარეგულირებაში. საბოლოოდ 1995 წლის 13 ივნისს სლოვენიის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი, რომლის მიღწევასაც ამდენხანს ცდილობდა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სლოვენიის მთავრობამ შესთავაზა ქვეყნის პარლამენტს შეეცვალა რესპუბლიკის კონსტიტუციის 68 მუხლი, რომელიც კრძალავდა უცხოელი მოქალაქეების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების საკუთრებაში ქონას. სლოვენიის ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ. 31.

ევროკავშირი აქტიურად მოუწოდებდა იტალიას მოეხსნა აკრძალვა სლოვენიის ევროკავშირის ასოცირებულ წევრობის საკითხისათვის, ხოლო ანიელიმ გამოთქვა იმედი, რომ სლოვენიის პრობლემა „შეიძლება გადაწყდეს, რაც შეიძლება სწრაფად და იტალია შეძლებს უკან გაიწვიოს ვეტო“[1]

მომდევნო მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის დროსაც იტალიის მიერ გამოცხადდა მხარდაჭერა სლოვენიის ინტეგრირებაზე ევროკავშირში, ნატოში და დასავლეთ ევროპის კავშირში ეს მოხდა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ლამბერტო დინისა და დავორინ კრაჩუნის 1996 წლის სექტემბრის დასაწყისში რომში შემდგარ შეხვედრაზე, რომლის შემდეგაც საუბრობდნენ ორმხრივი ურთიერთობების „სრულად ნორმალიზებაზე“. ერთი სიტყვით მოცემულ სიტუაციაში შეიძლება ავღნიშნოთ განსაზღვრული დოზით პროსლოვენური ეკონომიური ლობის არსებობაც. საქმე იმაშია, რომ იტალიის ჩრდილო აღმოსავლეთის ოლქების მეწარმეები ისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ მეზობელ სლოვენიასთან მათი უკვე ჩამოყალიბებული კონტაქტების სტაბილურობა და ამიტომ არ იყვნენ დაინტერესებული სასაზღვრო საკითხების გამწვავებით. ამ მოსაზრებას იზიარებდა აგრეთვე ტრიესტის მაშინდელი მერი და მსხვილი მეწარმე რიკარდო ილი. მსგავსი განწყობების გავლენა რეგიონის პოლიტიკურ წრეებზე მშვენივრად ახასიათებს იმ ფაქტს, რომ ნაციონალური ალიანსის მწვავე რიტორიკამ ისტრიაზე იტალიის ისტორიული უფლებების შესახებ 1994 წელს გამოიწვია მისი წარმომადგენლების ჩამოშორება ფრიულის რეგიონის ახალი ადმინისტრაციის ფორმირებაში ვენეცია- ჯულია, რომელიც შედგებოდა ჩრდილოეთის ლიგის წევრებისგან; „წინ იტალია“ და პოსტდემოქრისტიანული სახალხო პარტია.

ხორვატიასთან კი პირიქით, 1995 წლის დასაწყისში იტალიას ურთიერთობები გაუუარესდა. ეს გამოიწვია პირველ რიგში საზღვაო საზღვართან მომხდარმა ახალმა ინციდენტმა, როდესაც ხორვატმა პატრულმა ცეცხლი გაუხსნა იტალიურ გლისერს და

[1]La Stampa Archivio 1995.
http://archivio.lastampa.it/risultati?dal=&al=&pubblicazione=&edizione=&dove=&testo=1995&page=10

მოკლა ერთი მგზავრი. მესაზღვრეებმა თავიანთი მოქმედება ახსნეს იმით, რომ გლისერი იმყოფებოდა ხორვატიის ტერიტორიულ წყლებში და უარი განაცხადა შემოწმებაზე. ხორვატები ბრალს დებდნენ იტალიელ ეკიპაჟს კონტრაბანდისტული საქონლის გადატანაში და იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ემბარგოს დარღვევაში. კიდევ უფრო სერიოზული კონფლიქტი მოხდა 7 თებერვალს, როდესაც ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლომ შეიტანა ცვლილებები ისტრიის რეგიონის დებულების 18 სტატიაში, რომელიც არეგულირებდა იტალიელი უმცირესობების უფლებებს, მათ შორის ბილინგვიზმს და ფისკალურ ავტონომიას, ახლა კი - აღმოჩნდა იქიდან ამოღებული. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მწვავე პროტესტი გამოუცხადა ხორვატიის მხარეს და შეახსენა რომ დებულების წინანდელი რედაქცია მიღებული იყო 1992 წლის 15 იანვარს, იტალიელი უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, იტალია-ხორვატიის მემორანდუმის შესაბამისად, რომელიც ახლა ასევე აღმოჩნდა დარღვეული. დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავჯდომარემ მირკო ტემალმა მოუწოდა ხელისუფლებას დაებლოკა ევროკავშირში ხორვატიის ასოცირებულ წევრად მიღების საკითხი სანამ სიტუაცია არ გადაწყდებოდა.

1995 წლის იტალიური პოლიტიკა ხასიათდებოდა სერიოზული წინსვლით ქვეყნის გარეთ არსებულ იტალიურ დიასპორასთან მიმართებაში. კერძოდ, ივლისში მემარცხენე ცენტრისტულმა პროგრესისტების ფრაქციამ დეპუტატთა პალატას შესთავაზა კანონპროექტი კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლების შესაცვლელად, რომ იტალიის მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ მისცემოდათ უფლება წამოეყენებინათ საკუთარი კანდიდატურა პარლამენტში ემიგარციის წარმომადგენლად.

ამ ნაწილის დასასრულს ღირს ავღნიშნოთ დინის მთავრობის იუგოსლავიური პოლიტიკის ძირითადი მომენტები:

„ევროპაში დაბრუნების“ გამოცხადების შემდეგ, ბოსნიისა და ხორვატიის კონფლიქტების დარეგულირების იტალიური პოლიტიკა უფრო მეტად ვიდრე ადრე, გახდა საერთოევროპული მიდგომების შესაბამისი. ამასთან იტალია უფრო აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში კრიზისის დარეგულირებისათვის.

იტალიის ყურადღების აქცენტირებას იუგოსლავიისაკენ, რომელიც დამახასიათებელი იყო ბერლუსკონის მთავრობის პოლიტიკის დროს, ასევე დაემატა აქტიური დაინტერესება ხმელთაშუა ზღვის რეგიონისა და სომალის პრობლემების მიმართ.

ნელ-ნელა ხდება იტალიურ-სლოვენური ურთიერთობების კრიზისის დაძლევა, ხოლო იტალიურ-ხორვატული კრიზისი პირიქით უფრო გაძლიერდა.

ვატიკანის პოლიტიკაში 1995 წელს, შეიძლება გამოიყოს მაკედონიასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. საინტერესოა ამ საკითხის პრეისტორიაც; 1986 წელს, ჯერ კიდევ ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, მაკედონიამ ვატიკანში მოაწყო ძველი ხატების გამოფენა. საბერძნეთმა საპასუხოდ პაპს პროტესტი გაუგზავნა, განაცხადა; რომ ხატები იყო ბიზანტიური და „ვარდარელი მაკედონელების“[1] წინაპრებთან არ იყო არანაირ კავშირში. განცხადებაში ასევე ჩამოყალიბებული იყო საბერძნეთის დამოკიდებულება და საერთო პოზიცია მაკედონიის საკითხისადმი. იოანე პავლე მეორემ მიიღო საბერძნეთის აზრი. აღდგომის მორიგი ზეიმის დროს, ქრისტიანი ერებისადმი პაპის ტრადიციული მისალმებისას, როდესაც ის მათ თავიანთ მშობლიურ ენაზე მიმართავს, ქადაქება მაკედონიურ ენაზე არ წარმოთქმულა. ამის შემდეგ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა და 1994 წლის დეკემბრის ბოლოს პაპმა მიიღო რწმუნების სიგელი მაკედონიის ელჩისგან, ხოლო 1995 წლის 26 მაისს წმინდა კირილესა და მეთოდეს დღის აღსანიშნავად შეხვდა მაკედონიის პრეზიდენტს კირო გრიგოროვს.

[1]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ. 33.

თავი II. კოსოვოს კრიზისი და იტალიის საგარეო პოლიტიკა

(1999-2000 წლები)

§1.2. იტალიის პოზიცია კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში

1999 წელს ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის პირველ დღეებში იტალიის პოლიტიკური ელიტა ამ ქმედებას დადებითად შეხვდა. ამავე დროს, ქვეყნის ხელმძღვანელების განცხადებებში აქტიურად დაიწყო იმ იდეის პროპაგანდა, რომ

მოცემული კონფლიქტი იტალიისათვის არ წარმოადგენს არანაირ საფრთხეს და რომ ქვეყნის ტერიტორია საიმედოდ არის დაცული სერბთა შესაძლო შურისძიებებისგან. მაგალითად, იტალიის თავდაცვის მინისტრმა კარლო სკონიამილუმ, ჯოი დელ კოლეში (აპულია) ავიაბაზაზე სტუმრობის დროს სპეციალურად გაუსვა ხაზი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესანიშნავ მდგომარეობას, რომ იტალიური დაზვერვის მონაცემებით იუგოსლავიელებს არ ქონდათ „სკატის“ ტიპის რაკეტები და მოქალაქეებს კონფლიქტთან დაკავშირებით შეშფოთების მიზეზი არ უნდა ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის საზოგადოების აზრი იმის შესახებ, რომ იტალია შეიძლებოდა გამხდარიყო სერბების პასუხის სამიზნე, განსხვავდებოდა სხვა ნატოს წევრი ქვეყნების აზრისაგან, რომლების ჩართული იყვნენ დაბომბვაში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები), რადგანაც იუგოსლავიისაგან დაშორება მათ აძლევდა საშუალებას არ ეფიქრათ სერბების კონტრგამოსვლებზე.[1]

სწორედ ეს შიში გახდა მიზეზი იტალიელების მიერ არ მონაწილეობისა ავიადარტყმებში, მათი თვითმფრინავები მხოლოდ ნატოს ბომბდამშენებს აცილებდნენ, აწარმოებდნენ ელექტრონულ რადიოდაზვრევას და სხვა დამხმარე დავალებებს. თუმცა, ომის პირველ დღეს ინფორმაციის არქონამ და BBC-ის პრესსამსახურის დეზინფორმაციამ, რომ იტალიის ავიაცია დაკავებულია მხოლოდ ნაციონალური ტერიტორიის დაცვით და საერთოდ არ მონაწილეობს რეიდებში, გამოიწვია იტალიის მასმედიით ხმების გავრცელება დაბომბვებში იტალიის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. ამ ხმების გაქარწყლება მოუწია თვითონ სკონიამილს, რომელმაც აღიარა იტალიელთა თვითმფრინავების მონაწილეობა რეიდებში თანმხლების ფუნქციით და ხაზი გაუსვა იტალიის არმონაწილეობაზე „აქტიურ“ მოქმედებებში. ამასთან ის არ გამორიცხავდა იტალიის მონაწილეობას უშუალოდ დაბომბვებში თუ კი ნატო თხოვდა ამას. (ასეც მოხდა 14 აპრილიდან)[2]

---

[1]NATO's role in relation to the conflict in Kosovo. https://www.nato.int/kosovo/history.htm

[2]RicciMaurizio,*Kosovosottotuteladell'Europa*,15aprile1999,inhttp://www.repubblica.it/online/fatti/tute/tute/tute.html

მეორე ასპექტი იტალიის სამხედრო ლიდერებისა კონფლიქტის დასაწყისში მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ ამ კრიზისის ხანმოკლეობაში და ერთჯერადი ავიადარტყმების საკმარისობაში. ამის შესახებ პირველ დღეებში აცხადებდნენ სკონიამილუ და იტალიის გენშტაბის უფროსი გენერალი მარიო არპინო. უფრო რადიკალურად ლაპარაკობდა ამ თემაზე 25 მარტს იტალიის პრემიერ-მინისტრი მასიმო დ ალემა, რომელმაც აღნიშნა, რომ სერბიის დაშინების მიზანი უკვე მიღწეულია პირველივე შეტაკებების დროს და ახლა აუცილებელია ისევ „გადაეცეს სიტყვა პოლიტიკას და დიპლომატიას“. ამ გამოსვლაში დ ალემამ მხარი დაუჭირა რუსეთის იდეას; სასწრაფოდ გამოეძახებინათ საკონტაქტო ჯგუფი იუგოსლავიის საკითხებში. დ ალემას ამ განცხადებას დიდი ბრიტანეთი და განსაკუთრებით აშშ ნეგატიურად შეხვდა, (აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების დარგში ბერგერმა დ ალემას განცხადებას საომარი მიზნების მიღწევის შესახებ „სინამდვილესთან შეუსაბამო“ უწოდა და მიანიშნა, რომ ამერიკა ამას იტალიის პრემიერ-მინისტრს გააგებინებს.)

დ ალემას ასეთი მოზომილი განცხადება გამოწვეული იყო, გარდა სხვა მიზეზებისა, ასევე სერიოზული შიდაპოლიტიკური საფრთხით; იუგოსლავიის საკითხის გამო დაშლილიყო მმართველი კოალიცია.[1] მმართველი კოალიციის წევრები, მოძრაობა „მწვანეები“ და ქვეყნის რადიკალურ-კომუნისტური მოძრაობა, “იტალიელი კომუნისტების პარტია“, რომლის ხელმძღვანელიც იყო არმანდო კოსსუტო, იმუქრებოდნენ დ ალემის მთავრობიდან თავიანთი წარმომადგენლების გაწვევით. სხვათაშორის, თვითონ პრემიერმა, ომის პირველ დღეებში საჯაროდ განაცხადა იმის შესახებ, რომ არ ღელავს კაბინეტის ბედზე: „კოსსუტა მე ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. პირველ რიგში მე დაკავებული ვარ საერთაშორისო საკითხებით“. - ამტკიცებდა ის 25 მარტს.[2] ამავე დროს ზომიერად მემარჯვენე პარტიის “დემოკრატების

[1] “La repubblica.it” –სტატია (26 marzo 1999) https://www.repubblica.it/online/fatti/kosovo3/italia/italia.html

[2] „La NATO nella crisi del Kosovo. (24 marzo-10 giugno 1999).

კავშირი რესპუბლიკისათვის“, რომელიც ასევე შედიოდა კოალიციაში, ლიდერი ფრანჩესკო კოსიგა, გამოთქვამდა იმედს, რომ დ ალემა არ ეცდება გადაარჩინოს თავისი მთავრობის სტაბილურობის გარანტია ქვეყნის ღირსების და საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთგულების ფასად“, წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე მისი პარტია დატოვებს კოალიციას.

იმავე დღეს, 25 მარტს, იტალიის ყოფილმა პრემიერმა რომანო პროდიმ, რომელიც რამოდენიმე დღით ადრე არჩეული იქნა ევროსაბჭოს კომისიის ახალ თავმჯდომარედ, წამოაყენა ახალი ინიციატივა; მოეწვიათ დიდი საერთაშორისო კონფერენცია ბალკანეთის საკითხებზე, სადაც კოსოვოს კონფლიქტის გადაწყვეტა იქნებოდა მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი პრობლემა. იმავე დღეს, პოლიტიკური დიალოგის განახლებისაკენ მოუწოდა იტალიის პრეზიდენტმა ოსკარ-ლუიჯი ალვარომაც. ოფიციალური ვატიკანის წარმომადგენლებმა კონფლიქტის დასაწყისშივე განაცხადეს დაბომბვის შეწყვეტის, პოლიტიკური დიალოგის განახლების და მოლაპარაკებებში რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ და ცდილობდნენ ღიად არ გამოსულიყვნენ ანტისერბული ბრალდებებით.

რაც შეეხება დარბევაზე საზოგადოების რეაქციას, უკვე ომის პირველ დღეებშივე მთავრობის ოპოზიციური რადიკალურ-კომუნისტურმა მოძრაობამ - „კომუნისტური გარდაქმნა“, ფაუსტო ბერტინოტის ხელმძღვანელობით მთავრობის რეზიდენციის წინ, რომში გამართა საპროტესტო დემონსტრაცია ომისა და მასში იტალიის მონაწილეობის წინააღმდეგ. ამის პასუხად მასსიმო დ ალემას პარტიის - „მემარცხენე დემოკრატების“, რომელიც შეადგენდა მთავრობის მთავარ ბირთვს, ოფიციალურმა წარმომადგენელმა დეპუტატმა პიეტრო ფოლენამ, ბრალი დასდო ბერტინოტის ფილოსერბულ პოზიციებში და განაცხადა, რომ კონფლიქტის გაჩაღებაში დამნაშავეა არა ნატო არამედ ს. მილოშევიჩი, რომელმაც ჩაატარა ეთნიკური წმენდა და უარყო რამბუეს მოლაპარაკებების პროექტები. ამის მსგავს განცხადებებს აკეთებდა მემარცხენე

Intervento umanitario o indebita ingerenza.“ *Anno Accademico 2003 – 2004.იხ.გვ.31-33.მე-3 თავი.* ‘Il ruolo dell’Italiana nella crisi“

დემოკრატების (Democratici di Sinistra) ლიდერი ვალტერ ველტრონიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ „კოსოვოში არ მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, არამედ ეს არის ეთნიკური წმენდა და როდესაც დიპლომატიურ საშუალებებს მიზნისკენ ვერ მივყავართ, საჭიროა უფრო სუსტების დაცვა“. ფოლენა გარდა თავისი ანტისერბული პოზიციისა, მთავრობის დაშლის ინიციატორებს აშინებდა იმითაც, რომ მთავრობის სათავეში მემერცხენე დემოკრატების ნაცვლად ბერლუსკონის მთავრობა, რომ ყოფილიყო, არანაირი გარანტია არ იქნებოდა, რომ იტალია მხოლოდ ნაწილობრივ ჩაერთვებოდა ამ ძალადობრივ აქციაში.

26 მარტს შედგა იტალიის პარლამენტის ორივე პალატის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ომს იუგოსლავიაში. აქ, წარმოდგენილი პროექტებიდან უნდა გამოიყოს ე.წ. PDCI-ს[1] პროექტი, რომელიც მოუწოდებდა აეკრძალათ იტალიის შეიარაღებული ძალების პირდაპირი მონაწილეობა ნატოს ოპერაციებში. „კომუნისტური გარდაქმნის“ და ჩრდილოეთის ლიგის პროექტი გმობდა ნატოს საომარ მოქმედებებს და მოითხოვდა დ’ალემას გადადგომას. და ბოლოს, მმართველი პარტიის პროექტი, რომელიც უარს არ ამბობდა იტალიის ვალდებულებებზე ნატოში და ეჭვის ქვეშ არ აყენებდა ავიადარტყმების ლეგიტიმურობას, გამოდიოდა მოწოდებით; კოსოვოს საკითხზე საერთაშორისო მოლაპარაკების განახლებისაკენ და ხაზს უსვამდა იმას, რომ იტალია უშუალოდ არ მონაწილეობდა ნატოს შეტევით ოპრაციებში. საბოლოოდ მთავრობის პროექტი დამტკიცდა 318 ხმით 188 წინააღმდეგ. ამ პროექტს ხმა მისცა PDCI-მაც, რომელიც მართალია არ ეთანხმებოდა იტალიის მონაწილეობას ომში, მაგრამ სურდა არ დაწყებულიყო სამთავრობო კრიზისი. მისმა ლიდერმა ა. კოსსუტამ განაცხადა, რომ პატრია გაიწვევს თავის მინისტრებს იმ შემთხვევაში თუ, იტალია გააგრძელებს ომში მონაწილეობას, მაგრამ წინანდებურად მხარს დაუჭერს დ. ალემას მთავრობას. ამავე დროს სამთავრობო რეზოლუციის წინააღმდეგ სენატში ხმა მისცა პარტია UDR (რესპუბლიკის დემოკრატიული კავშირი) ლიდერმა კოსსიგამ, რომელმაც

[1] Partners for Democratic Change International.

მინისტრთა კაბინეტი დაადანაშაულა ნატოსთან ერთად „ერთ ნავში ჯდომაში“, გაუბედავ გაორებაში და იმის გაურკვევლობაში იტალია ომის მომხრეა თუ წინააღმდეგი.

გარდა მმართველი კოლიციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობისა იუგოსლავიის კონფლიქტს იტალიისათვის კიდევ ერთი შიდაპოლიტიკური შედეგი ჰქონდა; ქვეყნის პრეზიდენტი სკალფარო, რომლის ვადაც იწურებოდა 1999 წლის 28 მაისის დასაწყისში, არ გამორიცხავდა ვადამდელ წასვლას აპრილში, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ დამთხვეოდა 13 ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებს, თუმცა 26 მარტს განაცხადა, რომ იტალიის უშუალო სიახლოვეს სამხედრო კონფლიქტის არსებობის პირობებში მას არ შეუძლია ქვეყანა დატოვოს უმაღლესი მხედართმთავრის გარეშე და ამიტომაც მის ვადამდელ გადადგომაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ეროვნული მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში კი გაისმა მოსაზრებები სკალფაროსთვის იუგოსლავიის ომის დამთავრებამდე ან სტაბილიზაციამდე მისი პრეზიდენტობის ვადის გაგრძელების შესახებ.

ახალი ძალით, მთავრობიდან მისი წარმომადგენლების შესაძლო გასვლის შესახებ PDCI-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს მას შემდეგ, რაც ნატოს ძალების ავიადარტყმების მეორე ფაზაზე გადასვლას ბრიუსელში ხმა მისცა იტალიამ. ამასთან დაკავშირებით დ ალემამ განაცხადა, რომ იტალია მხარს უჭერს ნატოს იმაში, რომ ძალების ესკალაციით აიძულოს მილოშევიჩი შეწყვიტოს ეთნიკური წმენდა კოსოვოში.[1] ამასთან დ ალემა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლამბერტო დინი მარტის დასასრულს და აპრილის დასაწყისში დეკლარირებდნენ იტალიის მუდმივ მზადყოფნაზე ბელგრადთან მოლაპარაკებისათვის და უფრო მეტიც, დინი საკმაოდ გულწრფელად მუსირებდა იდეას იტალიის ტრადიციულ განსაკუთრებულ ისტორიულ დამოკიდებულებაზე სერბიასთან, რომსა და ბელგრადს შორის კონტაქტური ჯგუფის ჩარჩოებში ძალიან კარგი კონტაქტების დამყარებაზე და ამიტომაც როდესაც

[1] „*Milosevic dice sм al piano di pace*, 3 giugno 1999„ http://www.repubblica.it/online/fatti/croce/croce/croce.html

მოლაპარაკებების დრო დადგება იტალიას შეუძლია იყოს შუამავალი მოლაპარაკებებში. სხვა სახელმწიფოებს შორის, ვისაც ობიექტურად შეეძლო გამხდარიყო შუამავალი მოლაპარაკებებში, დინის აზრით იყო რუსეთი და საბერძნეთი. დ ალემას ერთ-ერთი არგუმენტი, რითაც მან კომუნისტები დაარწმუნა არ დაეტოვებინათ მთავრობა იყო მისი მტკიცება კოსოვოს კონფლიქტის გადაწყვეტის გზების ძიებაში რუსეთთან აქტიური თანამშრომლობა.[1] PCDI-ის და „მწვანეთა“ ბოლო განცხადება მთავრობიდან გასვლის შესახებ იყო მათი მოწოდება შეეწყვიტათ დაბომბვები კათოლიკური აღდგომის დროს (4აპრილს), ხოლო თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდებოდა ეს მოძრაობები განაცხადებდნენ თავიანთი მინისტრების გამოწვევის შესახებ.[2] თუმცა სინამდვილეში არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა.

31 მარტს პირველად მოხდა პოლემიკა კოსოვოს კონფლიქტზე მთავრობის იმ წევრებს შორის რომლებიც არც PCDI-ს და არც „მწვანეებს“ წარმოადგენდნენ. ამ დღეს კომიტეტის სხდომაზე იტალიის მკაცრ ხაზზე იუგოსლავიასთან მიმართებაში აზრი გამოთქვა იტალიის სახალხო პარტიის წევრმა როზი ბინდიმ (ყველაზე მემარცხენე ნაწილი ყოფილ დემოკრატ-ქრისტიანებში). მისი სიტყვებით ნატოს თავდასხმები მხოლოდ ზრდიან ჰუმანიტარულ კატასტროფას და პროვოცირებას უკეთებენ ლტოლვილთა შემდგომ განდევნას.

იტალიის კათოლიკური წრეები შეშფოთებულნი არიან ქვეყნის მმართველების მხრიდან საჭირო პაციფიზმის არ არსებობის გამო, ხოლო მილოშევიჩი შესაძლებელია „არ იყოს ყველაზე სისხლიანი დიქტატორი“. ბინდიმ ასევე მოუწოდა ევროპული ერთიანობისაკენ და სამხედრო საკითხებში დამოუკიდებლობისაკენ და ხაზი გაუსვა, რომ „პოლიტიკა ევროპის სახელით არ შეიძლება იყოს ერთი ალიანსის ტყვე“ მეორე მხრივ, იგივე სხდომაზე ნატოსადმი თანამშრომლობისა და უსიტყვო მხარდაჭერის იდეით გამოვიდნენ საგარეო ვაჭრობის მინისტრი პიერო ფასინო, ინსტიტუციონალური

[1] „D'Alema: risoluzione dell'Onu e poi una tregua della Nato“ http://www.repubblica.it/online/fatti/alem17/det/det.html

[2] L'ultimatum di Cossutta (31 marzo 1999)- http://www.repubblica.it/online/fatti/cossu/cossu/cossu.html

რეფორმების მინისტრი ჯულიანო ამატო (უპარტიო, ყოფილი პრემიერი), მინისტრი ევროსაბჭოს საქმეებში-ენრიკო მეტტა, საზოგადოებრივი სამსახურის მინისტრი - ანჟელო პიაცცა. ამ სხდომაზე მკაცრი ხაზის მომხრე იყო დ ალემაც, რომელმაც განაცხადა რომ იტალია არის ნატოს წევრი ქვეყანა, სანამ ის პრემიერია არ დაუშვებს თვითნებეური პოლიტიკის გატარებას. კიდევ უფრო მკაცრად გამოვიდა ველტრონი: „დიქტატორის წინააღმდეგ ბრძოლა მემარცხენეების ვალია“

რომში, 27 მარტს, „კომუნისტური გარდაქმნის“ და რიგი კვაზი პროფკავშირული ჯგუფების მიერ ორგანიზებული მანიფესტაცია პირველად გადაიზარდა დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკებაში. მანიფესტანტებმა, რომლებიც მიემართებოდნენ DS-ს შტაბბინისაკენ ლოზუნგებით, დ'ალემას მმართველ კაბინეტს უწოდებდნენ „მკვლელების მთავრობას“, გზაში ჩაამტვრიეს ამერიკული რესტორნის ვიტრინები და DS-ს შტაბბინას შეაყარეს დამპალი ხილი. პოლიციამ საპასუხოდ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. ამ შეტაკებაში 4 ადამიანი დაიჭრა. მანიფესტაციები გაიმართა აგრეთვე მილანში, ტურინში, გენუაში და ადრიატიკის რიგ ქალაქებში, ასევე ავიანოს და ჯოია დელ კოლეს სამხედრო ბაზების კარებთან.

28 მარტს, PDCL-ის ლიდერმა კოსსუტამ[1] თავის მხრივ გამართა მოლაპარაკება პროკომუნისტური საერთო იტალიური პროფკავშირების (CGIL) ხელმძღვანელთან სერჯიო კოფფერატისთან, მთავრობაისადმი ლოიალურად განწყობილი კომუნისტების და პროფკავშირების ერთობლივი მანიფესტაციების კორდინაციის შესახებ, რომ ხალხის რისხვა ომის წინააღმდეგ, არ მიმართულიყო მთავრობის წინააღმდეგ. შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთობლივი საპროტესტო მანიფესტაციის ჩატარების შესახებ, რომელსაც სამივე საერთო ეროვნული იტალიური პროფკავშირი გაუკეთებდა ორგანიზებას - CGIL გარდა, პროკათოლიკური „იტალიური კონფედერაცია მშრომელთა პროფკავშირები“ (CISL) და ლიბერალური „იტალიის მშრომელთა კავშირი“ (UIL), კათოლიკური და სხვა

[1]L'ultimatum di Cossutta (31 marzo 1999)- http://www.repubblica.it/online/fatti/cossu/cossu/cossu.html

პაციფისტური ორგანიზაციების მოზიდვით. ასეთივე ერთობლივი მარში ჩატარდა 7 აპრილს, რომლის შედეგადაც მიმომხილველებმა დაიწყეს კოსსუნტას კომუნისტებსა და ვატიკანს შორის მოქმედებების კორდინაციის არსებობის შესახებ მითქმა-მოთქმა.[1] მეორეს მხრივ ბერტინოტის კომუნისტებმა სხვადასხვა კათოლიკურ ორგანიზაციებთან ერთად რომში აღდგომის წინ 3 აპრილს ჩაატარეს ასიათასიანი პაციფისტური მანიფესტაცია, რომლის დროსაც კომუნისტმა ბერტინოტიმ გამოხატა აღშფოთება იმის გამო, რომ პაპის მოწოდება სააღდგომო ზავის შესახებ არ იქნა მიღებული ნატოს მიერ. 6 აპრილს საპროტესტო დელეგაციას ნატოს ბაზაზე (ვენეციასთან ახლოს) ხელმძღვანელობდა ვენეციის ვიცე მერი ბეტტინი, რომელიც იყო მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი. ბაზის ტერიტორიაზე შეჭრის მცდელობა დამთავრდა იმით, რომ ყველა , მათ შორის ვიცე მერიც ნატოს წარმომადგენლებმა დაიჭირეს და მხოლოდ რამოდენიმე საათის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ანტისაომარი პროტესტის ყველაზე თვალსაჩინო ფორმა გახდა ჯარისკაცთა დედების, (ვისი შვილებიც იმყოფებოდნენ მაკედონიაში მრავალეროვნული ძალების ჩარჩოებში მომქმედი იტალიური კონტიგენტის შემადგენლობაში,) საპროტესტო მოძრაობა. დაახლოებით 600-მდე ჯარისკაცი, წარმოშობით აპულიიდან იყო (სამხრეთ - ადრიატიკული პროვინცია, სადაც როგორც წესი ალბანელი ლტოლვილების ძირითადი ნაკადი ხვდებოდა) ამიტომაც, ამ ჯარისკაცების დედებმა მარტის ბოლოს გაუგზავნეს ღია წერილი პრეზიდენტ სკალფაროს მოთხოვნით დაებრუნებინათ მათი შვილები ფრონტისპირა ზონიდან და გაეყვანათ იტალიური კონტიგენტი მაკედონიიდან.

1999 წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში იტალიელი პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში კონფლიქტის ესკალაციასთან ერთად კოსოვოდან ლტოლვილების მასიური გასვლა მოხვდა.[2] თავიდან იტალიის შინაგან

[1]"Pdci fuori dal governo? Forse già da dopodomani"- http://www.repubblica.it/online/fatti/interni/interni/interni.html

[2]The cultural construction of Italy in Albania and vice versa : migration dynamics, strategies of resistance and politics of mutual self-definition across colonialism and post-colonialism. in Modern Italy, 9(1), May 2003. გვ. 77-93.

საქმეთა მინისტრმა როზა რუსსო-ერვოლინომ განაცხადა იტალიის მზადყოფნაზე განეთავსებინა თავის ქვეყანაში კოსოვოელი ლტოლვილები, როგორც ჩანს ქვეყნის პოლიციის ხელმძღვანელები ემზადებოდნენ ადრიატიკის მეორე ნაპირიდან იძულებით გადაადგილებულების მასიური შემოდინების განმეორებისათვის, როგორც ეს მოხდა 1997 წელს ალბანეთის კრიზისის დროს. ლტოლვილების პირველადი განთავსების ორგანიზებისათვის დამატებითი უფლებამოსილებები გადაეცა იტალიის ადრიატიკული პროვინციების პრეფექტებს (პოლიციის ხელმძღვანელებს). უფრო მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა მთავრობის მზადყოფნაზე, მოეხდინა კერძო საკუთრებაში არსებული მესაკუთრეების მიერ გამოუყენებელი მეორე სახლები და ბინები, საავარაკო სახლები ზღვაზე და ქალაქგარეთ გადაეცათ ლტოლვილების განსათავსებლად. შემდეგ, ლტოლვილების სტიქიური შემოდინება უშუალოდ იტალიაში მოიხსნა დღის წესრიგიდან და იტალია ჩაერთო ალბანეთისა და მაკედონიის ლტოლვილთა ბანაკებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში. 29 მარტს სამხედრო გემი „სან მარკო“ აღჭურვეს ჰუმანიტარული დახმარებით და გაუშვეს დურრესში. 30 მარტს რუსსო-ერვოლინო პირადად იმყოფებოდა ალბანეთის საზღვრისპირა ქალაქებში კუკესში და მორინში ლტოლვილების ბანაკების ორგანიზების გამო. იტალიამ აიღო ვალდებულება ორგანიზება გაეკეთებინა 4 ასეთი ბანაკისათვის: ორი დურრესტან ახლოს (გოლემი და კაპო პალი) და თითო რუშბულში და კუკესში. მათი დაცვისა და წესრიგის დასაცავად გადაწყვიტეს ალბანეთში კიდევ 100 იტალიელი პოლიციელი გაეგზავნათ იქ უკვე მყოფი 200 პოლიციელის დასამატებლად, რომლებიც იქ 1997 წლის კრიზისიდან იმყოფებოდნენ. შემდეგ მიღებულ იქნა ნატოს საერთო გადაწყვეტილება, რომ იტალია აიღებს საკუთარ თავზე ალბანეთის ტერიტორიაზე ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევის კოორდინაციას. წესრიგის დასაცავად გადაწყვიტეს ალბანეთში გაეგზავნათ ნატოს 8 ათასიანი საერთაშორისო კონტიგენტი, რომელთა შორის 3 ათასი უნდა ყოფილიყო იტალიელი და მათ იტალია

უხელმძღვანელებდა. ალბანეთის დასავლური დახმარების კოორდინატორად დაამტკიცეს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უმბერტო ვანიერი. 11 აპრილს, ნატოს აქციის "მოკავშირეთა ნავსადგური"-ად გამოცხადების შემდეგ მისი ხელმძღვანელი გახდა არა იტალიელი არამედ დიდი ბირტანეთის წარმომადგენელი.[1]

კათოლიკურ აღდგომაზე ალბანეთს ესტუმრა პრემიერი დ'ალემაც, იმასთან დაკავშირებით, რომ ალბანეთში საჭირო ხდება დიდი რაოდენობით სამხედროების გაგზავნა. თავდაცვის მინისტრმა სკოლიამოლომ 6 აპრილს არ გამორიცხა რომ იქ გაიგზავნებიან არამხოლოდ პროფესიონალი სამხედროები არამედ ახალწვეულებიც, ოღონდ მხოლოდ მათი სურვილით. იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტიდან საჭირო იყო დიდი რაოდენობით დამატებითი ხარჯები ლტოლვილთა ბანაკების კეთილმოწყობისათვის, გარკვეული დროის განმავლობაში იტალიაში განიხილებოდა იდეა, კოსოვოელი ლტოლვილების დასახმარებლად, ექსტრაორდინალური სამხედრო გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით, თუმცა შემდეგ ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ უარი თქვა ამ იდეაზე.

დიდი აქტიურობა ლტოლვილების დაბინავების საკითხთან დაკავშირებით გამოიჩინა გადამდგარმა ევროკომისარმა, ჰუმანიტარული დახმარების საკითხებში, იტალიელმა ემმა ბონინომ. ამასთან მან დაიკავა იტალიელ პოლოტიკოსებს შორის ყველაზე ხისტი ანტისერბული პოზიცია, მოითხოვა ნატოს ოპერაციების გადამწყვეტ გაგრძელებას და მილოშევიჩის, როგორც სამხედრო დამნაშავის დასჯას. გარდა ამისა ბონინომ მოუწოდა ევროკავშირთან ინტეგრაციის გაძლიერების სამხედრო სფეროში და ერთიანი ევროპული არმიის შექმნისკენ. განაცხადა, რომ არაეფექტურია და ძვირია 15 ცალკეული არმიის ერთიანობაში შენახვა. უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოებაც, რომ ზოგი იტალიური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აპრილის მეორე დეკადაში გაისმა კრიტიკა ბენინოს როგორც კოსოვოს ლტოლვილების დახმარების

[1] The Kosovo refugee crisis. An independent evaluation of UNHCR's emergency preparedness and response. By Astri Suhrke, Michael Barutciski, Peta Sandison, Rick Garlock. February 2000.

ევროკავშირის კურატორისა. მას კონკრეტულად ბრალს დებდნენ ევროკავშირის წევრების მოქმედებების სუსტ კოორდინაციაში, ევროკავშირის საერთო პასიურობაში, ლტოლვილების დახმარების და ფინანსური ოპერაციების შეყოვნებაში და ა.შ.

გარდა ევროკავშირისა იტალიელების მხრიდან კრიტიკის ქვეშ მოექცა ასევე გაეროს უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საქმეებზე. იტალიის სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ფრანკო ბერბერიმ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ალბანეთისადმი იტალიის დახმარებაზე, 11 აპრილს განაცხადა, რომ გაეროს წარმომადგენლები მხოლოდ უშლიან ხელს მუშაობაში, რადგანაც მოქმედებენ არაეფექტურად, გრძელი ბიუროკრატიული გაჭიანურებებით.

რაც შეეხება იტალიის სამხედრო ხელმძღვანელობის პოზიციას თავდასხმების მეორე ფაზის დაწყებასთან დაკავშირებით, მარტის ბოლოს გენშტაბის ხელმძღვანელმა არპინომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ რეიდებში მონაწილე იტალიური თვითმფრინავები უხსნიდნენ ცეცხლს მათ მიერ აღმოჩენილ სერბების რადარებს და რაკეტებს, მაგრამ უწინდებურად არ ღებულობენ მონაწილეობას სამიზნეების დაბომბვაში. გარდა ამისა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მასსიმო ბრუტტიმ 29 მარტს განაცხადა, რომ სამხედროებს არ შეუძლიათ მოითმინონ იტალიის მთავრობის გაურკვევლობა ომში იტალიის როლის შესახებ.[1] ზოგ საინფორმაციო საშუალებაში გამოჩნდა ანონიმური საინფორმაციო წყაროები, მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები, რომლებიც ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას მთავრობის გაუბედაობაზე ნატოს ოპერაციის მხარდასაჭერად და სამხედროების დადანაშაულებაში, რომ პარლამენტის რეზოლუციის მიუხედავად დაუწყეს სროლა სერბების რადარებს.

თავდასხმის მეორე ფაზის დაწყებისთანავე პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ომს, დაიწყეს მცდელობები დეთანხმებინათ მილოშევიჩი მოეძებნა კომპრომისი დასავლეთთან. 30 მარტს ბელგრადში გაემართა ჩრდილოეთის ლიგის დელეგაციის დეპუტატთა ჯგუფის შეხვედრა, იტალიის შინაგან

[1]Fedeltà atlanticao crisi di governo?La mozione della maggioranza:"Stop ai bombardamenti".http://www.repubblica.it/online/fatti/kosovo2/italia/italia.html

საქმეთა ყოფილი მინისტრის მარონის და მილანის ყოფილი მერის ფორმენტინის ხემლძღვანელობით, იმისათვის, რომ შეეთავაზებინათ იუგოსლავებისათვის კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი გეგმა, რომელიც არ იყო დაკავშირებული რამბუეს აპრიორულ მითითებებთან. 2 აპრილს ჩრდილოეთის ლიგის ლიდერი უმბერტო ბოსსი გამოვიდა მოთხოვნით „სუვერენული პადანიადან“ ნატოს ავიაბაზების გატანის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაიმუქრა რომ დაიწყებს „პირდაპირ მოქმედებებს“ ამ ბაზების დეზორგანიზაციისათვის და განაცხადა, რომ ლიგა აპირებს პარლამენტში გაიტანოს საკითხი დ ალემას მთავრობის უნდობლობის შესახებ.

კონფლიქტის მეორე ფაზის დაწყებამ ხელი შეუწყო მემარცხენე დემოკრატების დელიმიტაციას პარტიის ფარგლებში. რიგი პოლიტიკური პარტიები გამოვიდნენ უპირობო პრონატოური ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ატარებდა ველტრონი და მარტის ბოლოდან დ’ალემაც. 1 აპრილს მემარცხენე დემოკრატიული პარტიის საბჭოს წევრი ალდო ტორტორელა დემონსტრატიულად გავიდა იქიდან, სენატში მემარცხენე დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელმა ჩეზარე სალვიმ განაცხადა, რომ იტალია არ უნდა უჭერდეს მხარს ნატოს, თავდასხმების მესამე ფაზის დაწყებაში, რაზედაც დაიწყო ლაპარაკი აპრილის პირველ დეკადაში.[1]

აპრილის დასაწყისში აზრთა სხვადასხვაობა დაიწყო „დემოკრატებს“ შორის. ეს ბლოკი შეიქმნა სულ ცოტა ხნის დ’ალემათი უკმაყოფილო მემარცხენე ცენტრისტების მიერ და მას ხელმძღვანელობდნენ რომანო პროდი, საქმის „სუფთა ხელები“-ს ყოფილი გამომძიებელი ანტონიო დი პიეტრო და პომისა და ვენეციის მერები. პიეტრო 2 აპრილს გამოვიდა ძალიან ხისტი პოზიციით იუგოსლავიასთან დაკავშირებით და ნატოს სახმელეთო ოპერაციების სწრაფი დაწყებისაკენ მოუწოდა. რ. პროდიმ რომელიც, მიუხედავად მისი ევროკომისიის თავმჯდომარედ არჩევისა, სანამ საბოოლოოდ არ დამტკიცდებოდა მისი კანდიდატურა ევროპარლამენტის მიერ, არ აპირებდა დაეთმო ახალი ბლოკის ხელმძღვანელობა ქვეყნის შიგნით და მოეხდინა

[1] Pdci fuori dal governo? Forse già da dopodomani" Da molti parlamentari di centrosinistra appello per la pace a Nato e Jugoslavia. http://www.repubblica.it/online/fatti/interni/interni/interni.html

მისი საქმიანობის კოორდინირება 13 ივნისის ევროპარლამენტის არჩევნების წინ. იქვე, განაცხადა, რომ დი პიეტრომ გამოთქვა მხოლოდ თავისი პირადი მოსაზრება, რადგანაც „დემოკრატები“ მთლიანობაში გამოდიან ორივე მხრიდან ძალადობის უსწრაფესად შეწყვეტის და მშვიდობიანი პროცესის დაწყების მოთხოვნით. მოვლენების განვითარებასთან ერთად დ ალემა უწინდებულად გამოხატავდა წამოჭრილ საკითხებში ნატოს პოზიციების მხარდაჭერას. კერძოდ, 6 აპრილს მან ხაზი გაუსვა რომ დაბომბვის შესაწყვეტად საკმარისი არ იყო იუგოსლავების მიერ სააღდგომოდ გამოცხადებული ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა. მისი აზრით ამის პირობა უნდა ყოფილიყო კოსოვოდან ჯარის გაყვანა და ლტოლვილების დაბრუნებისათვის გარანტიების შეთავაზება. იტალიის ეს მიდგომა განსხვავდებოდა ვატიკანის რეაქციისაგან: მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ჟან ლუი ტორანის განცხადებით თუ კი სერბებმა შეწყვიტეს ცეცხლი, ეს უნდა გახდეს ნაბიჯი მშვიდობისაკენ და დასავლეთმა ეს ხელიდან არ უნდა გაუშვას. ამავე დროს დ ალემა, როგორც კონფლიქტის დასაწყისში ასევე ახლაც გამოხატავდა მზადყოფნას რუსეთის მონაწილეობით საკითხის პოლიტიკური მოგვარებისათვის. ასე რომ 3 აპრილს მან ოფიციალურად ხაზი გაუსვა რომ იტალია ეთანხმება რუსეთის წინადადებას G-8-ს მოწვევის შესახებ. თუმცა ბორის ელცინის წერილს იუგოსლავიის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ დ ალემამ 7 აპრილს უპასუხა, რომ დაბომბვების შესაჩერებლად აუცილებელია კოსოვოში უსაფრთხოების პირობების შექმნა.[1] ამავე დროს 8 აპრილს, მილოშევიჩთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მოწოდებების გაჟღერების შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. დინიმ ლუქსენბურგში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში განაცხადა: „იტალიისათვის მილოშევიჩი არის თანამოსაუბრე, რომელთან ერთადაც უნდა ვეძებოთ კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტა“. იქვე დინიმ თქვა, რომ რაიმბუიეში სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლაში მხოლოდ იუგოსლავია არ არის დამნაშავე. იტალიელი მინისტრის ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ნატოელი კოლეგების

[1] „*Cossutta a D'Alema:"Subito un passo, altrimenti u crisi"*, 31 marzo 1999- http://www.repubblica.it/online/fatti/cossu/cossu/cossu.html

მხრიდან კრიტიკა და დასავლეთის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ისევ დაიწყო საუბარი იტალიის ორსახოვნების შესახებ.

PCDI-ის ლიდერი არმანდო კოსსუტამ 7 აპრილს დაიწყო თავისი ვოიაჟი პარიზში, მოსკოვსა და ბელგრადში, იმისათვის, რომ განეხილა კონფლიკტის გადაწყვეტის გზები საფრანგეთისა და რუსეთის კომუნისტების ლიდერებთან და შემდეგ ეს მოეხსენებინა იუგოსლავებისათვის. მისი ძირითადი წინადადება იყო დაერწმუნებინა მოსკოვი და ბელგრადი კონფლიქტის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად და ნატოს პირდაპირი მონაწილეობის ასაცილებლად, კოსოვოში „ცისფერი ჩაფხუტების“ შეყვანის აუცილებლობაში. 8 აპრილს მოსკოვში ის შეხვდა ივანოვს და ზიუგანოვს. შეხვედრის მიმდინარეობისას კოსსუტამ განაცხადა, რომ შეეცდება მიაღწიოს იტალიის საჯარისო ძალების მონაწილეობას ნატოს შესაძლო სახმელეთო ოპერაციებში. 10 აპრილს კოსსუტა შეხვდა მილოშევიჩს ბელგრადში, რომლის შემდეგაც მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნა განაცხადა.

მთლიანობაში კოსოვოს კონფლიქტისადმი იტალიის მიდგომის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს მშვიდობასა და ომს შორის გამოკვეთილი პოზიციის არქონა: ერთის მხრივ, იტალიამ არაერთხელ განაცხადა ნატოსთან მიმართებაში მოკავშირეობის ყველა ვალდებულების სრულად შესრულების შესახებ (ქვეყნის მმართველ წრეებში მიიღეს ნატოს ანტიიუგოსლავიური იდეოლოგიაც) მაგრამ, მეორეს მხრივ, იმავდროულად ხაზს უსვამდა დასახული მიზნების მხოლოდ საომარი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას და პოლიტიკური დიალოგისკენ მიბრუნების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია გაზეთ „La Repubblika”-ში გამოქვეყნებული დ ალემას კარიკატურა, სადაც ის გამოსახულია კლინტონსა და ელცინს შორის მორბენლად და აქვს წარწერა: „ორი ბატონის მსახური“.

პოზიციის ეს ორსახოვნება აპრილის მეორე ნახევარში გარეგნულად მაინც გაქრა, როდესაც იტალიის თვითმფრინავები შეუერთდნენ უშუალოდ იუგოსლავიის დაბომბვას. ამავე დროს იტალია ატარებდა აქტიურ მოქმედებებს ალბანეთში კოსოვოელი

ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისათვის. აქტიური პოზიცია დაიკავა ქვეყნის მთავრობამ 1999 წლის ივნისში, როდესაც განიხილებოდა კოსოვოში კრიზისის შემდგომი დარეგულირების გზები. ამის შედეგად იტალიამ მიიღო კოსოვოში პასუხისმგებლობის თავისი სექტორი და ამით იტალია სიმბოლურად გაუტოლდა ნატოს წამყვან სახელმწიფოებს (რისი მიღწევა მან ვერ შეძლო დეიტონის პროცესის მიმდინარეობისას). სახეზე იყო ქვეყნის სიმბოლური სტატუსის ხარისხობრივი დაწინაურება დასავლეთის „რანგების ტაბელში".

§1.2. ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმაცია და „ერების კონსტიტუციური უფლება"

კოსოვოში ნატოს საომარი მოქმედებების შემდეგ, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს შემოვლით განხორციელდა, იტალიას, ისევე როგორც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებს, დასჭირდა დიდი ძალისხმევა მის გასამართლებლად და ასევე კოსოვოს შემდგომი მსოფლიო წესრიგის ასახსნელად. ამან გამოიწვია იტალიის საგარეო პოლიტიკაში ახალი იდეოლოგიური პრინციპების ფორმირება, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოში მის მოქმედებებს და პერსპექტივებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იტალიის საერთაშორისო ელჩების კონფერენცია, რომელიც შედგა რომში 1999 წლის სექტემბრის დასაწყისში. რადგანაც ის შედგა კოსოვოს კრიზისის ესკალაციიდან უახლოეს პერიოდში, მისმა ჩატარებამ იტალიის ხელისუფლებას მისცა საშუალება გამოეცხადებინა თავისი პოზიცია როგორც მოცემულ პრობლემაზე, ასევე იმ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც მოხდა საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალურ სისტემაში, კონფლიქტში ნატოს ჩარევის შემდეგ.[1] კოსოვოს მოვლენების მნიშვნელოვანი გამოძახილია განცხადება, რომელიც გააკეთა ცოტა ხნის წინ არჩეულმა იტალიის პრეზიდენტმა ჩამპიმ იმის თაობაზე, თუ

[1] *NATO's role in relation to the conflict in Kosovo*, 15 July 1999. http://www.nato.int/kosovo/history.htm

როგორ ხედავს იტალია საერთაშორისო სამართლის განვითარებას. ჩამპის აზრით, სულ უფრო მკაფიოდ ჩნდება ტენდენცია დღევანდელი საერთაშორისო სამართლის თანდათანობითი ტრანსფორმაციისა „ერების კონსტიტუციურ უფლებ“-ის გარშემო (მისი უნივერსალური გლობალური გაგებით, როგორც საერთო jus gentium). ამ მომავალი ერების უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები უნდა ყოფილიყო (და უკვე თანდათანობით ხდებოდა) ტრანსნაციონალური იურიდიული გარანტიები ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლების დასაცავად, სადაც არ უნდა იყოს კანონიერი უფლება მისი დამრღვევის წინააღმდეგ სხვადასხვა სანქციის შემოღების. ოფიციალური იტალიური დოქტრინის თანახმად ყოველივე ამან უნდა მიგვიყვანოს „მსოფლიო სამართლებლივ სახელმწიფომდე“, რომლის ჩანასახიც უკვე ჩანს სახელმწიფოთა შორის ძლიერი თანამშრომლობისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების ტენდენციებში. ნათელია, რომ თუ მოცემულ იტალიურ დოქტრინას ვაღიარებთ როგორც იურიდიული ძალის მქონეს, მაშინ ნატოს მოქმედებები იუგოსლავიაში, რომლებიც ჩამპის გამოსვლამდე ნახევარი წლით ადრე მოხდა, ხდება სრულიად მართლზომიერი და კანონიერი. ბუნებრივია, რომ იტალიური დოქტრინის შემდგომი განვითარება და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მისი განმტკიცება ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგალიზაციას გამოიწვევდა. ამას არაორაზროვნად გაუსვა ხაზი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამბერტო დინიმ 1999 წლის შემოდგომაზე გაეროს გენერალურ ანსამბლეაზე გამოსვლის დროს. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაიცვას თავისი საზღვრების სუვერენიტეტი იმ შემთხვევაში თუ მან დაარღვია ადამიანის უფლებები. ამგვარი ლოგიკის შორს მიმავალი შედეგები სრულიად ნათელია. გაეროს დებულების დამტკიცებიდან 55 წლის შემდეგ, გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული მსოფლიო განვითარების ევოლუცია და ამიტომაც დებულების ნორმები და პრინციპები რომელიც ეხება სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, საზღვრების უცვლელობას, კონფლიქტების მოგვარებაში ძალის არ გამოყენებას,

იტალიელების აზრით ითხოვდა მოდერნიზებულ ინტერპრეტაციას და განმარტებას.[1] სწორედ ამით სხნიდნენ იუგოსლავიის კონფლიქტში ნატოს მოქმედებების სამართლიანობას, მიუხედავად იმისა რომ ნატოს მოქმედება იუგოსლავიის წინააღმდეგ მინისტრ დინის აღიარებით არღვევდა გაეროს დებულების პრინციპებს.

ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა კარლო აძელომ განაცხადა იმის შესახებ, რომ ქვეყნის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული 21-საუკუნის „მშვიდობისა და სამოქალაქო და ეკონომიური წინსვლის“ საუკუნედ გარდასაქმნელად.

„მშვიდობის“ იდეოლოგიას იმდენად პირველხარისხოვანი ადგილი ეკავა იტალიის საგარეო პოლიტიკის რიტორიკაში, რომ ის გამოირჩეოდა მშვიდობის მნიშვნელობისა და ფასის შესახებ საერთო მსჯელობის ფონზეც. ევროკავშირის ჩარჩოებში მიღწეული „ევროპული მშვიდობა“ არის დასავლეთის მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანი მიღწევა. 21-ე საუკუნეში „ევროპული მშვიდობის“ საბაზო პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად გლობალურ „მსოფლიო კულტურას“. „ევროპული მშვიდობა“ უნდა გახდეს მოდელი სხვა ერებისათვის. მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი „იტალიურად“ იყო სწორედ იმ „ერების კონსტიტუციონალური კანონის“ დამკვიდრება, რომელიც ნახსენებია ზემოთ.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც იტალიელების აზრით სტიმული უნდა მისცეს „ევროპული მშვიდობის“ წინსვლას არის სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა.

იტალიელთა ოფიციალურ რიტორიკაში გამჭირვალე მინიშნებით ამტკიცებდნენ; მსოფლიოს ყველა ქვეყანა კი არ უნდა შეეწინააღმდეგოს ამ ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ მიიღოს ის როგორც გარდაუვალი მოცემულობა და შეუსაბამოს მას თავისი ნაციონალური პოლიტიკა. სწორედ ურთიერთდამოკიდებულება ხდის აუცილებელს სახელმწიფოების საერთაშორისო

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.131

ქცევების ახალი წესების შემუშავებას, რომელთაგან ერთ-ერთი არის „ერების კონსტიტუციური კანონი“.[1]

ობიექტურად ურთიერთდამოკიდებულება იკვებება გლობალიზაციის პროცესით, რომელიც არი არის უკუქცევადი. თუმცა ამასთან ერთად, როგორც თვლიან იტალიელები, მთავარია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ შემუშავებულ იქნას G-8 -ს ან გაეროს მეშვეობით კოორდინირებული მიდგომა იმისათვის, რომ გლობალიზაციის პროცესმა და ურთიერთდამოკიდებულებამ არ მიიყვანოს მსოფლიოს ერები კულტურისა და იდენტობის სხვაობის ნიველირებამდე.[2]

§1.3. „პროტაგონისტების მსოფლიო“ და იტალიის ადგილი მასში

კოსოვოს ოპერაციის შემდეგ სულ უფრო მეტი ადგილი იტალიის ოფიციალურ დოკუმენტებში უკავია მსოფლიო პოლიტიკაში „იტალიური წვლილის“ გააზრებას. სწრაფვას, ხაზი გაუსვას არა ქვეყნის (რომელიც ნატოს პოზიციებზე იმყოფებოდა) ტრადიციულ ტიპიურობას და საგარეო პოლიტიკის პასიურობას, არამედ მის აქტიურობას და დამოუკიდებლობას, იმ ძირითადი სეგმენტების გამოყოფას, რომლებშიც იტალიას აქვს განსაკუთრებული გლობალური პასუხისმგებლობა.

ოფიციალური იტალიური იდეოლოგიის ამ ცვლილებებისაკენ შემობრუნების პუნქტად მიიჩნევა ცივი ომის დასასრული, რომელმაც დააყენა იტალია „ერთდროულად ახალი და მძიმე პასუხისმგებლობების“ წინაშე. ამგვარი მიდგომის საერთო თეორიული ბაზისი არის კონცეფცია, რომელიც 2000 წლის 8 ივნისს გააჟღერა საგარეო საქმეთა მინისტრმა დინიმ, ბიპოლარული მსოფლიოს „პროტაგონისტულ მსოფლიოდ“ შეცვლის შესახებ.[3] არ შეიძლება გამოვრიცხოთ რომ სწორედ ეს იდეა

---

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.132

[2]Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. М. 2002..გვ.132

[3] იხ. http://www.repubblica.it/online/fatti/18alema/18alema/18alema.html

გახდება საფუძველი იტალიის მიერ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ინტერპრეტაციის. „პროტაგონისტების მსოფლიოს“ ჩარჩოებში, რომელშიც იტალია თავის თავს აერთიანებს, ის ოფიციალურად განსაზღვრავს თავის პრიორიტეტებს. 2000 წელს იტალიური „პასუხისმგებლობის“ ამ ტიპის მნიშვნელოვან სეგმენტებს შორის იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო თვლიდა ბალკანურ კრიზისს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზონებში ევროკავშირის გაფართოების აღიარებას. იდეის მიხედვით მათ უნდა შეევსოთ უკვე ტრადიციად ქცეული იტალიური აქტიურობა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და ბრძოლა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ.

ამ გლობალური პასუხისმგებლობის აღიარების ლოგიკური შედეგი ხდება ის გარემოება, რომ იტალიის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიაში უფრო ხშირად და აშკარად ხდებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში ლიბერალური მიდგომის, კერძოდ, მისი ისეთი ასპექტების, როგორიცაა გლობალური ინტერნაციონალიზმი და მსოფლიო პოლიტიკაში მორალური ფასეულობების პირველხარისხოვანი როლის გატარება. ამ კონცეფციის ფარგლებში აბსოლუტურად ბუნებრივი და ახსნადია ის ფაქტი, რომ ზემოთხსენებული პრიორიტეტულ სეგმენტებში თავისი საგარეო პოლიტიკის აქტივობისათვის არგუმენტების მოყვანისას, იტალიის ოფიციალური პირები ეყრდნობიან არა მარტო იტალიის ნაციონალურ ინტერესებს, რომლის შესაბამისადაც ხდება ქვეყნის ჩართვა ამა თუ იმ პროცესში, არამედ საკითხის მორალურ ასპექტს, სადაც აქცენტი კეთდება იტალიის ვალდებულებაზე ამ რეგიონებში დემოკრატიული სამყაროს ფუნდამენტური ფასეულობების, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ძირითადი თავისუფლებები და ა.შ., შეტანაზე.

უფრო მეტიც, 2000 წლის 8 ივნისს ზემოთხსენებულ პროგრამულ სიტყვაში ლამბერტო დინიმ განაცხადა, რომ „ინტერესებმა და ფასეულობებმა არ იციან გეოგრაფიული საზღვრები და გვავალდებულებენ ჩვენ დავიცვათ ისინი ყველგან სადაც

საჭირო გახდება“.[1] ეს პოსტულატი გახდა ხელსაყრელი იდეოლოგიური საყრდენი დიპლომატიური აქტიურობის ასახსნელად იტალიაში.

ზემოთხსენებულ, ოფიციალურ იტალიურ დოკუმენტებთან და გამოსვლებთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად ჟღერდება თემა იტალიაზე, როგორც მსოფლიო არენის გლობალურ მოთამაშეზე. საკუთარი მნიშვნელობის ხაზგასმის სურვილი გახდა კანონზომიერი შედეგი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსის აქტივაციისა რომელიც ჯერ კიდევ 1994 წელს ბერლუსკონის მთავრობის დროს იწარმოებოდა.[2] ოფიციალური, იტალიური რიტორიკის შედეგად ჩნდებიან ისეთი იდეები, როგორიცაა; „იტალიელი ხალხის უნივერსალიზმი“, იტალიის „გლობალური ხედვა“. ქვეყანა აღიარებულია „თანამედროვე საზოგადოებაში გლობალური ცვლილებების პროცესების აქტიურ მონაწილედ“. ამასთან, იტალია როგორც არასდროს ისე აცნობიერებდა თავის შესაძლებლობებს და როლს ევროპასა და მსოფლიოში. უფო მეტიც, პრეზიდენტი ჩამპი აკეთებდა განცხადებებს იმის შესახებ, რომ „იტალია ეკუთვნის უდიდესი სახელმწიფოების ვიწრო წრეს, რომლებიც განსაზღვრულად ზემოქმედებენ დამდეგი საუკუნის ისტორიაზე.“[3] ევროპულ დონესთან მიმართებაში პრეზიდენტმა ჩამპიმ იტალია დაახასიათა, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი, რომელიც ახდენს გარკვეულ გავლენას მის განვითარებაზე.

საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო პოლიტიკისადმი მომატებული ყურადღება, რომელიც 1990 წლების იტალიაში შეინიშნებოდა, გამოვლინდა იმაშიც, რომ 1998 წელს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სხვადასხვა ქვეყნებში აკრედიტირებული იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების ყოველწლიური კონფერენციების ჩატარება. სწორედ იქ ხდებოდა იტალიის საგარეო პოლიტიკის

---

[1] ლამბერტო დინის სიტყვა- http://www.repubblica.it/online/fatti/18alema/18alema/18alema.html

[2] Маслова Е., Идеологические основы внешней политики Италии пертода Второй Республики, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата политических наук, Москва, 2012.გვ.21

[3] iIntervento del Presidente della Repubblica Carlo Azeglio Ciamp 1settembere 1999 -https://www.esteri.it/mae/it/

ოფიციალური იდეების უფრო კონცენტრირებული ფორმით გაჟღერება და მისი შემგდომი განვითარებისათვის მთავარი მიმართულების ფორმულირება.

ქვეყნის გლობალური მნიშვნელობის აქცენტებთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პოლიტიკურ წრეებში და საერთაშორისო ქვეყნების საზოგადოებრივი აზრებში იტალიის ახალი იმიჯის შემუშავების აუცილებლობას. თუკი ადრე იტალიის საელჩოების კულტურული ცენტრები თავიანთ საქმიანობებს ეწეოდნენ პასიურად და ინდეფერენტულად, რითაც განსხვავდებოდნენ დასავლეთის სხვა ქვეყნების ანალოგიური სტრუქტურებისაგან, 2000 წლისთვის შეიმჩნევა მათი მოქმედებების გაძლიერების მნიშვნელოვანი ტენდენცია. პრიორიტეტების ასეთმა ცვლამ ჰპოვა ასახვა ოფიციალური იდეის დონეზეც. პრეზიდენტი ჩამპი ხაზს უსვამდა, რომ იტალიის ელჩების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა საერთაშორისო ქვეყნებში უნდა გახდეს ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში იტალიელების შეღწევას და დამკვიდრებას როგორც კულტურის ასევე ეკონომიკის სფეროში.[1]

ამავე მიზანს, იტალიის საგარეო პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებას, მიეძღვნა საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურისა და აპარატის საკმაოდ მასშტაბური რეფორმა, რომელიც განხორციელდა 1999 წელს. მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გეოგრაფიული რეგიონების საკითხებზე გენერალური დირექტორატის შექმნა, „იტალიის ეფექტური გლობარული დიპლომატიის“ უზრუნველყოფისათვის. სხვა სიახლე, რომელიც იგივეს მიზანს ემსახურებოდა იყო სამინისტროს ფარგლებში ანალიზისა და პროგნოზირების ქვეგანაყოფის შექმნა.[2] ახალმა თვითიდენტიფიკაციამ, როგორც გლობალური მოთამაშისა „პროტაგონისტების მსოფლიოში“ ბოლო წლებში, გააძლიერა იტალიის

[1] INTERVENTO DEL PRESIDENTE DELLA REPUBBLICA CARLO AZEGLIO CIAMPI IN OCCASIONE DELL'INCONTRO CON GLI AMBASCIATORI ITALIANI NEL MONDO.Palazzo del Quirinale, 1 settembre 1999. Onorevole Ministro degli Affari Esteri, Onorevoli Sottosegretari,Signori Ambasciatori. http://presidenti.quirinale.it/Ciampi/dinamico/ContinuaCiampi.aspx?tipo=discorso&key=9658

[2] Vattani U. Intervento del Segretario Generale Amb. Umberto Vattani, alla II Conferenza degli Ambasciatori italiani nel mondo. Roma, 1-2 settembre 1999. https://www.esteri.it/mae/it/ministero

მცდელობები მიეღწია რეფორმებისათვის გაეროს უშიშროების საბჭოში და ჰყოლოდა იქ თავისი მუდმივი წარმომადგენლობა. ამასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმა „იტალიურად“ წარმოგვიდგება არა მხოლოდ, როგორც სწრაფვა სიმბოლურად განამტკიცონ საბჭოსადმი მიკუთვნება, არამედ როგორც დროის გამოწვევისა და მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შეცვლის აუცილებელი პასუხი. ასეთი მიდგომა იტალიურ მცდელობებს მაშტაბურობას სძენს. ამ მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევისათვის ოფიციალურმა რომმა წარადგინა იტალიის ორი კანდიდატურა გაეროს უშიშროების საბჭოს 2001-2002 წლის არამუდმივ წევრად. იტალიის საბჭოში ყოფნის მთავარი მიზნად, ღიად, გამოცხადდა ქვეყნისათვის სასურველი რეფორმების ვარიანტის რეალიზება.

იტალიის პოლიტიკის კიდევ ერთი ასპექტი ბოლო ორ-სამ წელიწადში, რომელიც ასევე უკეთებს დემონსტრირებას მისი, როგორც „მსოფლიოს პროტაგონისტის“ პოზიციებს, არის მზადყოფნა ეგრეთწოდებულ „პარია-ქვეყნებთან“ (ირანი, ერაყი, ლიბია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ა.შ.), კონტაქტი, რომელიც ვაშინგტონის პოლიტიკის უპირატესობის გამო იყო გაყინული, არაფორმალური და ოფიციალური დიალოგებისათვის. იტალია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელსაც არჩევის შემდეგ ესტუმრა ირანის პრეზიდენტი ხატამი. რომისა და ლიბიის კონტაქტები საკმაოდ აქტიურად გრძელდებოდა, პრაქტიკულად, მთელი ის პერიოდი, როდესაც ამ ქვეყნის მიმართ ტარდებოდა საერთაშორისო სანქციები, მისი მოხსნისთანავე იტალიამ განაახლა აქტიური, ღია დიპლომატია ლიბიასთან მიმართებაში. ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება იტალიისა და ერაყის კონტაქტების გააქტიურების იყო 2000 წლის 8 ივნისს იტალიაში ეროვნული კრების (პარლამენტის) თავმჯდომარის საადუნ ხამმადის ვიზიტის ორგანიზება. იტალიის ასეთი ღია მზადყოფნას, „პარია-ქვეყნებთან“ დიალოგისათვის ოფიციალური პირები ხსნიან იმით, რომ იტალიის უმთავრესი ეროვნული ინტერესი არის სტაბილურობის პირობების შექმნა სამხრეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში და ახლო აღმოსავლეთში და აქედან

გამომდინარეობდა იტალიის გეოგრაფიული „გახსნილობაც“ ხმელთაშუა ზღვის ისლამურ სამყაროსთან. ქვეყანა გაატარებს საკუთარ პოლიტიკას მოცემულ რეგიონში „პარია“ ქვეყნებთან მიმართებაში და იმოქმედებს იქ აშშ-სგან და ნატოს მოკავშირეებისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად. რაც შეეხება კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას, აქ იტალია, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის განცხადებისაგან გამომდინარეობს, გამოვიდა პრაქტიკულად აშშ-ს დამატებით ინსტრუმენტად იმ მიზნით, რომ ინიციატივა დიალოგის დაწყებისა ორ კორეას შორის გასულიყო არა მხოლოდ სეულისა და ვაშინგტონის გავლით, არამედ კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე ევროპული ქვეყნის გავლითაც.[1] 2000 წლის იანვარში იტალიასა და ჩრდილოეთ კორეას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები, ხოლო მარტის ბოლოს დინიმ შეასრულა თავისი პირველი ვიზიტი ფხენიანში. შემდგომში, სწორედ რომი გახდა აშშ-სა და ჩრდილო კორეის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების ადგილი. „პროტაგონისტი“ იტალიის მზადყოფნა სხვადასხვა სახის „დავალებების“ შესასრულებლად ასევე ძალიან ნიშანდობლივია.

თავი III. იტალია და ევროკავშირი კოსოვოს კრიზის შემდეგ

§1.1. იტალიის პოლიტიკა კოსოვოს კრიზისის შემდეგ ევროპის უსაფრთხოების ძირითად ასპექტებზე

უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოს კონფლიქტი იტალიის საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაში არ განიხილებოდა როგორც გლობალური მაშტაბის

[1] „*Albright gela D'Alema:"La tregua? Impossibile"*, 21 maggio 1999“
http://www.repubblica.it/online/fatti/solana/solana/solana.html

პირველხარისხოვანი მოვლენა. პირიქით, ხაზს უსვამდნენ მის „მარგინალობას“ დასავლეთის მიერ მიღწეული „ევროპული მშვიდობის“ მიმართ, რომელსაც ეს კრიზისი არანაირად ემუქრება. პირიქით, იტალიელების აზრით კოსოვოს კრიზისმა აჩვენა „ევროკავშირის სიმყარე“, რომელიც ღირსეულად გამოვიდა მოცემული სიტუაციიდან, „აშშ-სთან კავშირისა და ახალ რუსეთთან გაეროს ფარგლებში, თუნდაც დაუსრულებელი თანამშრომლობის წყალობით“. ამასთან დაკავშირებით სტაბილურობის პაქტის რეალიზაცია სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისათვის არის „ისტორიული შესაძლებლობა, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვეს ევროპამ და მით უმეტეს იტალიამ“. ამგვარად, აქტიური ბალკანური პოლიტიკა სტაბილურობის პაქტის პრინციპებით იტალიამ აიყვანა უმაღლესი ეროვნული საგარეო პოლიტიკის რანგში.[1]

ამავე დროს მოცემული მომენტისათვის იტალია ფაქტობრივად უარს ეუბნებოდა ბალკანეთის ქვეყნებს ევროპულ იდენტიფიკაციაზე. პირიქით, სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და საზოგადოებების „ევროპეიზაციას“ აღიარებს იტალია, სტაბილურობის პაქტის ფარგლებში თავისი მოღვაწეობის პრიორიტეტად. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის განცხადების თანახმად სტაბილურობის პაქტის „ფინალური ჰორიზონტი“ უნდა გამხდარიყო სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების „დაახლოება ევროპასთან“. [2]

ამ თვალსაზრისით იტალია მიესალმება ცვლილებებს, რომელიც ხდება 1999 წელს იუგოსლავიაში სლობოდან მილოშევიჩის ჩამოგდების და დამოუკიდებელი ხორვატიის პირველი პრეზიდენტის ფრანიო თუჯმანის გარდაცვალების შემდეგ. უნდა აღინიშნოს რომ ხორვატიის დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია იტალიისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იუგოსლავიისა, ამის მიზეზს წარმოადგენდა ხორვატიაში იტალიური დიასპორის არსებობა.

---

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.137

[2] Intervento del Ministro degli Affari Esteri,onorevole *Lamberto* Dini,alla commissione Affari esteri del senato della repubblica sulle priorita della politika estera italiana.Roma, 8 giungo 2000/ https://www.esteri.it/mae/it/

იტალია გამოთქვამდა ხორვატიის სრული შინაგანი დემოკრატიზაციისა და მისი მეტი გახსნილობის იმედს, იმისათვის რომ სხვა ქვეყნებთან ერთად გადაეჭრა რეგიონის საერთო პრობლემები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2000 წლის 6 აპრილს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების შედეგად იტალია-ხორვატიის ერთობლივი დეკლარაციის მიღებას. დეკლარაციაში აღნიშნული იყო იტალიისა და ხორვატიის მიზნები, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში; ორმხრივი კავშირის ფარგლებში, იპოვონ შესაძლებლობები ხორვატიის დემოკრატიზაციის გაძლიერებისთვის. განსაკუთრებით ხაზი იყო გასმული, რომ ცვლილებები ხორვატიაში გზას გაუხსნის ორმხრივ ურთიერთობებს, რომელიც გადაიზრდება პარტნიორობაში. იტალია მხარს უჭერდა აგრეთვე ხორვატიასა და ევროკავშირს შორის შემცირებულ ვადებში სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმებების დადებას, რომელიც გააძლიერებდა ამ ქვეყნის ევროკავშირთან დამოკიდებულებას. რაც შეეხება ნატოს, იტალიამ დაადასტურა თავისი მზადყოფნა ჩართოს ხორვატია „ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში, ხორვატიის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობის მეშვეობით. ხორვატმა მინისტრმა თავის მხრივ დაადასტურა, რომ ხორვატიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაატაროს თავისი პოლიტიკა ისე, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტებს.

რამდენადაც ხორვატია, იქ არსებული დიდი რაოდენობის იტალიური თემის გამო წარმოადგენს იტალიის საგარეო პოლიტიკის პირველხარისხოვან ინტერესს, სრულიად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იტალია დაიწყებს აქტიური ღონისძიებების გატარებას, იმისათვის რომ მოახდინოს ზეგავლენა ხორვატიის შემდგომ განვითარებაზე მისთვის მომგებიანი მიმართულებით.

სხვა ისტორიული პრიორიტეტი ბალკანეთზე იტალიისათვის იყო ალბანეთი. 1997 წლის სამშვიდობო ოპერაციის „ალბა“ და 1999 წლის კოსოვოს კრიზისის შემდეგ იტალიამ მიიღო დამატებითი ბერკეტები და მორალური უფლება გავლენა მოეხდინა ალბანეთის საშინაო პოლიტიკაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომის მხრიდან იმ

ზომების მხარდაჭერა, რომლის გატარებაც დაიწყო ალბანეთის მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკის ორგანიზებისას საბაზრო პრინციპების განმტკიცებისთვის. კერძოდ, ალბანეთში პრივატიზაციის პროცესების აქტივიზაციამ მიიღო ძალიან დიდი მხარდაჭერა რომის მხრიდან და უნდა ვივარაუდოთ რომ ამის შემდეგ იტალიური კაპიტალი ამა თუ იმ ფორმით ეცდება ალბანურ ბაზარში შეღწევას საპრივატიზაციო საწარმოების აქციების შესაძენად და ალბანეთში იტალიის ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ხაზი მიმართული იქნება ამის ხელშეწყობისაკენ.

იტალიის აქტიურობამ ბალკანეთზე ჰპოვა ასახვა რომის მიერ 2000 წლის გაზაფხულზე ახალი სუბრეგიონალური ინიციატივის წამოყენებაში, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ჩაეტარებინათ საერთაშორისო კონფერენცია ადრიატიკისა და იონიის ზღვების აუზის განვითარებისა და უსაფრთხოების შესახებ. 2000 წლის 19-20 მაისს ჩატარდა ასეთი კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე იტალიურ ქალაქ ანკონაში. მასში იტალიის გარდა მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის, სლოვენიის, ხორვატიის, ბოსნიისა, ჰერცოგოვინის და ალბანეთის წარმომადგენლებმა. კონფერენციას ესწრებოდა ასევე ევროპული კომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი და ამით იტალიის ახალი ინიციატივა მოხვდა ევროკავშირის ეგიდის ქვეშ.

კონფერენციაზე მოხდა „ადრიატიკისა და იონიის ინიციატივის“ საზეიმო გამოცხადება მოცემულ რეგიონში დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ანკონის კონფერენციამდე ერთი თვით ადრე თავის პროექტს იტალია იფიციალურად უწოდებდა მხოლოდ ადრიატიკულ ინიციატივას. ეს აისახა იტალია-ხორვატიის 2000 წლის აპრილის ერთობლივ დეკლარაციაში.

ანკონის დეკლარაციის პრეამბულაში ასახული იყო ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულება დაიცვან გაეროს დებულების პრინციპები, ჰელსინკის საბოლოო აქტი, პარიზის ქარტია და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ყველა დოკუმენტი. ინიციატივის საერთო მიზნად დასახელდა სწრაფვა

სუბრეგიონალური თანამშრომლობის, „რაც შეიძლება მტკიცე ბაზისი ევროპული ინტეგრაციის პროცესში“-სათვის საფუძვლის ჩასაყრელად. განსაკუთრებით ხაზი გაესვა მონაწილე ქვეყნების სწრაფვას თავიანთი ახალი ინიციატივით არა მხოლოდ ხელი არ შეუშალონ უკვე არსებულ რეგიონალურ თანამშრომლობას სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში არამედ პირიქით იმოქმედონ აქტიურად, თანამშრომლობით და სხვა პროგრამების, პირველ რიგში ცენტრალური ევროპის ინიციატივით და სტაბილურობის პაქტის, ურთიერთშევსებით. ამ დეკლარაციის მიღებისას არ დავიწყებიათ იტალიელებს თავიანთი საერთო ხმელთაშუაზღვის დიპლომატიური აქტივობა. ანკონაში სპეციალურად ხაზი გაესვა; მოცემული პროექტის მონაწილეები აცნობიერებენ რა იმ ფაქტს, რომ ადრიატიკის აუზი არის ხმელთაშუა ზღვის რეგიონის შემადგენელი ნაწილი, მზად არიან, შეისწავლონ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შესაძლო თანამშრომლობის გზები ანკონის დეკლარაციის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

ანკონის ინიციატივის ოფიციალური იტალიის ინტერპრეტაციის თანახმად, მისი არსი მდგომარეობს მოცემულ სუბრეგიონში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოფის აუცილებლობაში. გარდა ამისა, იტალიელების განცხადების თანახმად, ადრიატიკის ინიციატივას ისინი განცალკევებით კი არ განიხილავენ, არამედ სამხრეთ-დასავლეთი ევროპის სტაბილურობის პაქტთან კონტექსტში. მის საერთო ბაზაზე ჩნდება ხელსაყრელი ატმოსფერო სხვადასხვა სუბრეგიონალური პროგრამების ჩასატარებლად, რომელთაგან ერთ-ერთი იყო აქცენტირებული ანკონის დეკლარაციით.

ანკონის კონფერენციის ფარგლებში შედგა ოთხი მრგვალი მაგიდა სუბრეგიონალური თანამშრომლობის პრობლემებთან დაკავშირებით:

ეკონომიკის, ტურიზმის და საზღვაო ტრანსპორტის დარგში ადრიატიკა-იონიის ინიციატივა (Iniziativa Adriatico-Ionica. IAI), რომლის განსაკუთრებული ამოცანა იყო რეგიონის ყველა სახელმწიფოს პორტების ადმინისტრაციული პროცედურების

გამარტივებისა და ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა, გარემოსა და რესურსების დაცვა. კერძოდ, იტალიის ინიციატივით განხორციელდება სპეციალური პროექტი ორი ზღვის თევზის რესურსების დაცვის საკითხებზე ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის პრინციპების შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე, რეგიონში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა; - გადაწყდა რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიციური ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის სისტემის აწყობა.

ცალკე სემინარი მიეძღვნა მოცემული რეგიონის განვითარებაში კერძო სექტორის პერსპექტივებს.

ადრიატიკა-იონიის ინიციატივის შეფასებისას უნდა აღინიშნოს შემდეგი: პირველ რიგში, მისი არხებით იტალია ღებულობს ბალკანეთზე ზემოქმედების დამატებით შესაძლებლობებს. მეორე, - იტალია სიმბოლურად ხდება ერთ-ერთი მთავარი დასავლეთელი აქტორი ბალკანეთის პოლიტიკის დარეგულირებისა და კრიზისის შემდგომი განვითარებისა, რომელმაც პერსპექტივაში, შეიძლება იტალია გახადოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების მიზიდულობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. მესამე - IAI -ს შექმნა ხელს შუწყობს საერთო ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის უფრო წვრილ სუბრეგიონალურ პროექტებად დაყოფის პრეცენდენტს.

ბოლო წლებში, იტალიას ყურადღება არ შეუსუსტებია მთლიანად ხმელთაშუა ზღვის რეგიონისადმი. იტალიელების მიერ შემოთავაზებული „ევროპული მშვიდობის“ მოდელი პირველ რიგში განკუთვნილი იყო ხმელთაშუა ზღვის რეგიონში რეალიზაციისათვის, რადგანაც, იტალიისათვის ამ რეგიონს უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით იტალიური მუდმივი აქცენტები ხმალთაშუა ზღვის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის ყოველმხრივი განვითარებაზე ივსება ახალი ნიუანსებით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ პერსპექტივის დროს იძენს იტალიელების სწრაფვა ხაზი გაუსვან ხმელთაშუა ზღვის რეგიონის, როგორც

ევროკავშირის და მთელი ევროპული კავშირის სამხრეთის საზღვრის მნიშვნელობას. „ევროპული სუვერენიტეტის“ პირობებში, გაცილებით უფრო ლოგიკურია იტალიის განცხადება იმის შესახებ, რომ ევროპის ყველა ქვეყანა და არამარტო სამხრეთ ევროპის ქვეყნები „უნდა ეხმარებოდნენ ხმელთაშუა ზღვის ხალხებს“, რომ „მათ შეძლონ იარონ ჩვენთან ერთად მშვიდობის გზაზე“. 1999 წლის 30 ნოემბერს ესპანეთის პარლამენტის დეპუტატების კონგრესზე გამოსვლისას იტალიის პრეზიდენტმა კარლი ჩამპიმ წამოაყენა მთელი რიგი არგუმენტები იმისათვის რომ ევროკავშირის ყურადღება მიეპყრო ამ რეგიონისათვის.[1] ამის შედეგი იყო ახალი იდეის ფორმულირება, რომელიც შეიძლება გამხდარიყო პრაქტიკული მოქმედებების ლოზუნგი. „ხმელთაშუაზღვის რეგიონს, რომელიც უახლოეს ათ წელიწადში გაძლიერდება, სჭირდება მეტი ევროპა; ევროპას ახალ ათასწლეულში დასჭირდება მეტი ხმელთაშუაზღვის რეგიონი“ - განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა. პრეზიდენტი ჩამპის აზრით ევროკავშირის მორალური ვალია ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებში გაჩნდეს მეტი ნდობა ევროპისა და მისი ფასეულობებისადმი. ასეთი მოწოდება სრულიად შეესაბამება ზემოთ გაანალიზებულ იტალიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიისა და პრაქტიკული დიპლომატიის ლიბერალური პარადიგმების იმპლემენტაციის გაძლიერებულ ტენდენციებს.

რაც შეეხება ბარსელონის პროცესს, იტალია გამოდიოდა მოთხოვნით, რომ ის უფრო ზუსტ შესაბამისობაში ყოფილიყო ევროკავშირის საერთო სტრატეგიასთან ხმელთაშუა ზღვის რეგიონის საკითხებში, რომელიც ზუსტად მაშინ 1999-2000 წლებში მუშავდებოდა. იტალია პიერველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს ხმელთაშუა ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ქარტიას, როგორც ბარსელონის პროცესისა და ევროპა-ხმელთაშუაზღვის თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის, შემუშავებას.

---

[1] Ciampi C.A. Intervento in occasione dell 'incontro con il Congresso dei Deputati. Madrid, 30 novembre 1999. https://www.esteri.it/mae/en/

იტალიის აზრით აუცილებელია ამ პროცესში ლიბიის ჩართვა მისთვის საერთაშორისო ბლოკადის მოხსნის სიტუაციაში.

დამატებითი დიპლომატიური აქტიურობა 2000 წელს გამოავლინა იტალიამ მსოფლიოს კიდევ ერთ სუბრეგიონში - ხმელთაშუაზღვის მეზობელ აფრიკის რქის რეგიონში. იტალიის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ერთმანეთს შორის მეომარ ეთიოპიელებსა და ერიტრიელებს შორის სამშვიდობო დიალოგების გამართვის მცდელობებში, ხოლო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერრი გახდა ევროპის კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი ორ მეომარ ქვეყანას შორის მოლაპარაკებებზე. 2000 წელს ალჟირში, ეთიოპიასა და ერიტრიელებს შორის დადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და გაეროს მშვიდობისმყოფელების შესვლის შესახებ და დელიმიტაციის ხაზზე აფრიკული ერთობის ორგანიზება აპენინებზე შეფასებული იყო როგორც იტალიის უდიდესი დიპლომატიური წარმატება და რეალური დასტური მისი შესაძლებლობისა ითამაშოს მსოფლიო პოლიტიკაში აქტიური როლი.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკული „რქა“ ყოველთვის იქცევდა იტალიური დიპლომატიის ყურადღებას ისტორიული მიზეზების გამო. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში იტალიის აქტიური კოლონიალისტური მოქმედებები სრულდებოდა სწორედ ამ ტერიტორიებზე: ეთიოპიაში, ერიტრიაში და სომალიში. თუმცა წინა წლებში იტალიურ დიპლომატიას ამ მხივ რაიმე წარმატებისათვის არ მიუღწევია. უფრო მეტიც, რამდენადაც იტალია აშშ-სთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში გაეროს ოპერაციებში სომალიში, ამ აქციების სამარცხვინო ჩავარდნა იტალიელი მიმომხილველების მიერ იყო შეფასებული, როგორც მათი დიპლომატიისა და მშვიდობისმყოფელების დამარცხება. შიდაიტალიურ პოლემიკაში წარუმატებლობა სომალიში გახდა წონიანი კონტრარგუმენტი 1990-იანი წლების შუა პერიოდში საგარეო პოლიტიკის აქტივიზაციის

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. М.: 2002. გვ.141

წინააღმდეგ. ახლა კი ეთიოპია-ერიტრიის მოლაპარაკების წარმატების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ამ მოლაპარაკების ტალღაზე იტალია უახლოეს მომავალში ისევ მოახდენს საგრძნობ ზეგავლენას სიტუაციებზე ეთიოპიაში და ერიტრიაში.

კოსოვოს კრიზისის შემდგომი პერიოდის განსაკუთრებულობა გახდა იტალიის სწრაფვა, ხაზი გაესვა არა მხოლოდ თავისი სრული და ნებაყოფლბითი თანხმობისათვის ნატოს მოქმედებებზე, არამედ იმ ფაქტისათვისაც, რომ იტალია იმყოფება პირველ რიგებში ნატოს ყველა წამოწყებაში. ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება იმ ცვლილებებს, რომლებიც ბოლო დროს მოხდა იტალიის საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ იდეოლოგიაში. პირველ რიგში, ეს განსხვავებით, ადრეული თვითიდენტიფიცირებისა, როდესაც იტალიელები საკუთარ ქვეყანას „საშუალო სახელმწიფოდ“ მიიჩნევდნენ, გახდა იტალიის, როგორც გლობალური და ევროპული „პროტაგონისტის“ თვითიდენტიფიკაციის საფუძველი. იტალიის აქტიურმა მონაწილეობამ სამშვიდობო „ძალებში კოსოვოსათვის“ (KFOR), ასევე მისთვის სიმბოლური მნიშვნელობის მქონე საკუთარი სექტორის მიღებამ კოსოვოს პასუხისმგებლობის ზონებად დაყოფის დროს, ხელი შეუწყო იტალიის რიტორიკის შეცვლას ნატოსთან მიმართებაში. უფრო მეტიც, 2000 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე KFOR-ში სწორედ იტალიური კონტიგენტი იყო ყველაზე მსხვილი რიცხოვნობის მიხედვით, რამაც ასევე მისცა იტალიას საფუძველი ხაზი გაესვა თავისი მნიშვნელობისთვის ალიანსის განვითარებაში. ყოველივე ამან ნათელი ასახვა ჰპოვა 2000 წლის მაისში ფლორენციაში გამართულ ატლანტიკური საბჭოს მორიგ სესიაზე და ამ სესიის ჩატარების წინ რომში შემდგარ ნატოს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის ვიზიტზე.

იტალიის ოფიციალური პოზიციის თანახმად კოსოვოს კრიზისმა „დააჩქარა ახალი რეალობის გაცნობიერება“ რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების შინაარსი და ასევე გამოწვევათა სისტემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მის სტაბილურობას, არსებითად შეიცვალა. სწორედ ასე ხსნის იტალია 1999

წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტის გადაწყვეტილებას. ნატოს ახალი კონცეფციის არსი, როგორც თვლიდნენ იტალიელები, მდგომარეობდა იმაში, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უნდა „ხელი შეუწყოს კონფლიქტების თავიდან აცილებას“, ასევე საჭიროების შემთხვევაში „აიღოს თავისთავზე კრიზისის მართვის ვალდებულება“, მათ შორის სამხედრო ოპერაციების გზითაც. ამასთან, ანტიკრიზისული აქტივობების პარალელურად ალიანსი უნდა გამოვიდეს ევრო-ატლანტიკური რეგიონის ყველა ქვეყანასთან დიალოგის და თანამშრომლობის „პროტაგონისტად“, იმისათვის რომ შექმნას და განამტკიცოს ნდობის ატმოსფერო.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ნატოს თანამედროვე ევროპული პოლიტიკისა, რომელზეც მუდმივად ამახვილებდა იტალია ყურადღებას, იყო იტალიის სწრაფვა, მუდმივად ხაზი გაესვა იმისათვის, რომ ევროკავშირის თავდაცვითი ინიციატივები, რომელიც წარმოდგენილი იყო კიოლნისა და ჰელსინკის 1999 წლის ევროპის სამიტზე, „გამიზნულია“ არა მხოლოდ ნატოსთან თანამშრომლობისათვის, არამედ ვერ იფუნქციონირებენ ნატოს „ქოლგის“ გარეშე. ამასთან დაკავშირებით იტალიელები ცდილობენ მთელი ძალებით გაფანტონ შიში, რომ ევროპული საომარი აქტივობა მოახდენს ნეგატიურ გავლენას ტრანსატლანტიკურ სოლიდარობაზე. იტალიას ჰქონდა სრულიად განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მიზეზები შეშინებოდა ნატოს დაშლისა. იტალიის ე.წ. „გახსნილობას“ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაუცველობას, მიჰყავდა იქამდე, რომ იტალიისათვის ყოველთვის უმთავრესი იყო საიმედო ამერიკული „ქოლგის“ შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ამასთან დაკავშირებით, სრულიად გასაგები ხდება ის ფრთხილი და ფაქტიურად პროამერიკული პოზიცია, რომელსაც იტალია ოფიციალურად აუღერებდა ევროკავშირის სამხედრო განზომილებების აქტივაციას ეუთოსთან და უსაფრთხოებასა და თავდაცვის საერთო ევროპულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია,

რომ 2000 წლის მაისში ლამბერტო დინისა და ლორდი რობერტსონის მოლაპარაკებების მსვლელობისას ევროკავშირის თავდაცვითი პროექტები განიხილებოდა მხოლოდ ევროპული სტრატეგიული და თავდაცვითი ინიციატივებთან (ESDI) კავშირში.

ნატოს კონტექსტში იტალიელები ყველაზე ხშირად განიხილავდნენ ეუთო-ს მოქმედებებს. ისინი მუდმივად უსვამენ ხაზს რომ ნატო და ეუთო წარმატებულად ავსებენ ერთმანეთს და ამ მხრივ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. მსგავსი თანამშრომლობის მაგალითად იტალიელებს მოჰყავთ ეუთო-სა და ნატოს ერთობლივი ქმედებები ბალკანეთზე კოსოვოს კონფლიქტის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. უფრო მეტიც, იტალიის ოფიციალური ხელისუფლების განცხადებით, ისინი არ არიან წინააღმდეგი ჩეჩნეთის კონფლიქტში საერთაშორისო ჩარევის ინსტრუმენტად გამოიყენონ სწორედ ეუთო. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის განცხადებით „ჩეჩნეთის კრიზისში.... ეუთოს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ნდობის განმტკიცებაში, ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში, ეკონომიურ და სოციალურ აღდგენაში“ [1]

2000 წლის მაისში იტალიისათვის ევროპის საბჭოს თავმჯდომარის პოსტის გადაცემამ, მის საგარეო პოლიტიკაში გააქტიურა მისი, როგორც „ჰუმანიტარული“ სახელმწიფოს როლი. მისი ერთ-ერთი ამოცანა გახდა ევროპის საბჭოში ახალი წევრების მიღება. იტალიამ თავმჯდომარის სტატუსით ოფიციალურად გამოხატა პესიმიზმი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შესაბამისობაში ევროპის საბჭოს კრიტერიუმებთან. იტალიის აზრით ისინი „არ აკმაყოფილებდნენ ევროპის საბჭოში შესვლისათვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს“. ბოსნიის პარლამენტის მიერ შესაბამისი საარჩევნო კანონმდებლობის მიღება იტალიელების აზრით უმთავრესი იყო.

---

[1] Барабанов О.Н. Позиция Италии по проблемам европейской безопасности. // Проблемы внешней и оборонной политики. Вып. 7. М. 2001. გვ. 164-194.

მის მიერ ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იტალია ხედავს დოკუმენტების პაკეტის მომზადებას, რომლებსაც უნდა შეედგინა თავისებური იურიდიული სტანდარტი კონსტიტუციური წინადადებებისაგან ეთნიკური და სხავ უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები ვალდებული იქნებიან მოახდინონ ამ სტანდარტის იმპლემენტირება საკუთარ ნაციონალურ კანონმდებლობაში და ყველანაირად დაიცვან ის საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაში.

იტალიის ევროპული საბჭოს თავმჯდომარეობის კიდევ ერთი ასპექტი იყო აქცენტი მის ინსტიტუციონალურ რეფორმაზე. ჯერ ერთი იტალია თვლიდა აუცილებლად ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის ორგანიზებას ცნობილი სამეულის მოდელით, რომელიც შედგებოდა ყოფილი, მომქმედი და მომავალი თავმჯდომარეებისაგან და აქტიურად გამოიყენებოდა ევროკავშირის პრაქტიკაში. ეს შესაძლებელს გახდიდა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ევროპის საბჭოს საქმეების გადაცემის უწყვეტობა ერთი თავმჯდომარის მეორეთი შეცვლის დროს, ასევე საბჭოს წევრების წრის გაფართოება, რომლებიც ღებულობენ უშუალო მონაწილეობას მისი საქმეების ხელმძღვანელობაში. მეორე - იტალიის წინადადება იყო ის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების და მთავრობის სამიტებს მიეღოთ რეგულარული ხასიათი, რომ ისინი ორდინარულ დონეზე იკრიბებოდნენ წელიწადში სამჯერ ან ხუთჯერ. მესამე - იტალიის ოფიციალური პროგრამა მოუწოდებს ევროპის სასამართლოს ადამიანის უფლებათა საკითხებში გააუმჯობესოს მუშაობა, იმისათვის რომ შემცირდეს საქმის განხილვის ვადები და უზრუნველყოს მოსამართლეთა ობიექტურობა. ამ მიზნებისათვის შეთავაზებული იქნა საბჭოს ფარგლებში სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებდა წინადადებებს სასამართლოს საქმიანობის რეფორმისათვის.

§1.2. **იტალია ევროკავშირში**

მნიშვნელოვანი ადგილი იტალიის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიაში უკავია სულ უფრო მეტად ინტეგრირებად ევროპის კავშირში იტალიის როლის გადახედვას. ბოლო წლების მთავარი ტენდენცია იტალიელი პოლიტიკოსებისათვის გახდა სწრაფვა, რაც შეიძლება მკაფიოდ გაუსვან ხაზი იმას, რომ იტალიის ეროვნული იდენტობა წარმოუდგენელია საერთოევროპული იდენტობის გარეშე, უფრო მეტიც, ისინი არა მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს, არამედ პრაქტიკულად განუყოფელი არიან. ზემოთხსენებულ კონფერენციაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა ჩამპიმ მოუწოდა იტალიის ელჩებს წარმართონ თავიანთი მოღვაწეობა არა მარტო იტალიისათვის არამედ ევროპისათვისაც.

ეს განცხადება გვახსენებს 1998-1999 წლების დისკუსიებს იმის შესახებ, უნდა იყვნენ თუ არა წევრი ქვეყნების ჯარისკაცები მზად მოკვდნენ „ევროპისათვის“. იტალიაში ეს პრობლემა ყოველ შემთხვევაში ოფიციალური იდეის დონეზე ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია.

უფრო მეტიც, იტალიის პრეზიდენტმა დაიწყო აქტიურად ოპერირება ტერმინისა ევროპული სუვერენიტეტი, აცხადებდა რა მას, როგორც უკვე მომხდარ ფაქტს, რომლის სიმბოლო გახდა საერთო ვალუტა „ევრო“. შესაბამისად ეროვნული ინსტიტუტები ევროკავშირისა ჩამპიმ დაახასიათა როგორც „სუვერენული“.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ჩამპის პოზიციისათვის დამახასიათებელ ევროკავშირის სუვერენიტეტის რადიკალურ აღიარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ შევსებას წარმოადგენს იტალიის მოწოდებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) და უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო ევროპული პოლიტიკის (CSDP) რეალიზაციის გზების შემდგომი ზომების შესახებ. სწორედ ასეთი პოლიტიკური ინიციატივები, იტალიის ოფიციალური თვალსაზრისით, ევროპის კავშირს აძლევს საშუალებას უფრო სრულფასოვნად აჩვენოს გარე სამყაროს

საკუთარი ინტერესები და ძალა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივისათვის.

იტალია ადამიანის უფლებათა კონცეფციის შემუშავებას აქტიურად იწყებს ევროკავშირის ფარგლებშიც. მისი მიზანია მიანიჭოს დამატებითი მნიშვნელობა ევროკავშირის მილიტარიზაციის პროცესს, რომ თუნდაც ევროპის დონეზე დაამყაროს სამართლებლივი საფუძველი, რომელიც მისცემს საშუალებას განახორციელოს ადამიანის უფლებების დაცვისათვის საჭირო მოქმედებები, მათ შორის საომარი ხასიათისა. ყველა ეს საკითხი, იტალიის აზრით, უნდა განიხილონ ევროპის სამართლის ქარტიაზე მუშაობისას, რომელიც ევროკავშიროს კომისიის ეგიდით მიმდინარეობს.

უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ჩამპიმ თავის გამოსვლებში სულ უფრო აქტიურად დაიწყო ძირითადი ევროპული სამართლის ქარტიის დაკავშირება ევროკავშირის მომავალი კონსტიტუციის შემუშავებასთან. ასე რომ, სუვერენიტეტთან ერთად, ოფიციალური იტალიური პოზიცია ანიჭებს მომავალ ევროპის კავშირს საკუთარ კონსტიტუციურ ბაზასაც.

აქტიურად მიმდინარე ევროკავშირის სტრუქტურების მომავალი ინსტიტუციონალური გარდაქმნების მომზადების პროცესი იტალიელების დიდ ყურადღებას იქცევდა. ამასთან ისინი აკეთებდნენ აქცენტს არა მხოლოდ იმაზე, რომ უზრუნველყოთ ევროპის კავშირის ეფექტური ფუნქციონირება მისი გაფართოების შემდეგ, რაც ინსტიტუციონალური რეფორმის მთავარი ამოცანაა, არამედ იმაზეც, რომ ერთგვაროვანი დასავლური მოქმედებებით არ შეაშინონ კანდიდატი-ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი, სადაც უკვე ახლა იწყებოდა და ძლიერდებოდა უმაყოფილება ევროკავშირში შესვლის გზებზე არსებული დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობის გამო.

ამგავრად, ჩანდა, რომ ევროკავშირის ინსტიტუციონალური რეფორმების წმინდა შინაგანი პროცესი ასეთი იტალიური ინტერპრეტაციით ღებულობს უფრო ფართო და უსაფრთხო სახეს.

იტალიამ დაიკავა საკმაოდ რადიკალური პოზიცია ამ პროექტის მიღებისას და განაცხადა, რომ მოცემული საკითხის გადაწყვეტისას არ შეიძლება ნახევარ ზომებზე გაჩერება, საჭიროა აქტიურად გაატარონ ხაზი, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ წევრი-ქვეყნების უფლებამოსილებათა ნაწილის ფაქტიურად მთლიანად ევროკავშირისათვის გადაცემისაკენ. ასეთი მიდგომა გასაგები ხდება თუ კი გავიხსენებთ იტალიელთა აქცენტებს ევროკავშირის სუვერენიტეტის კონცეფციაზე. ამასთან დაკავშირებით ოფიციალურმა რომმა მხარი დაუჭირა გფრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის იოშკა ფიშერის განცხადებას იმის შესახებ, რომ ევროკავშირის ინსტიტუციონალურმა განვითარებამ შეიძლება მომავალში ლოგიკურად გამოიწვიოს საერთოევროპული ფედერაციის ფორმირება. 2000 წლის 15 მარტს პოლონეთის სეიმზე გამოსვლისას იტალიის პრეზიდენტმა ჩამპმა ასევე გაუსვა ხაზი იმას, რომ ევროპის საბჭო საერთო მონეტის შემოღების შემდეგ წარმოადგენს „ფედერაციული სახელმწიფოს საწყისს“.[1]

ამგვარად, ნათელია, რომ პანევროპული და ფედერალისტური კონცეფციები (ევროპის, შეერთებული შტატები, პანევროპული ფედერაცია), რომლისაგანაც 50 წლის განმავლობაში კატეგორიულად უარს ამბობდნენ ერები „ევროპის“ სასარგებლოდ, ახლა თვითონვე აღიარებენ და რეალიზებას ახდენენ. იტალიის შემობრუნება ევროკავშირის ფედერაციული ხასიათის აღიარებისაკენ განსაკუთრებულად გამოკვეთილია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ომის შემდგომი იტალიისათვის დამახასიათებელი იყო ალტიერო სპინელის ხელმძღვანელობით ევროპული ფედერალისტების ერთერთი ყველაზე დიდი გაერთიანების არსებობა, რომლის კვლევითი ცენტრი კუნძულ ვენტოტენში მდებარეობდა, ახდენდა გარკვეულ ზეგავლენას პოლიტიკური ელიტის ნაწილის შეხედულებების ფორმირებაზე.

[1] Annuncio della visita del Presidente Ciampi in Polonia, 14 e 15 marzo 2000. http://presidenti.quirinale.it/Ciampi/dinamico/ElenchiCiampi.aspx?tipo=comunicato&FF_data_dal=1-3-2000&FF_data_al=31-3-2000

საერთო ევროპული პოლიტიკის განვითარება უსაფრთხოებისა და თავდაცვის ხაზით და ევროკავშირისათვის საომარი უპირატესობის მინიჭება ასევე მხარდაჭერილი იყო იტალიის მიერ. იტალიის ოფიციალურ რიტორიკაში მთავარი აქცენტი გაკეთდა ევროკავშირსა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და მოქმედებათა კოორდინაციის აუცილებლობაზე. იტალია აქტიურად მიესალმა 2000 წლის მაისში ფლორენციაში ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ევროკავშირი უნდა იყოს ნატოს ოპერატიული გეგმების კურსში.

ევროკავშირის გეგმებს 2003 წლისათვის შეექმნათ ევროპული კორპუსი, რომელიც გაჟღერდა 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკში ევროპის საბჭოში, მიესალმა იტალია და მათ ეს ფაქტი დააყენეს პირდაპირ დამოკიდებულებაში იმ გაკვეთილებთან, რომელიც მიიღო ევროკავშირმა კოსოვოში, როდესაც მათ ვერ შეძლეს კრიზისის დარეგულირებისათვის სამხედრო ჩარევის საკუთარი ნაციონალური ორგანიზაციის ორგანიზება.

ამავე დროს იტალიელები ხაზს უსვამენ, რომ მსოფლიოსა და ევროპის განვითარების ახალ პირობებში, რომლის დროსაც საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი გამოწვევა არის არა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები, არამედ ახალი რისკები, რომელიც დაკავშირებულია შიდა არასტაბილურობასთან, უმცირესობების პრობლემებთან, ტერორიზმთან და ა.შ. ჯერ კიდევ 1998-1999 წლებში იტალია გამოდიოდა ინიციატივით კრიზისების აღკვეთისა და დარეგულირების, არასაომარი ამოცანების პრაქტიკული შესაძლებლობების განვითარებისა, ასევე ანტიკრიზისული პროგრამის საომარი და არასაომარი მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერებისათვის. ამ იტალიურმა ინიციატივამ 1999 წლის ივლისში ლონდონში, იტალია-ბრიტანეთის უმაღლეს შეხვედრაზე მიიღო სრული მხარდაჭერა, ხოლო 1999 წლის დეკემბერში გარკვეულწილად იქნა გათვალისწინებული ჰელსინკის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებებში.

ბოლოს საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ევროკავშირის „ავსტრიული სკანდალის“ გამოძახილზე, რომლის ობიექტიც გახდა იტალია. ხისტმა თავდასხმებმა ავსტრიაზე, მთავრობაში იურგ ჰაიდერის შესვლის შემდეგ, მიიყვანეს იქამდე, რომ ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსები ევროპის კავშირის სხვა სახელმწიფოებშიც ეძებდნენ „მეხუთე კოლონას“. იტალია, რომლის პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი მხარე იყო პოსტფაშისტური პარტია „ნაციონალური ალიანსი“ ჯანფრანკო ფინის ხელმძღვანელობით, რომელიც 2001 წლის არჩევნების შედეგად გამარჯვებული სილვიო ბერლუსკონის კოალიციის „პლიუსის“ შემადგენლობაში იყო, გახდა მსგავსი კრიტიკის ობიექტი.

2000 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გფრ-ს კანცლერმა გერხარდ შრედერმა გაზეთ „Die Zeit”-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ისევ გაამახვილა ყურადღება „ნაციონალური ალიანსის“ ფაშისტურ წარმომავლობაზე. ავსტრიული კაზუსის ფონზე, იტალიის პოლიტიკური სისტემის წამყვანი პარტიის შესახებ, ამ გაფრთხილებამ მიიღო მუქარის ელფერი. გერხარდ შრედერის ინტერვიუ გადაბეჭდეს იტალიურ გაზეთ „Corriete della sera”-ში და გამოიწვია სეროზული სკანდალი იტალიის პოლიტიკურ წრეებში.

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა სპეციალური განცხადებით, რომელიც გმობდა ამ ინტერვიუს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამბერტო დინიმ ამ თავდასხმებს მიუძღვნა სპეციალური სიტყვა იტალიის პარლამენტის სენატში. იტალიის პოზიციის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა პარტია და მოძრაობა, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში და მათ შორის რათქმაუნდა ნაციონალური ალიანსიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს და არის ნამდვილად დემოკრატიული. ფედერალური კანცლერის, შრედერის უწყებამ გამოუშვა პრეს-რელიზი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ კანცლერს არ უგულისხმია არც ერთი იტალიური პარტია და რომ როცა ის საუბრობდა ნეოფაშიზმზე, უნდოდა ხაზი

გაესვა ამ ფენომენის საფრთხებზე ევროპისათვის ავსტრიის კაზუსის ფონზე. სიტუაცია მეტნაკლებად განიმუხტა.

შემდეგ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ევროკავშირის გაფართოების წინ იტალიის ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობაზე. როგორც უკვე აღინიშნა ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შეყვანილ იქნა იმ ქვეყნების ჩამონათვალში რომელთა გამოც იტალიის ოფიციალური საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიის მიხედვით იტალია გრძნობს განსაკუთრებულ გლობალურ პასუხისმგებლობას. პირველ რიგში იტალიელები ამას უკავშირებენ ამ რეგიონის ქვეყნების პერსპექტივას შევიდნენ ევროკავშირში.

ყველა ეს ახალი იდეა პრაქტიკულად წარმოჩინდა იტალიის ოფიციალური პირების ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებთან რეალური ვიზიტებისა და კონტაქტების მიმდინარეობისას. ამის ნათელი მაგალითია იტალიის პრეზიდენტის ჩამპის ვიზიტი პოლონეთში 2000 წლის მარტის შუა რიცხვებში. სეიმში თავისი გამოსვლისას ჩამპიმ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელიც ითამაშა პოლონეთმა ევროპაში სტაბილურ ინტეგრაციაში. მისი ზოგი განცხადება საგრძნობლად გამოირჩეოდა სახელმწიფოსა და პარლამენტის მისამართით ნათქვამ სტანდარტულ და ამ შემთხვევის შესაბამისი კომპლიმენტებისაგან. კერძოდ, იტალიის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სწორედ პოლონეთმა „მისი სიმამაცით გახადა შესაძლებელი ევროპის რეუნიფიკაცია“ ცივი ომის შემდეგ. უფრო მეტიც, სწორედ პოლონეთმა მტკიცედ შეუწყო ხელი ეხსნა ტოტალიტარიზმის მსხვერპლი სხვა ევროპული ქვეყნების დამოუკიდებლობა და მომავალი. და ბოლოს, სწორედ პოლონელებმა „უჩვენეს გზა დემოკრატიისკენ დაბრუნებისა რუს ხალსხაც.“[1]

[1] Барабанов О.Н. Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. გვ.148

უახლესი ევროპის ისტორიაში პოლონეთის ეს წვლილი, რომელზეც ისაუბრა იტალიის პრეზიდენტმა, იტალიისთვის სწორედ პოლონეთი აღიქმება ნომერ პირველ სახელმწიფოდ ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

და ბოლოს ევროკავშირში გაძლიერებული ინტეგრაციის საერთო კონტექსტმა კვალი დაატყო დისკუსიას სეპარატიზმზე იტალიაში. ჩრდილოეთის ლიგის სეპარატისტული რიტორიკის ზრდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში და მეორე ნახევარში, მისი ლიდერის უმბერტო ბოსის მიერ პადანიის დამოუკიდებლობის აღიარებამ თანდათანობით სერიოზული ზეგავლენის მოხდენა დაიწყო იტალიის თანამედროვე პოლიტიკაზე. ყველაფერი ამის ირიბი შედეგი იყო ის, რომ ოფიციალურ იტალიურ რიტორიკაში მომატებული ყურადღება ეთმობოდა თავისებურ კონტრპროპაგანდას და დარწმუნებებს ქვეყნის ეროვნული ერთიანობისა და სიმტკიცის შესახებ. მაგალითისათვის, პრეზიდენტმა ჩამპიმ ელჩების კონფერენციაზე 1999 წლის 1 სექტემბერს, გამოსვლისას გააკეთა განსაკუთრებული აქცენტი იმაზე, რომ ქვეყნის ფარგლებში მისი მოგზაურობის დროს მან ყველა რეგიონში იგრძნო „ნაციონალური ერთიანობის ძლიერი განცდა“, ადრე ქვეყნის ერთიანობის ეს თემა ოფიციალურ იტალიურ იდეოლოგიაში ასეთ მაღალ დონეზე არასდროს წამოწეულა.

სეპარატიზმის პრობლემა იტალიაში ღებულობს სულ უფრო მკაფიო საერთაშორისო გამოხმაურებას. რეგიონალიზაციის ობიექტური პროცესების წყალობით, რომელიც სულ უფრო აქტიური ხდება ევროკავშირში მასში ზეეროვნული საწყისების განმტკიცების შესაბამისად.

2000-იანი წლების ევროკავშირში შეიმჩნევა ადმინისტრაციული, ისტორიულად ჩამოყალიბებული შიდა სახელმწიფოებრივი რეგიონების როლის გაზრდა, ეროვნული მთავრობების შუამავლობის გარეშე, ევროკავშირის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას. უფრო მეტიც, ზოგ საკითხებში (მათ რიცხვს ეკუთვნის სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, კუნძულოვანი და ზღვისპირა ტერიტორიების განვითარება, ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების საქმიანობა) რეგიონების აზრი ბრიუსელში უკვე

კონკურენციას უწევს ეროვნული სახელმწიფოების ცენტრალური მთავრობის აზრს. გარდა ამისა შიდასახელმწიფოებრივი რეგიონების პოზიცია იწყებს გავლენის მოხდენას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზეც (CFSP) რის შედეგადაც ევროპის უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებზე რეგიონალური და სახელმწიფოებრივი ინტერესების ჰარმონიზირება ხდება. ამას განსაკუთრებულად მიუთითებს ის გარემოება, რომ ევროკავშირის რეგიონების გავლენა CFSP -ზე უფრო მეტად ჩანს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, რომელიც იტალიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონია. ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ევროკავშირის საერთო სტრატეგიაზე მუშაობისას. ამასთან დაკავშირებით იტალიისათვის შიდა სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაციისა და სეპარატიზმის შიში ღებულობს სხვა გამოწვევას და ხდება განსაკუთრებულად აქტუალური სწორედ საერთაშორისო კონტექსტში. ბერლუსკონის ხელისუფლებაში ხელახალი მოსვლის შემდეგ 2001 წელს მემარჯვენე ცენტრისტების პოლიტიკური კურსი გადაიხედა და აქცენტები დაისვა განსხვავებულად. საკითხის თავში დაყენებული იყო აშშ. თუ კი 2001 წლამდე „მემარცხენეების“ მმართველობის დროს ევროპული ინტეგრაცია იყო იტალიის საგარეო პოლიტიკის მთავარი თემა, ბერლუსკონის მოსვლის შემდეგ მოვიდა ატლანტიზმის ტალღა. მართლაც, იტალიის საგარეო პოლიტიკაში დიდი წონა ქონდა აშშ-სთან ურთიერთობას. იტალიამ მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა ავღანეთისა და ერაყის ოპერაციებში, დემონსტრირებას უკეთებდა რა ატლანტიკურ სოლიდარობას, ბერლუსკონის მთავრობის ცალკეული წარმომადგენლები აგრძელებდნენ ღია ანტიევროკავშირულ რიტორიკას. უმბერტო ბოსსი ევროკავშირს უწოდებდა „სახრჩობელების ქვეყანას“, ხოლო ჯულიო ტრემონტი (მაშინდელი ფინანსტა მინისტრი) არცთუ ისე კარგად საუბრობდა ევროზე. თვითონ ბერლუსკონი ცდილობდა „დაემუხრუჭებინა“ სხვადასხვა ევროპული ინიციატივები (მაგალითად ევროპულ კონსორციუმში მონაწილეობა სამხედრო თვითმფრინავის A400M-ს აგების, შესახებ, დემონსტრატიულად უარს ამბობდა იტალია შეერთებოდა ევროპულ ორდერს

დაპატიმრებაზე), სწორედ მაშინ როდესაც ევროპული კომისიის თავმჯდომარის პოსტს იკავებდა მისი პოლიტიკური ოპონენტი მემარცხენე ცენტრიდან - რომანო პროდი. გარდა ამისა ბერლუსკონის ევროპიდან დისტანცირებას უკეთებდა მისი სკანდალური განცხადებები, რუსეთის პრეზიდენტის პუტინის და ისრაელის შარონის მთავრობის მხარდაჭერა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას , რომ ბერლუსკონის მეორე და მესამე მთავრობის დროს სასწორი იხრებოდა ატლანტიზმის მხარეს. თუმცა ამის მიუხედავად იტალიას არ უნდოდა განზე დარჩენილიყო საერთოევროპულ პროცესებში და თითქმის ერთხმად მოახდინა ევროპისათვის კონსტიტუციის შემოღების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. იტალიის არჩევნებში მემარჯვენე ცენტრისტული კოალიციის გამარჯვება 2001 წელს და სწორედ უმბერტო ბოსსის დანიშვნა დევოლუციაზე (ცენტრიდა რეგიონებში ხელისუფლების უფლებამოსილებების გადაცემის პროცესი) პასუხისმგებელ მინისტრად, იტალიაში სეპარატიზმის საკითხებზე დისკუსიაში ამატებს სრულიად ახალ ნიუანსებს, რომლებიც გამოვლინდა მომავალში.

დასკვნა

მოცემული ნაშრომის ბოლოს უნდა ავღნიშნოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე იქმნებოდა, მრავალი სამეცნირო ნაშრომი. ასევე, იტალიური პერიოდული პრესა აქტიურად აქვეყნებდა 1991-2000 წლების იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურ, ქმედით ნაბიჯებს.

აღნიშნულ პერიოდში იტალია იდგა მთელი რიგი ახალი გამოწვევების წინაშე. ბალკანური კრიზისი, რომელიც მიმდინარეობდა იტალიის საზღვრებთან, ქვეყანას ხდიდა იძულებულს, ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოების დასაცავად მიეღო მონაწილეობა აღნიშნული კრიზისის მოგვარება - დარეგულირებაში. ნაშრომში ასანიშნავია ის ფაქტი, რომ 1989 წლიდან 1991 წლამდე იტალიურ-სლოვენიური ურთიერთობები კეთილმეზობლურ ხასიათს ატარებდა და ამის მიზეზი იყო იტალიური უმცირესობების სათვისტომოს აღიარება. იტალიას ჰქონდა თავისი ეკონომიკური გეგმები აღნიშნულ ზონაში და სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარებისას, შესაბამისად დააფიქსირა თავისი დამოკიდებულებაც.

ძალიან საინტერესოა იტალიის ურთიერთობა აშშ-ს მიმართ. აღნიშნულ პერიოდის განხილვისას, გამოჩნდა იტალიას მთავრობის პოლიტიკის „ორმაგი“ თამაში, რადგან იტალიას თავისი ინტერესები ჰქონდა ასევე, ხმელთაშუა ზღვის რეგიონისადმი. ხმელთაშუა ზღვაში იტალიის უსაფრთხოება კი აშშ-ზე იყო დამოკიდებული. ეს და სხვა ბევრი ფაქტორი განაპირობებდა იტალიის არასტაბილურ პოზიციას,რაც საბოლოოდ უკმაყოფილებას იწვევდა ევროპაში.

ნაშრომში საინტერესოდაა წარმოჩენილი ბერლუსკონის პირველი მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც ვერ შეძლო ქვეყნის ეფექტური საგარეო პოლიტიკის გატარება და მთავრობის ცუდი რეპუტაცია ევროპაში დღითიდღე ძლიერდებოდა და იტალია იწყებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეეხო იუგოსლავიის კრიზისსაც.

რაც შეეხება კოსოვს კრიზისის მიმართ იტალიის პოლიტიკას, ბევრი საინტერესო დეტალი გამოიკვეტა, ტუ როგორ ხასიატს ატარებდა ის. აღსანიშნავია იტალიური ჟურნალის; “La repubblica“ - ს სტატიები, სადაც ლამბერტო დინის და დ’ალემას განცხადებებია თავმოყრილი. აღნიშნული საგარეო საქმეთა მინისტრების დროს იტალიის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებით კოსოვოს კრიზისისადმი. ნაშრომში საუბარი გვაქვს, იტალიის იმ მერყეევ პოზიციაზე,

რომელიც დამახასიათებელი იყო აღნიშნულ პერიოდში. თუმცა საბოლოოდ იტალია კოსოვოს კრიზისში იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას და ამით ნატოს წინაშე „პირნათელი“ ხდება.

ჩვენ ასევე, ნაშრომში ვსაუბრობთ იტალიის,როგორც „პროტაგონისტის“ როლლზე მსოფლიოში და აქ ნათლად ჩანს, იტალიის საგარეო პოლიტიკის კურსი ზოგადად. ასევე, საინტერესოა ნატო იტალიის ურთიერთობის ისტორია ნაშრომში მოცემყულ პერიოდში.

ნაშრომში აღნიშნული საკითხის კვლევისას, გვერდი ვერ ავუარეთ იტალიის საგარეო პოლიტიკის დიპლომატიას „ პარია ქვეყნების“ მიმართ და ასევე, მის ინტერესებს „აფრიკის რქა“-ში შემავალი ქვეყნებისადმი, რომელთა მიმართ ინტერესს სწორედ ბალკანური კრიზისის პარალელურად იჩენდა იტალია.

დასასრულს უნდა ავღნიშნოთ, რომ აღნიშნული საკითხი საჭირეობს მეტ სიღრმისეულ კვლევას, რადგან არის თელი რიგი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ სადაოა. ამავდროულად, იტალიის საგარეო პოლიტიკის დიპლომატია „მოულოდნელობებითაა“ სავსე, შესაბამისად საინტერესო იქნება იტალიის, როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკის შესწავლა და მის ეგრეთ წოდებულ „ორსახოვნობას“, როგორადაც მოიხსენიებდნენ საერთაშორისო პოლიტიკოსები, კიდევ რა მიზეზები და მიზნები ედო ან უდევს საფუძვლად.

გამოყენებული ლიტერატურის სია

პერიოდული პრესის მასალები

1. *Albright gela D'Alema"La tregua? Impossibile*. – *„La repubblica",* 21 maggio 1999.
2. *Belgrado fiduciosa: il piano G8 avra successo*. – *„La repubblica",* 7 maggio 1999.
3. *D'Alema:"Stop al genocidio per arrivare alla pace*. – *„La repubblica",* 30 marzo 1999.
4. *D'Alema alla NATO: attenzione agli errori*. – *„La repubblica",* 20 maggio 1999.
5. *D'Alema:"Sм alla tregua, ma solo con l'ok dell'ONU*. – *„La repubblica",* 19 maggio 1999.
6. Citati Stefano, *Rivolta cinese contro gli USA*. – *„La repubblica",* 9 maggio 1999.
7. *Cina, migliaia in piazza contro gli Stati Uniti*. – *„La repubblica",* 10 maggio 1999.
8. *Cernomyrdin e Milosevic si smentiscono a vicenda*. – „La repubblica", 23 aprile 1999.
9. *Fedelta atlantica o crisi di governo?*. – *„La repubblica",* 25 marzo 1999.
10. L'ultimatum di Cossutta. – *„La repubblica",* 31 marzo 1999.
11. *La Cina:"Basta bombe". Gli USA:"Continueremo*. – *„La repubblica",* 11 maggio 1999.
12. *La ricerca della pace non ferma le bombe*. – *„La repubblica",* 1 giugno 1999.
13. *La ricerca della pace non ferma le bombe*. – *„La repubblica",* 1 giugno 1999.
14. *Riprendere i negoziati e sospendere i bombardamenti*. – *„La repubblica",* 26 marzo 1999.
15. Ricci Maurizio, *Kosovo sotto tutela dell'Europa*. – *„La repubblica",* 15 aprile 1999.
16. *Raggiunto l'accordo al vertice del G8*. – *„La repubblica",* 6 maggio 1999.
17. *Salvate il mio popolo, voglio una pace* giusta – „La repubblica" , 6 maggio 1999.
18. *Scuse ufficiali e aperte" dalla NATO e dagli USA.* – *„La repubblica",* 10 maggio 1999.
19. *Milosevic dice sм al piano di pace*. - *„La repubblica",* 3 giugno 1999.
20. Vannuccini Vanna, *Belgrado, pioggia di missili*. – *„La repubblica",* 8 maggio 1999.
21. *Cina*. – *„La repubblica",* 11 maggio 1999.
22. Tarquini Andrea, *L'accordo tra i Grandi apre la strada alla pace*. - *„La repubblica",* 9 giugno 1999.
23. Zampaglione Arturo, *"Tragico errore, scusateci". Ma Clinton non calma la* . – *„la stampas".*
24. *Cossutta a D'Alema:"Subito un passo, altrimenti и crisi.* – *„La repubblica",* 31 marzo. 1999.
25. *Kosovo, ecco le modifiche della mozione di maggioranza.* – *„La repubblica",* 19 maggio 1999.
26. *Kosovo, Montecitorio salva il Governo D'Alema*. - *„La repubblica",* 26 marzo 1999.
27. *Kosovo, maggioranza sempre in affanno.* – *„La repubblica",* 29 marzo 1999.

სამეცნიერო გამოკვლევები

კრებულები

28. Disgregazione Jugoslava all'integrazione Euro-Atlantica. (In: Bugarelli M., Monzali L.. Italia e Slovenia fra passato, presente e futuro. Roma: Edizioni Studium, 2009, pp. 103-149).
29. Europian community cards pogramme, Albania country strategy. paper 2002-2006. 30 November 2001.
30. Conference on security and co-operation in Europe final act. Helsink 1975.
31. La Slovenia nella politica Italiana di fine novegento: Dalla.
32. Mai, N. (2003) 39; The cultural construction of Italy in Albania and vice versa : migration dynamics, strategies of resistance and politics of mutual self-definition across colonialism and post-colonialism' in Modern Italy, 9(1), May 2003. pp. 77-93.
33. The Kosovo Crisis. - *Papers from a Workshop held on 18 May 1998 at Green College, University of Oxford. Refugee Studies Programme Queen Elizabeth House University of Oxford June 1999.*
34. The Rambouillet conference on Kosovo. International Affairs **75**, 2 (1999). გვ. 211-251.
35. Treaty on European Union. Cataloguing data can be found at the end of this publication. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, Brussels Luxembourg, 1992.
36. Specialist in European Affairs Foreign Affairs, Defense, and Trade Division. November 19, 1999.
37. War in the Balkans, 1991-2002. R. Craig Nation, August 2003.
38. Дипломатия Иностранных Государств. Учебное пособие Под редакцией Т.В, Зоновой, Москва, 2004.
39. Современная Италия: Старые проблемы, Новые вызовы. Доклады Института Европы No 349, Москва, 2018.

40. **Astri, Suhrke, Michael Barutciski, Peta Sandison, Rick Garlock.**The Kosovo refugee crisis. An independent evaluation of UNHCR's emergency preparedness and response. February 2000.
41. **Corrado, Bonifazi, Cinzia Conti and Marija Mamolo Année.** Balkan International Migration in the 1990s. By 2006, vol. 8.
42. **Fabbrini, Sergio. -** The Transformation of Italian Democracy. *Bulletin of Italian Politics. Vol. 1, No. 1, 2009, 29-47.*
43. **Festim, Rzanaj.** The Kosovo war in media: between war journalism and foreign poligy of Nato memebers. - *Prizren social scienjer journal / Volume 2, Issue 1; January-April, 2018.*
44. **Gallis, Paul E.** Kosovo: Lessons Learned from Operation Allied Force.
45. **Gianfranco, Bottazi.** Da nido delle aquile a porta dei Balcani Prospettive di sviluppo dell'Albania sulla strada dell'integrazione europea. 2005/2006.
46. **Juliana, Marko**. Economic Relations between Italy and Albania 1993 – 2000**Latowski, Pau and Martin Smith**.The Kosovo crisis and the evolution of post-Cold War European security. Manchester University Press, 2003.
47. **Juliana, Marko**. Economic Relations between Italy and Albania 1993 – 2000. Costituzione Della Repubblica Italiana. dicembre 2012.
48. **Menotti, Roberto, Federico Eichberg, Andrea Grazioso and Giovanni Scotto.** L'intervento della NATO in Kosovo: riflessioni su una escalation coercitiva.
49. **Rotta, Alessandro.** Kosovo, rompicapo europeo.
50. Югославия в XX веке. Москва, 2011.
51. **Акимкина, Н.** Материалы к лекции "Италия в 1945-1999 гг.", Ростов - на Дону, 2000**Барабанов, О.** Италия после холодной войны: от средней державы к миру протагонистов. М., 2002.
52. **Гуськова, Е.** История Югославского кризиса (1990-2000), Москва, 2001.
53. **Ковальская, М.** Италия в борьбе за Национальную Независимость и Единство от революции 1831 г. к революции 1848-1849 гг. Москва., 1981
54. **Любин, В.** П. Итальянская партийно-политическая система на переходе от Первой ко Второй республике. Политические партии Европы: стратегия и тактика в период между выборами. М.,1999.

55. **Маслова, Е.** Идеологические основы внешней политики Италии пертода Второй Республики, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата политических наук, Москва, 2012.
56. **Маначинский, А.** Денисов Д., Косово и Метохия: между автономией и сепаратизмом История и современность, Пушкино, 2014.
57. **Тарасова, А.** Российско-Италянские отношения 2000-2016: Проблемы и Перспективы, Белгород, 2017.
58. **Тыновский, А.** Трансформация партии Национальный Альянс в Италии в 1994-2009 ГГ. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 2012

ინტერნეტ რესურსები

59. Press RESS Conference by prime minister of Italy- Press Briefing. /22 APRIL1999/ https://www.un.org/press/en/1999/19990422.italy.brf.html
60. The Kosovo Report - executive summary – main findings. https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/F62789D9FCC56FB3C1256C1700303E3B-thekosovoreport.htm
61. Italy in the Balkans to mark the visit of Italian President Carlo Azeglio Ciampi to NATO, Ambassador Amedeo de Franchis examines Italys policy towards the Balkans. https://www.nato.int/docu/review/2000/Building-stability-Balkans/Italy-in-the-Balkans/EN/index.htm
62. Economic Relations between Italy and Albania 1993 – 2000 Juliana Marko, MSc, PhD Candidate Faculty of History and Philology, University of Tirana, Albania. http://www.academicus.edu.al/nr6/Academicus-MMXII-6-136-141.pdf
63. ttps://www.repubblica.it/online/fatti/kosovo3/mozion/mozion.html NATO's role in relation to the conflict in Kosovo. https://www.nato.int/kosovo/history.htm
64. Kosovo conflict- Balkans history [1998–1999]. https://www.britannica.com/event/Kosovo-conflict
65. NATO's role in Kosovo. https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm
66. UNHCR Kosovo Crisis Update - 5 April 1999. https://reliefweb.int/report/albania/unhcr-kosovo-crisis-update-5-april-1999
67. The Kosovo War: Causes, Timeline & NATO Involvement. https://study.com/academy/lesson/the-kosovo-war-causes-timeline-nato-involvement.html

68. The cultural construction of Italy in Albania and vice versa: Migration dynamics, strategies of resistance and politics of mutual self-definition across colonialism and post-colonialism. https://www.researchgate.net/publication/240527441_The_cultural_construction_of_Italy_in_Albania_and_vice_versa_Migration_dynamics_strategies_of_resistance_and_politics_of_mutual_self-definition_across_colonialism_and_post-colonialism
69. ნატოს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.7.2
70. *Resolution 1160*, 31 March 1998 *http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
71. *Resolution 1199*, 23 September 1998 *http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
72. *Resolution 1203*, 24 October 1998*http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
73. *The Washington Declaration*, 23-24 April 1999*http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
74. *Statement on Kosovo*, 23-24 April 1999*http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
75. *Resolution 1244*, 10 June 1999*http://www.nato.int/kosovo/history.htm*,
76. *NATO's role in relation to the conflict in Kosovo*, 15 July 1999 *http://www.nato.int/kosovo/history.htm*,